პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 აპრილი ხუთშაბათი 2013
№078 (13 994) ფასი 80 თეთრი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

1/4 ფინალი



# რეალი 1/2-ფინალისკენ გაფრინდა

რეალი
გალათასარაი
**3:0**

1:0 რონალდო (9)
2:0 ბენზემა (29)
3:0 იგუაინი (73)



4

## ენერგეტიკის მინისტრი თბილისს ვარსკვლავებით გაანათებს 31 მაისს კახი კალაძეს გააცილებენ

მალაგა
ბორუსია (დ)
**0:0**



# ვინ? გაალღებს მალაგაში ჩაკეტილს

9



10

## პა, ბურთი, პა, წყალი

**დიდი** ბრიტანეთი იმედი

UEFA EUROPA LEAGUE

## ბრიტანული ჰეგემონია ევროპალიგაზე

2

# ორი ოპერაცია



## კვირა 6 თვე

მათე ვაწაძე:
**ჯერაც არ ვიცი, მოედანზე როდის დავბრუნდები**

ზაზა ფაჩულია:
**აქილევსის მყესის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ მათე ვანაძესთან

# იქ, სადაც ფეხბურთელი უფრო დაფასებულია

## თოვლი და ხელოვნური ძალიან ძვირი დაჯდა: ოპერაცია, ექვსი კვირა და კიდევ სამი თვე

ადრე გაუწყეთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და დანიური „ორჰუსის" თავდამსხმელი მათე ვანაძე მძიმედ დაშავდა - მან ტრავმა 29 მარტს, დანიის ჩემპიონატში „ნორსიელანდთან" შეხვედრაში მიიღო.

ვანაძე საქართველოს ნაკრებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ფორვარდია. შოთა არველაძის შემდეგ ცენტრალური თავდამსხმელის პოზიცია ხომ განსაკუთრებულად პრობლემატურია ჩვენი უპირველესი გუნდისთვის.

ვანაძე „დინამო თბილისში" ჩამოყალიბდა საინტერესო ფეხბურთელად, შემდეგ რუსეთში, ნიჟნი ნოვგოროდის" ვოლგაში" გადავიდა, მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნდა და გორის „დილაში" თამაშით გამოიჩინა თავი - როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ისე ევროსარბიელზე.

წლეულს, ალბანეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ვანაძემ პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა და თემურ ქეცბაიამ ის საფრანგეთთან სასტარტო შემადგენლობაშიც ათამაშა...

გუშინ ვანაძეს დანიაში დავურეკეთ და რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**- როგორია ჯანმრთელობის მდგომარეობა? რას ამბობენ დანიელი ექიმები?**

- კოჭი რომ მოვიტეხე, ოპერაცია მალევე გამიკეთეს, თუმცა ჯერაც ვერ მეუბნებიან, რამდენ ხანს გასტანს სარეაბილიტაციო პროცესი. ექვსი კვირის შემდეგ ხელმეორე გამოკვლევას ჩამიტარებენ და ალბათ მერე გახდება ცნობილი, როდის შევძლებ ვარჯიშის დაწყებას.

**- მაინც რამ გამოიწვია ასეთი მძიმე ტრავმა?**

- ჩვეულებრივი, სათამაშო ეპიზოდი იყო, ისეთი, როცა მეტოქე მცველს ვერაფერს დააბრალებ. საქმე ისაა, რომ თოვდა, თამაში ხელოვნურსაფრიან მოედანზე იყო და ორთაბრძოლის დროს ფეხი კარგად ვერ დავდგი, გამიცურდა და კოჭი გადამიტყდა, მყესებიც ჩამიწყდა. ექვსი კვირის შემდეგ რომ გამსინჯავენ, სავარაუდოდ, კიდევ სამი თვე მომიწევს უქმად ყოფნა.

**- საფრანგეთთან მატჩზეც გკითხავ. ზოგი მიიჩნევს, რომ მათე ვანაძემ არცთუ ურიგოდ ითამაშა, ზოგი კი ამბობს, რომ უკეთესადაც შეგეძლოთ თამაში. თავად რას იტყოდი ამ ყველაფერზე?**

- საკუთარი თამაშის შეფასებისგან თავს შევიკავებ. რთულია ამის გაკეთება, როცა გუნდი მარცხდება. ყველანი მონდომებულები ვიყავით, მაგრამ სამწუხაროდ, საფრანგეთის ნაკრები ისეთი გუნდია, ჩვენზე ხუთი თავით მაღლა რომ დგას.

**- დანიურ ფეხბურთსა და მთლიანად ქვეყანას როგორ შეეწყვე? მაინც რითია უკეთესი დანიური ჩემპიონატი ჩვენსაზე?**

- დანიაში უკეთესი პირობებია, აქ უფრო მეტი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ ფეხბურთელად იგრძნო თავი და მხოლოდ პროფესიულ მოვალეობაზე იფიქრო. აქ ფეხბურთელი უფრო დაფასებულია, თორემ დონეს რაც შეეხება, სულაც არ არის ისეთი, რომ ქართველებმა ვერ შეძლონ ასე თამაში. იმედია, საქართველოში მალე უფრო დაფასებული იქნება ფეხბურთელი, ეს ხომ მთლიანად ქართული ფეხბურთისთვისაც უკეთესი იქნება.

**- ფინანსური მხარე ამ ყველაფერში უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია. მათე ვანაძე კი არ დაბრუნდა ისევ რუსეთში - ევროპაში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. მაინც, რით იყო განპირობებული ასეთი არჩევანი? დანიაში უფრო მეტი პერსპექტივა დაინახე?**

- რუსეთში უკვე მქონდა ნათამაშები და ვიცი იქაური სიტუაცია. ჩემი აზრით, რუსეთის ჩემპიონატის ქვედა გუნდებში წასვლა აღარ ღირდა, რადგან ასეთი გუნდები უფრო თავდაცვაზე არიან ორიენტირებული და შესაბამისად, თავდამსხმელს უფრო უძნელდება თამაში. ამიტომაც ავირჩიე დანია და „ორჰუსი". იმედია, ტრავმას რაც შეიძლება მალე მოვირჩენ და „ორჰუსსაც" გამოვადგები და საკუთარ ნაკრებსაც.

დავით თავართქილაძე



მათე ვანაძე

ლეგიონი

# გურამ კაშიას პერსპექტივა: გერმანია, ინგლისი, რუსეთი...

ჰოლანდიური Voetbal International საინტერესო ცნობას აქვეყნებს ქართველი ლეგიონერის, **გურამ კაშიას** შესახებ. ჰოლანდიური გამოცემის ინფორმაციით, „ვიტესის" ქართველი კაპიტნით გერმანული, ინგლისური და რუსული კლუბები დაინტერესდნენ. Voetbal International თავად გურამ კაშიას შეეხმიანა, რომელმაც ეს ინფორმაცია დაადასტურა:

*„ჩემმა მენეჯერმა შემატყობინა, რომ ჩემი ტრანსფერით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. ჯერ საუბრები კონკრეტული არ არის, თუმცა თუ კარგი წინადადებები იქნება, უარს არ ვიტყვი მათ განხილვაზე. კლუბებს არ დავაკონკრეტებ - ისინი გერმანიის, ინგლისისა და რუსეთის ჩემპიონატებში თამაშობენ"*, - განაცხადა 25 წლის ქართველმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



გურამ კაშია

ფუტსალი. ელიტრაუნდის შეჯამება

# ავთანდილ ასათიანი: მიხედონ ამ ნიჭიერ ბავშვებს

საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა. ჰოლანდიაში გამართულ ელიტრაუნდში "ჯვაროსნებმა" ჩეხებთან (1:4) და მასპინძელ ჰოლანდიასთან (3:7) წააგეს, ბელარუსს (5:4) მოუგეს და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ავთანდილ ასათიანი გუშინ მედიას შეხვდა და განვლილ თამაშებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე ილაპარაკა:

*„დასანანია, ევროპის ჩემპიონატის მილმა რომ ალმოვჩნდით. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და ამიტომაც გადავწყვიტე თქვენთან შეხვედრა.*

*შვიდი თვეა, რაც ნაკრები ჩავიბარე. ჩემი ხელმძღვანელობით ნაკრებმა სულ 12 შეხვედრა ჩაატარა: 5 მოგება და ამდენივე წაგება და 2 ფრე. აქედან ხუთი ოფიციალური მატჩი იყო, შვიდი - ამხანაგური. ოფიციალურებში ორ-ორი მოგება და წაგება და ერთი ფრე დავაგროვეთ.*

*ელიტრაუნდში ძლიერი ჯგუფი შეგვხვდა, მაგრამ გასვლის ამბიცია გვქონდა. სამწუხაროდ, იმედები არ აგვიხდა. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩეხეთი და ჰოლანდია ევროპის უძლიერეს ნაკრებებს შორის არიან და მათთან უეჭველ მოგებას ნურავინ მოგვთხოვს. ალბათ, გამარჯვების რწმენაც დაგვაკლდა. ამის მიუხედავად, ფიფას რეიტინგში 13 ადგილით ზემოთ ავინაცვლეთ და ახლა, 51-ე პოზიციაზე ვართ.*

*სტატისტიკაც ადასტურებს, რომ მხოლოდ მეტოქეთა შეტევების მოგერიებით არ ვყოფილვართ დაკავებული. სამ შეხვედრაში 201-ჯერ დავარტყით, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. დამაიმედებელია ისიც, რომ ბოლო ტურში ფიფას რეიტინგში მე-16 ადგილზე მყოფ ბელარუსს მოვუგეთ. მაგრამ საგოლე მომენტების რეალიზაციისა და დაცვაში თამაშის მხრივ აშკარად მოვიკოჭლებთ - ეს კომპონენტები აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.*

*ამ შვიდ თვეში გუნდის ჩამოსაყალიბებლად სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა და ახლა გაჩერება დაუშვებელია. გუნდს სჭირდება: მეტი თამაში, შეკრება, სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება... და თუ ამას მოვახერხებთ და დღევანდელ ბირთვს შევინარჩუნებთ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მოხვედრა რეალური იქნება.*

*აქვე დავით ბობოხიძეზეც უნდა გითხრათ. კოჭის მყესები ჰქონდა დაწყვეტილი და ამის მიუხედავად, თავი არ დაზოგა".*

**- სოციალურ ქსელში მოთამაშეებმა დაწერეს - მწვრთნელის დავალებები ვერ შევასრულეთო. ვინც შეასრულებდა, ისინი წაგეყვანათ.**

- მე ამ ეტაპზე საუკეთესოები გამოვიძახე და თუ ვილაც შეცდა, არ ნიშნავს, რომ მათ ხაზი უნდა გადავუსვათ.

**- რუსეთს ფუტსალის უძლიერესი ლიგა აქვს, სადაც ბევრი ქართველი თამაშობს - მათ რატომ არ იწვევთ?**

- დაკავშირებას აზრი არც აქვს, რადგან მათი პოზიცია ვიცით - ყველას აქვს რუსეთის მოქალაქეობა, იქ ცხოვრობენ და ქართული პასპორტის აღებით აწყობილ ცხოვრებას დაინგრევენ. სიმართლე გითხრათ, ვერც ვამტყუნებ. ლეგიონერები გვყავს კვიპროსზეც, მაგრამ დევდარიანი კლუბმა არ გამოუშვა.

**- დიდი ფეხბურთიდან მოთამაშეთა დამატებაზე არ გიფიქრიათ?**

- ფუტსალში ბევრად უფრო ინტენსიური მოძრაობებია საჭირო, რასაც ისინი შეუჩვევლები არიან და დრო სჭირდებათ. მაგალითად, ერთხელ უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ცნობილი ფეხბურთელების გუნდს ამხანაგურად შევხდით და 6:1 მოვუგეთ. მეორე მომენტიც არის: მოვიდა ჩიკვილაძე, მაგრამ დიდ ფეხბურთში დაბრუნება სურს და ფუტსალს მოსამზადებლად იყენებს. აქ თუ ფული არ ჩაიდო, განვითარება ძალიან რთული იქნება. მომავალში მეტი თამაშები და შეკრებები გვჭირდება, სახელმწიფომაც უნდა მოგვხედოს, თორემ, ფუტსალის პრობლემებს მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გავუმკლავდებით. არადა, რესურსი არის და უნდა ავითვისოთ.

**- ამ დროს რას აკეთებს ფუტსალის ასოციაცია?**

- ჩვენ გვაქვს იმედი, რომ სპორტის სამინისტრო დაგვეხმარება. ნეტავ, ნაკრების კანდიდატებს 100 კაციდან ვარჩევდე და არა დღევანდელივით 30-დან. დარწმუნებული ვარ, ბევრად უკეთესი ნაკრები გვეყოლებოდა.

მერაბ მამულაშვილი



დავით ბობოხიძემ (№13) ტრავმის მიუხედავად თავდაუზოგავად ითამაშა

მეტალურგი. ინტერვიუ გიორგი ყიფიანთან

# იმედია, ჩვენი კურსი გაამართლებს

რუსთავის "მეტალურგი" უმაღლესი ლიგის საუკეთესო ექვსეულში ვერ მოხვდა, თუმცა ევროსაგზურისთვის საქართველოს თასის გათამაშებაზე იბრძვის. ამას გარდა, "მეტალურგი" წარმატებით ასპარეზობს ქვედა ექვსეულში. გუნდის მთავარ მწვრთნელ გიორგი ყიფიანს "მეტალურგში" არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.



გიორგი ყიფიანი

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო

**- საუბარი "ვიტ ჯორჯიასთან" მოგებული მატჩით დავიწყოთ.**

- "ვიტ ჯორჯიასთან" ყოველთვის რთულ შეხვედრებს ვატარებთ და გამონაკლისი არც ეს ტური ყოფილა. ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ კარგია, რომ ბიჭებმა ხასიათი აჩვენეს და სამი ქულა მოიპოვეს.

**- რამდენად ახერხებენ თქვენი ფეხბურთელები ქვედა ექვსეულის მატჩებისთვის სათანადოდ განწყობას?**

- იმისდა მიუხედავად, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენა დაზღვეული გვაქვს, თითოეულ შეხვედრას სრული პასუხისმგებლობით ვეკიდებით. ამ სეზონის დარჩენილ პერიოდს სამომავლოდ უფრო ძლიერი გუნდის შესაქმნელად გამოვიყენებთ. შევეცდებით, ამ თვეების განმავლობაში საკუთარი ხელწერა შევქმნათ და მომავალ წარმატებებს მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ. ამავდროულად, შევეცდებით, ევროპის ლიგის საგზური მოვიპოვოთ, რისთვისაც თასზე წარმატებული ასპარეზობაა საჭირო.

**- თასის მოპოვება რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ?**

- თასზე გამარჯვების შანსი ყველა მეოთხედფინალისტს აქვს. ახლა, მხოლოდ ცხინვალის "სპარტაკის" ბარიერის დაძლევაზე ვფიქრობთ.

**- კლუბის ბიუჯეტი თუ იძლევა ამბიციური გეგმების განხორციელების საშუალებას?**

- ყველაფერი შედარებითია და ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, რა ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ ჩვენს კონკურენტებს. არსებობს წარმატების ორი გზა – ეტაპობრივად ჩამოაყალიბო ძლიერი გუნდი არავარსკვლავური შემადგენლობით ან მიაღწიო მომენტალურ წარმატებებს ძვირადღირებული ახალწვეულებით. ჩვენ პირველ გზას ვირჩევთ და იმედი გვაქვს, რომ ეს კურსი გაამართლებს.

**- კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან სრულ ნდობას გრძნობთ?**

- "მეტალურგთან" ახალი კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან სამომავლო გეგმებზე უკვე ვისაუბრე და შემიძლია ვთქვა, რომ აქ თავს კომფორტულად ვგრძნობ.

**- გუნდის ოპტიმალური შემადგენლობა უკვე გამოიკვეთა?**

- არა, რადგან ტრავმების გამო ბევრი ფეხბურთელი ვერ გვეხმარება – გენაძე, კორღალიძე, ჯაფარიძე, მიქაბერიძე, ცნობილაძე... ამას გარდა, დისკვალიფიკაციის გამო ვერ თამაშობდა ზურაბ მენთეშაშვილი. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ყველა ფეხბურთელი ბოლომდე იხარჯება და დისციპლინაც სათანადო დონეზე დგას.

**- როგორც მწვრთნელს, რა შეგძინათ "მეტალურგში" გატარებულმა პერიოდმა?**

- არც ერთმა მწვრთნელმა არ უნდა თქვას, რომ ყველაფერი იცის. სწავლა და განვითარება შეუქცევადი პროცესია და საკუთარ თავზე მუდმივ მუშაობას გულისხმობს. მოხარული ვარ, რომ "მეტალურგში" ჩემი იდეების განხორციელების საშუალება მაქვს. ვისურვებდი, რომ ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ყველა ადამიანმა – მწვრთნელმა, ფეხბურთელმა, ჩინოვნიკმა თუ ჟურნალისტმა უფრო მეტი გააკეთოს ჩვენი ფეხბურთის წინსვლისთვის. უსაფუძვლო ამბიციების გვერდზე გადადება და საქმის კეთებაა საჭირო. ქართულ ფეხბურთს ბევრი პრობლემა აქვს, უპირველესად კი ბავშვთა ფეხბურთს უნდა მიეხედოს.

**- საქართველოს ჩემპიონატის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

- "დინამო" "დილას" ერთი ქულით უსწრებს, მაგრამ მათი ურთიერთშეხვედრა გორში გაიმართება, რის გამოც, ვფიქრობ, საჩემპიონო შანსები თანაბარია. სხვა გუნდები საჩემპიონო რბოლას უკვე ჩამოსცილდნენ.

**- ჩემპიონატის ამჟამინდელ ფორმატზე რას ფიქრობთ?**

- ექვსეულებად დაყოფა არასწორად მიმაჩნია. არც ქულების განახევრება თუ გაუქმებაა ჩემთვის მისაღები. სჯობს, ჩემპიონატი არ გავართულოთ და უფრო ბრძოლისუნარიან გარემოში ჩავატაროთ. ძალიან ცუდია, რომ ზეექვსეულის ქვედა ნაწილის ბინადრებს და ქვედა ექვსეულის ლიდერებს სატურნირო მოტივაცია აღარ აქვთ, მეშვიდეადგილოსან "მეტალურგს" კი ამასობაში მეექვსეადგილოსანზე მეტი ქულა მოუგროვდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი



# უხვგოლიანი სპარინგი

„ზესტაფონის" ბაზაზე ორმხრივი მატჩი გაიმართა, რომელშიც ფეროელთა თავკაცმა **კახა კაჭარავამ** გუნდები ასე დაჰყო:

**ლურჯები**: მეშველიანი, ღონღაძე, პეტკოვი, თედო გრიგალაშვილი, ბენაშვილი, ჩირიკაშვილი, ბაბუნაშვილი, ჭანკოტაძე (მიქელთაძე), რაჟამაშვილი, აფციაური, წინამძღვრიშვილი.

წითლები: მახათაძე, გაგოშიძე, კაკუბავა, ლოსანო, თორნიკე გრიგალაშვილი, იელიჩი, გორგიაშვილი, შარიქაძე, რეკრუკი, კუტალია, კვერნაძე.

„ლურჯებმა" 4:1 გაიმარჯვეს. სპარინგში თავი **თორნიკე აფციაურმა, რატი წინამძღვრიშვილმა, შოთა ბაბუნაშვილმა, დავით რაჟამაშვილმა** და **მოჰამედ რეკრუკმა** გამოიჩინეს.

ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მცირე პრობლემის გამო, "შიდა დაპირისპირებაში" მონაწილეობა ვერ მიიღეს **როინ კვასხვაძემ, ბოტი დემელმა, ავთო ენდელაძემ, მიხეილ სარდალიშვილმა** და **გურამ სამუშიამ**. ეს ფეხბურთელები მზადების პროცესს უახლოეს დღეებში დაუბრუნდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# უკვე მერამდენედ: კოჭლაშვილი ბერიძემ შეცვალა

"ვიტ ჯორჯიაში" ჩვეული სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა – რუსთავის "მეტალურგთან" განცდილი საშინაო მარცხის შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ კოჭლაშვილმა** პოსტი დატოვა, მის ნაცვლად კი ვეტერინარები, რა თქმა უნდა, **ზურაბ ბერიძემ** ჩაიბარა – ეს ცვლილება კლუბში უკვე დიდი ხანია, ტრადიციად იქცა და სათვალავიც კი აგვერია, მერამდენედ განხორციელდა ასეთი გადაადგილება.

"ვიტ ჯორჯია" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის. სეზონის დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე გუნდი გასავარდნ ზონას ერთი ქულით არის დაშორებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზურაბ ბერიძე



მერაბ კოჭლაშვილი

გარიგებული მატჩები

# ფედერაცია ბრძოლას იწყებს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გულშემატკივრებს, ფეხბურთში დასაქმებულებს და საერთოდაც, ყველა დაინტერესებულს გარიგებული მატჩების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას სთავაზობს.

*"უდავოა, რომ ფეხბურთისთვის უპირველესი პრიორიტეტი თითოეულ მატჩში თუ ტურნირში გამარჯვებულის მხოლოდ სამართლიან და პატიოსან ბრძოლაში გამოვლენაა. სამწუხაროდ, ამას ხელს უშლის ზოგიერთი პიროვნებისა თუ პიროვნებათა ჯგუფის არაკეთილსინდისიერი საქციელი, რაც გამოიხატება მატჩების შედეგებით მანიპულირებაში სპორტული თუ ფინანსური სარგებლის მოსაპოვებლად. ეს, რა თქმა უნდა, ზიანს აყენებს ჩვენთვის საყვარელ სპორტის სახელს!*

*გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის საქმეში, ძალიან მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის გაერთიანება, რადგან მხოლოდ ერთობლივი ძალებითაა შესაძლებელი ფეხბურთიდან ამ მანკიერების აღმოფხვრა. ამიტომ მოგიწოდებთ ყველას, ვისაც გააჩნია კონკრეტული ფაქტი ან ეჭვი უკვე ჩატარებულ თუ მომავალ მატჩებთან დაკავშირებით, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია. ამისთვის შექმნილია ელფოსტის სპეციალური მისამართი -* integrity@gff.ge. *ინფორმატორის კონფიდენციალურობის გარანტიას ვიძლევით", - წერია განცხადებაში.*

**მერაბ მამულაშვილი**

მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია და მცხეთის მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახური სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მურად ანჯაფარიძეს ძმის, **ომარ ანჯაფარიძის** გარდაცვალების გამო.

საფეხბურთო კლუბი „საბურთალო" სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მურად ანჯაფარიძეს, ძმის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## კახი კალაძე გაცილების მატჩს 31 მაისს გამართავს

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ეროვნული ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი **კახი კალაძე** გამოსამშვიდობებელ მატჩს 31 მაისს „დინამო არენაზე" გამართავს. კალაძემ დღეს ჟურნალისტებთან შეხვედრისას დაგეგმილ მატჩთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა და იმ ფეხბურთელების შესახებ ისაუბრა, რომელთა თბილისში ჩამოყვანასაც გეგმავს.

*„მინდა მოვიწვიო ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც 10 წელი ჩემთან ერთად თამაშობდა. 10 წლის განმავლობაში ძალიან ბევრ წარმატებას მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, იყო წარუმატებლობაც. ყველა ის ადამიანი, რომელთანაც „მილანში" ამდენი წლის განმავლობაში ვიბრძოდი და ვთამაშობდი, 31 მაისს ჩამოვა და აქ, ჩვენთან ვიხილავთ",* – აღნიშნა კახი კალაძემ.

გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში უცხოელი ვარსკვლავების გარდა მონაწილეობას ცნობილი ქართველი ფეხბურთელებიც მიიღებენ. სავარაუდოდ, მათ შორის იქნება ნაკრების ასევე ყოფილი მოთამაშე **ლევან კობიაშვილიც**, რომელმაც ეროვნული გუნდის დატოვების შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა.

www.interpressnews

● ლეგიონერები

## დარასელია ბრძოლას განაგრძობს

რუსეთის პირველ დივიზიონში **გიორგი დარასელიას** მიერ გაწვრთნილმა „სკა-ენერგიამ" სტუმრად ასტრახანის „ვოლგარი" 1:0 დაამარცხა და კვლავ მესამე ადგილზეა, რაც პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში მონაწილეობის უფლებას იძლევა. **ლაშა სალუქვაძემ** და **გიორგი ნავალოვსკიმ** „სკა-ენერგიას" რიგებში შეუცვლელად ითამაშეს, ხოლო სასტარტო შემადგენლობაში გამწესებული კიდევ ორი ქართველი, **შოთა გრიგალაშვილი** და **გოჩა ხოჯავა**, შესაბამისად, 58-ე და 81-ე წუთზე შეცვალეს.

■ ■ ■

სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში „მოროკა სვოლოვსმა" „ბლექ ლეოპარდსს" გასვლით შეხვედრაში 1:0 სძლია. სტუმართა შემადგენლობაში **გია ნერგაძემ** 57-ე წუთიდან ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ინტერვიუ

### მერაბ გიგაური:

# ჩივაძის ქება დიდი სტიმულია

უკვე არაერთხელ ვწერდით იმის შესახებ, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ავსტრიაში ნაყოფიერი ათდღიანი შეკრება გაიარა. მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ გუნდის შეთამაშება სცადა, სათამაშო სქემები გამოსცადა და საინტერესო მოთამაშეებს დააკვირდა.

ჩივაძემ ახალწვეულთაგან "დიორ ეტოს" თავდამსხმელი გიორგი ქვილითაია და ქუთაისის "ტორპედოს" საყრდენი ნახევარმცველი მერაბ „ბუკა" გიგაური გამოარჩია.

*"ორივე ფეხბურთელი 1993 წელს არის დაბადებული და მიხარია, რომ ნიჭიერი ბიჭები გვე ზრდებიან"*,- განაცხადა ახალგაზრდულის დამრიგებელმა "ლელოსთან" ინტერვიუში.

"ტორპედოს" 19 წლის ნახევარმცველს ინტერვიუ ჩამოვართვით და სანაკრებო თამაშებზე, კლუბსა და ეროვნულ ჩემპიონატზე ველაპარაკეთ...


მერაბ გიგაური

- ავსტრიაში სამივე საწვრთნელი შეხვედრა ვითამაშე: ზოგი ძირითადში, ზოგიც - შეცვლაზე. ახალგაზრდულ ნაკრებში დებიუტი ალბანეთთან მქონდა - ბოლო 30 წუთი ვითამაშე, აზერბაიჯანთან მთელი მეორე ტაიმი, მალაიზიასთან კი ძირითადში ვიყავი. ეს მატჩი 7:1 მოვიგეთ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ძალიან სუსტი მეტოქე იყო. უბრალოდ, ავსტრიაში ისე შევთამაშდით, რომ ბოლოს ძალიან კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

მოხარული ვარ, რომ ბატონი საშა მენდო, გამომიძახა და თამაშის საშუალება მომცა გუნდში, რომელიც ძალიან პერსპექტიულია.

**- ჩივაძე ავსტრიაში შენი თამაშით კმაყოფილი დარჩა. თავად რა შეფასებას გააკეთებ?**

- ჩემს თამაშს ყოველთვის კრიტიკულად ვაფასებ. ვცდილობ, შეცდომები ვიპოვო, გამოვასწორო და უკეთ ვითამაშო. მაგრამ ბატონი საშას ქებამ ძალიან გამახარა და დიდი სტიმული გამიჩნდა.

**- ავსტრიულ მატჩებს თემურ ქეცბაია დაესწრო. და თითქოს, ის შენს გამოძახებას აპირებს ეროვნულ ნაკრებში ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაზე...**

- ეროვნულში გამოძახებაზე ჯერ დაზუსტებით არაფერი ვიცი. ასე თუ მოხდა, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიქნები. ეს ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა.

**- ავსტრიაში ჩივაძემ რა პოზიციაზე გათამაშა?**

- ჩემთვის ჩვეულ პოზიციაზე - საყრდენ ნახევარმცველად.

**- აშკარაა, რომ პოლონურ "იაგელონიაში" დრო უქმად არ დაგიკარგავს - უფრო ათლეტური და გაზრდილი დაბრუნდი. ასეთი რა ივარჯიშე და ისწავლე?**

- პოლონეთში სულ სხვა დონეა, სხვა გარემოა და ეს ყველაფერი მომიხდა. იქ ვარჯიშის მეტს არაფერს არ ვაკეთებდი და სულ რეჟიმში ვიყავი. ალბათ, ჩემი პროგრესის ერთ-ერთი მიზეზი ეს არის.

**- უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებულ მოთამაშეებს ენთუზიაზმი უქრებათ. ეს შენ არ გეტყობა. როგორ ახერხებ ამას?**

- ცხადია, პოლონეთში თამაში საქართველოს ჩემპიონატში გამოსვლას სჯობს, მაგრამ ამით ჩემი კარიერა არ მთავრდება. ალბათ, ასე იყო საჭირო. 19 წლის ვარ და ყველაფერი ახლა იწყება. "ტორპედოშიც" მშვენიერი გარემო დამხვდა და ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, საქართველოში თამაში რომ მიხარია. ბევრს ვვარჯიშობ, რეჟიმში ვარ. ისე კი უკეთეს გუნდში წასვლა თუ გინდა, მეტი უნდა მოინდომო.

**- საჩემპიონო რბოლაში "ტორპედოს" რა შანსი აქვს?**

- "დინამოსთან" ძალიან დაძაბული თამაში გვქონდა. უნდა მოგვეგო, მაგრამ ბოლოს აშკარა პენალტი არ დაგვიდეს. ეს 3 ქულა რომ მოგვეპოვებინა, ჩვენი საჩემპიონო შანსები მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა.

**- ახლა ეს შანსი შემცირდა?**

- არ ვამბობ, რომ შემცირდა, ჯერ ყველაფერი დაკარგული არ გვაქვს. ბიჭები ყველაფერს გავაკეთებთ, პირველზე რომ გავიდეთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. მაგრამ უმძიმესი თამაშები გველის. სამეულში მაინც უნდა მოვხვდეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ქალთა ფეხბურთი

# ვილნიუსში მუნდიალის შესარჩევია

გუშინ, საქართველოს ქალთა ნაკრები ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გაემგზავრა, სადაც მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფური ეტაპის მატჩებს გამართავს.

მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატი კანადაში გაიმართება და საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობას სულ 46 ქვეყანა მიიღებს. საქართველო და კიდევ შვიდი ქვეყნის დაბალკოეფიციენტებიანი გუნდები ფიფამ ცალკე დააჯგუფა და ამით, საშუალება მისცა, ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლონ.

საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა და მისი მეტოქეები მასპინძელი ლიტვა, ფარერები და ჩერნოგორია იქნებიან. A ჯგუფში კი, ალბანეთი, ლუქსემბურგი, მალტა და ლატვია არიან. თითო ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ორი გუნდი გადის.

სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თეიმურაზ სვანაძემ** ვილნიუსში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა:

მეკარეები: **ნინო ჭკუასელი („იდმანოჯა", თურქეთი), თეკლე გულორდავა („ბაია", ზუგდიდი);**

მცველები: **ნინო სუთიძე („კონაკბელედისპორი", თურქეთი), თამარ ქველიძე („კარლსრუე", გერმანია), თამარ ტატუაშვილი („იდმანურდუსპორი", თურქეთი), ნათია სხირტლაძე („ნორჩი დინამოელი"), თამთა მალიძე („ნორჩი დინამოელი"), სალომე ხუბულური („ნორჩი დინამოელი"), ანა ზაქაიძე („ნორჩი დინამოელი");**


ქართველები პირველ მატჩს ლიტვასთან გამართავენ

ნახევარმცველები: ნინო პასიკაშვილი (უგუნდოდ), თეონა თოდაძე („იდმანურდუსპორი", თურქეთი), ტატიანა მატვეევა („ატაშეჰირი", თურქეთი), თეონა ბაქრაძე („ბაია", ზუგდიდი), მარი ბასილაძე („ნორჩი დინამოელი");

თავდამსხმელები: ხატია ჭყონია („კარადენიზერელისპორი", თურქეთი), ლელა ჭიჭინაძე („ნორჩი დინამოელი"), თამარ კვალიაშვილი („ნორჩი დინამოელი"), ანა ჩემინავა („ბაია", ზუგდიდი).

**კალენდარი**

**4 აპრილი**

ფარერები-ჩერნოგორია
საქართველო-ლიტვა

**6 აპრილი**

საქართველო-ჩერნოგორია
ლიტვა-ფარერები

**9 აპრილი**

ფარერები-საქართველო
ჩერნოგორია-ლიტვა

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# რატომ არ სჭირდება პსჟ-ს არსენ ვენგერი



არსენ ვენგერის საფეხბურთო ფილოსოფია პსჟ-ის პოლიტიკისგან ძალიან შორს დგას

ლონდონის „არსენალში“ 17 წლის მუშაობის განმავლობაში **არსენ ვენგერის** მდგომარეობა ასეთი რთული არასოდეს ყოფილა. მიზეზებზე ბევრჯერ დაგვიწერია და ამჯერად თავს აღარ შეგაწყენთ. ინგლისური პრესა ფრანგ სპეციალისტს აკრიტიკებს და „მეთოფეთა“ დატოვებას უწინასწარმეტყველებს. ყველაზე ხშირად ჩვენი ინგლისელი კოლეგები ვენგერს პსჟ-ში „ნიშნავენ“.

მართალია, ვენგერს დედაქალაქური გრანდი ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად გაჰყავს, მაგრამ 2005 წლის ასოციაციის თასის შემდეგ (ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი“ პენალტების სერიაში 5:4 დაამარცხა) აღარაფერი მოუგია. ფინანსური თვალსაზრისით, „არსენალი“ ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბია. მართალია, ამ მხრივ ის „ჩელსის“, „სიტისა“ და „იუნაიტედს“ კონკურენციას ვერ უწევს, მაგრამ უეფას ფინანსური ფეარ პლეის წესები მათ შანსებს მეტ-ნაკლებად გაათანაბრებს. იქამდე კი ჩრდილოლონდონელები წლების განმავლობაში ყიდიან გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებს, რაც გულშემატკივართა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს. ამას გარდა, კლუბი „ემირიტსზე“ ლამის ყოველ წელს უმატებს ბილეთებისა და აბონემენტების ფასს. ტიტულების რვაწლიანი უშედეგო ლოდინი გულშემატკივართა ნაწილს უკვე პესიმისტურად განაწყობს, რომ ვენგერს ჯერ კიდევ შეუძლია წარმატებების მიღწევა.

რატომ აიკვიატეს ინგლისურმა ვებგვერდებმა „პარი სენ-ჟერმენი“? ვერაფერს გეტყვით, შესაძლოა, პარიზში ვენგერისადმი ინტერესი მართლა ჰქონდეთ, მაგრამ არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ვენგერის გადაბარგებას „პარკ დე პრენსზე“. არსენი ლონდონში გატარებული 17 წლის განმავლობაში შეეჩვია, რომ ის მარტო მთავარი მწვრთნელი კი არა, გუნდის მენეჯერიც არის. ის ერთპიროვნულად განსაზღვრავს სატრანსფერო პოლიტიკას და იმასაც კი, ულირს თუ არა კლუბს კონკრეტული თანხის გადახდა ფეხბურთელში. ერთი სიტყვით, მის ხელში ძალიან დიდი ძალაუფლებაა თავმოყრილი. აი, პსჟ-ში კი მას ისეთი ოდიოზური ფიგურა დახვდება, როგორიც **ლეონარდოა**. ბრაზილიელს უკვე დიდი ხანია, შემუშავებული აქვს გუნდის განვითარების საკუთარი გეგმა, რომელიც ვენგერს შეიძლება მოეწონოს და შეიძლება დაუფიქრებლად ნაგავში მოისროლოს. პარიზში ვენგერს არავინ დააცდის გუნდის მისებურად მოთვინიერებასა და ახალგაზრდა ფეხბურთელების გაზრდას, რადგან „ლურჯ-წითელ ბრენდს“ ჰაერივით სჭირდება ტიტულები.

ვარსკვლავი

# დიდიე დროგბა მოურინიოს ჩელსიში დაბრუნებას ურჩევს

ბოლო რამდენიმე კვირაა, ინგლისური პრესა „ჩელსისა“ და **ჟოზე მოურინიოს** მეორე შესაძლო „ქორწინებაზე“ აქტიურად წერს. ლონდონური გრანდის ყოფილი თავდამსხმელი **დიდიე დროგბა** მიიჩნევს, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ 50 წლის პორტუგალიელის დაბრუნება საუკეთესო გამოსავალი იქნება. ამას გარდა, 34 წლის ივუარელმა ჩვენს კოლეგებთან საკუთარ გეგმებზეც ისაუბრა:

- „ჩელსიში“ მოურინიოს დაბრუნება საუკეთესო ვარიანტი იქნება. გულშემატკივრებსაც ძალიან უნდათ, რომ ეს მოხდეს. თავად ჟოზესაც ძალიან უყვარს „ჩელსი“. თუკი გვინდა, რომ დავიბრუნოთ რამდენიმე წლის წინანდელი გუნდი, მოურინიო ზუსტად ის მწვრთნელია, ვინც ამას გააკეთებს. ის თავისი ხასიათით გამარჯვებულია, თანაც „ჩელსის“ ფეხბურთელებთან დღემდე ძალიან ახლოს არის. ლონდონიდან წასვლის შემდეგ „ინტერსა“ და „რეალში“ იმუშავა, მაგრამ „ჩელსიზე“ დღემდე დაულალავად ლაპარაკობს. მას უყვარს ეს კლუბი. მასთან ერთად მოვიგეთ ინგლისის ჩემპიონატი და სხვა ტიტულები. ერთადერთი, სადაც მოურინიომ ვერ იმარჯვა, ჩემპიონთა ლიგაა. შეიძლება, ეს ერთ-ერთი მიზეზიც კი იყოს, რატომაც უნდა მას უკან დაბრუნება. ეტყობა, „ჩელსიში“ დაუმთავრებელი საქმეები დარჩა. შეიძლება თუ არა ლონდონში მეც დავბრუნდე? ნება მომეცით, ჩემი საქმე „გალათასარაიში“ ვაკეთო. შემდეგ კი ამაზე მსჯელობაც შეიძლება. მშვენიერი იქნებოდა, თუკი მწვრთნელის პოსტზე ვცდიდი ჩემს თავს. „ჩელსისთვის“ ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი და ეს კლუბიც ყველაფერს მხოლოდ საუკეთესოს მაძლევდა. ლონდონში თავს მუდამ ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში. „ჩელსის“ ბაზაზე დღემდე თვალდახუჭულს შემიძლია ვიარო და ზუსტად ვიცოდე, თუ სად ვარ.



დიდიე დროგბა ჩელსის მოურინიოს დაბრუნებას ურჩევს

სასამართლო

# ტევესი: დამნაშავე ვარ



კარლოს ტევესი სასამართლოს ტოვებს

გუშინ პატარა ქალაქ მაკლსფილდში **კარლოს ტევესის** სასამართლო პროცესი გაიმართა. მოგეხსენებათ, მარტის პირველ რიცხვებში პოლიციამ ის სიჩქარის გადაჭარბების გამო გააჩერა და აღმოაჩინა, რომ ფეხბურთელი საკუთარი „პორშე კაიენის“ საჭეს ვადაგასული მართვის მოწმობით მართავდა. მან თავის გასამართლებლად სამართალდამცავებთან ტყუილის თქმაც კი იკადრა. 27 წლის არგენტინელს პოლიციასთან მსგავსი პრობლემა ადრეც შექმნია. შესაბამისად, მისი მდგომარეობა ამან კიდევ უფრო გაართულა. მოსამართლის გადაწყვეტილება უკვე ცნობილია: „მანჩესტერ სიტის“ ვარსკვლავს 1000 ფუნტის ჯარიმისა და 250 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოების შესრულება დაევალა. ფეხბურთელის ადვოკატის **გვენ ლუისის** თქმით, არსებობდა შანსი, რომ ტევესისთვის 6 თვით თავისუფლების აღკვეთაც კი მიესაჯათ. ადვოკატის რჩევით კარლოსმა ყველა წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ სცნო, რამაც, როგორც ჩანს, თემიდას პოზიცია შეარბილა. ტევესი ავტომობილის მართვის უფლებას მხოლოდ 2013 წლის 3 ოქტომბერს დაიბრუნებს.

ის არც პირველი ფეხბურთელია და ნამდვილად არ იქნება უკანასკნელი, ვისაც სასამართლომ საზოგადოებრივ საწყისებზე შრომა დაავალა. მსგავსი სანქცია აქამდე შემდეგი ცნობილი მოთამაშეებისთვის დაუკისრებიათ: **ჯოი ბარტონი, დევიდ ნოუბლი, ნათან დაიერი, ერიკ კანტონა** და **დევიდ გუდვილი**.

ამბები

## დევიდ ჯეიმსი ისლანდიაში მიდის



დევიდ ჯეიმსი

„გარდიანის“ ცნობით, „ლივერპულის“, „პორტსმუთის“, „ვესტ ჰემისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილმა გოლკიპერმა, 42 წლის **დევიდ ჯეიმსმა** ისლანდიურ „ვესტმანაეიართან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის გუნდის მეკარეთა მოთამაშე მწვრთნელი იქნება. „ვესტმანაეიარის“ მთავარი მწვრთნელი ისლანდიური ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი **ჰერმან ჰრეიდარსონია**. ისინი „პორტსმუთში“ 2007/10 წლებში ერთად თამაშობდნენ. ინგლისელი მეკარის მიწვევის იდეაც სწორედ მას ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ 16 აპრილს ჰრეიდარსონისა და ჯეიმსის გუნდი ინგლისს ეწვევა და ამხანაგურ თამაშს გამართავს მათ ყოფილ კლუბთან. შემოსული თანხა მთლიანად ფინანსურად შეჭირვებული „პორტსმუთის“ ანგარიშზე გადაირიცხება. აქვე გეტყვით, რომ ორიოდე კვირის წინ ჯეიმსმა ინგლისის ლიგა ერთის „ბორნმუთთან“ გაწყვიტა კონტრაქტი. ასე რომ, ისლანდიაში ის თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩავიდა.

## ტოტენჰემი: ნათხო და ვალერო



ბორხა ვალერო

ბრიტანული და რუსული წყაროები „ტოტენჰემის“ ახალ სატრანსფერო მიზნებზე ალაპარაკდნენ. „იზვესტიას“ ცნობით, ყაზანის „რუბინსა“ და 25 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ **ბიბრას ნათხოს** შორის მოლაპარაკებები კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ჩიხში შევიდა. ფეხბურთელს კლუბთან ხელშეკრულება 2013 წლის ბოლოს უმთავრდება. „ტოტენჰემს“ იმედი აქვს, რომ მოახერხებს მის მოთაფვლას. „დეზების“ გარდა ნათხოს შეძენის სურვილი „სევილიამაც“ დაადასტურა. შესაძლოა, ლონდონელებმა დეკემბრამდე მოიცადონ და ნახევარმცველი თავისუფალი აგენტის სტატუსით წაიყვანონ. ნათჰოს გარდა „ფუტბოლ იტალიის“ მტკიცებით, **ანდრე ვილაშ ბოაშს** „ფიორენტინადან“ 28 წლის **ბორხა ვალეროს** შეძენა სურს. მას პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილება უკვე აქვს. 2008/11 წლებში ის „ვესტ ბრომვიჩში“ თამაშობდა, თუმცა ტრავმების გამო მაშინ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

## ჰესკი კიდევ ერთი წლით



ემილ ჰესკი

„ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა **ემილ ჰესკიმ** ავსტრალიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას 2012 წლის ზაფხულზე მიაშურა და „ნიუკასლ ჯეთსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გუშინ კი მან კლუბთან თანამშრომლობა კიდევ ერთი წლით გააგრძელა. გასულ სეზონში მან 23 თამაშში 8 გოლი გაიტანა, რისი წყალობითაც გულშემატკივრებმა 35 წლის ვეტერანი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. *„მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთი წლით ვრჩები. მოუთმენლად ველოდები მოსამზადებელი შეკრების დასრულებას დაწყებას. იმედია, წელს ბევრად უფრო ძლიერად ვითამაშებთ და დასახულ ამოცანებს შევასრულებთ,“* – განაცხადა ჰესკიმ. აქვე გეტყვით, რომ „ნიუკასლ ჯეთსს“ მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა პლეი ოფში მოსახვედრად.

## დეფო ისევ დამტვრეულია

„ტოტენჰემის“ 30 წლის თავდამსხმელი **ჯერმეინ დეფო** ბარძაყის ტრავმის გამო გუნდს 10-11 დღის განმავლობაში ვერ დაეხმარება. მას უახლოესი სამი თამაში გაუცდება. „დეზებს“ დღეს ევროპა ლიგაზე შვეიცარიული „ბაზელის“ წინააღმდეგ უწევთ დაპირისპირება, ამას გარდა დეფო ვერ ითამაშებს იმავე „ბაზელთან“ გასვლით შეხვედრაში და „ევერტონთან“ XXXII ტურის მატჩშიც.

## სუონსი გაძლიერებას გეგმავს

„დეილი მირორის“ ცნობით, იმისთვის, რომ „სუონსიმ“ ევროპა ლიგაზე ღირსეულად ითამაშოს, კლუბის ხელმძღვანელობა ზაფხულზე სატრანსფერო ბაზარზე სერიოზულ მუშაობას გეგმავს. მეკარის პოზიციის გარდა გაძლიერება ყველა რგოლს სჭირდება. ინფორმაციას **მიკაელ ლაუდრუპის** ასისტენტი **ალან კერტისიც** ადასტურებს. რაც მთავარია, მენეჯმენტი ამჟამინდელი შემადგენლობის სრულად შენარჩუნებას აპირებს. გაზეთებში ხშირად იწერება **მიგელ მიჩუსა** და **ეშლი უილიამსის** მიმართ წამყვანი ინგლისური კლუბების ინტერესზე. თავად ფეხბურთელებს „ლიბერთი სტედიუმიდან“ წასვლა არ სურთ, რაც იმის ნიშანია, რომ გუნდში იდეალური ატმოსფეროა შექმნილი.

## ვესტ ბრომვიჩი თავდამსხმელების გარეშე რჩება



სტივ კლარკი

სეზონის დასრულების შემდეგ „ვესტ ბრომვიჩის“ მთავარი მწვრთნელი **სტივ კლარკი** შესაძლოა უმძიმესი პრობლემის პირისპირ აღმოჩნდეს. 49 წლის სპეციალისტი თავდამსხმელების გარეშე რჩება. მას ამ ეტაპზე შემადგენლობაში 5 თავდამსხმელი ჰყავს: **პიტერ ოდემვინგე** (31 წლის), **მარკუს როსენბერგი** (30), **შეინ ლონგი** (26), **რომელუ ლუკაკუ** (19), **მარკ-ანტუან ფორჩუნი** (31). ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, ლუკაკუს დაკარგვა იქნება, ვისი სატრანსფერო უფლებებსაც „ჩელსი“ ფლობს. იმის მიუხედავად, თუ ვინ დაინიშნება ლონდონელთა მთავარ მწვრთნელად, ბელგიელს „სტემფორდ ბრიჯზე“ თამაში არ სურს და კლუბისგან საიჯარო ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელებას წინასწარ ითხოვს. რაც შეეხებათ სხვებს: ოდემვინგეს იანვრიდან მოყოლებული ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს და წასვლა სურს; როსენბერგი რბილად რომ ვთქვათ, ვერ ბრწყინავს, სეზონში მას ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია; ლონგს კონტრაქტი ერთ წელიწადში უმთავრდება, მაგრამ ამბობენ, რომ მას „ლივერპული“ იწვევს, შესაბამისად, თუ წასვლა მოისურვა, კლუბი მას ვერ დააკავებს; ფორჩუნს კი ხელშეკრულება ეწურება და მწვრთნელს მისი სამსახური აღარ სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● კვირა ციფრებში

# წითლების მიღწევა და ბევრი გოლი

## ლეო მესის სამი რეკორდი

**ამ კვირის სტატისტიკურ მიმოხილვაში ვისაუბრებთ „ლივერპულის", „პარი სენ ჟერმენის" და მიუნხენის „ბაიერნის" მიღწევებზე. ასევე, ყურადღებას გავამახვილებთ ორ არგენტინელზე, ესტებან კამბიასოზე და ლიონელ მესიზე...**

**1800** - გამარჯვება ინგლისის უმაღლეს დივიზიონში. „ლივერპული" გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ამ ნიშნულს მიაღწია. მერსისაიდელთა უახლოესი მდევრები „არსენალი" (1 751 მოგება) და „ევერტონი" (1 754 მოგება) არიან. ბოლო ტურში „ლივერპულმა" „ასტონ ვილას" მოუგო (2:1) და 2013 წელს გატანილი ბურთების რაოდენობა 28-მდე გაზარდა, რაც პრემიერლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია. მეტიც, სხვა 19 გუნდიდან, 20-გოლიანი ნიშნული 2013 წელს ჯერ არავის გადაულახავს.

მიუხედავად ამისა, **ბრენდან როჯერსის** შეგირდები დიდი სიამოვნებით გაუცვლიდნენ ადგილს „მანჩესტერ იუნაიტედს", რომელიც დამაჯერებლად მიიწევს მე-20 ტიტულისკენ. სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა „სანდერლენდს" 1:0 მოუგეს და „მანჩესტერ იუნაიტედი" გახდა პირველი გუნდი ინგლისის უმაღლესი დივიზიონის ისტორიაში, რომელმაც 30 ტურში 25 მატჩის მოგება შეძლო.

**24** - წაუგებელი საშინაო მატჩი ევროტურნირებზე. „პარი სენ-ჟერმენის" ეს საამაყო სერია **ბლეზ მატუიდის** მიერ ბოლო წამებზე გატანილი გოლის წყალობით გაგრძელდა. პსჟ-ს „პარკ დე პრენსზე" ევროტურნირების ეგიდით ჩატარებულ მატჩში 2006 წლის შემდეგ არ წაუგია. მაშინ პარიზელები თელ-ავივის „ჰაპოელთან" დამარცხდნენ (2:4). ჩემპიონთა ლიგაში შემორჩენილ 8 გუნდს შორის ეს წაუგებელი სერია ყველაზე ხანგრძლივია.

აღსანიშნავია, რომ ისტორიის განმავლობაში, ჩემპიონთა ლიგაში პსჟ-მ მატჩის შემობრუნება მხოლოდ მეექვსედ მოახერხა და აქედან სამჯერ ეს „ბარსელონასთან" გააკეთა. გოლით და საგოლე პასით გამოირჩა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, რომელიც **ანდრეი შევჩენკოს, ტიერი ანრის, ფერნანდო მორიენტესის** და **მიხაელ ბალაკის** შემდეგ მხოლოდ მეხუთე ფეხბურთელი გახდა, ვინც ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში გოლის გატანა სამი სხვადასხვა კლუბის რიგებში შეძლო.

**19** - მატჩი ზედიზედ, რომელშიც მინიმუმ ერთი გოლი გაჰქონდა, არის ახალი რეკორდი, რომელიც **ლიონელ**




**მესის** ეკუთვნის. არგენტინელმა გოლი პრიმერა დივიზიონის 19-ვე გუნდს მიყოლებით გაუტანა, რაც ასევე უნიკალური მიღწევაა. ერთი წრე მესიმ „სელტასთან" შეხვედრაში შეკრა. ეს სერია 11 ნოემბერს დაიწყო და ამ პერიოდში „ლა პულგამ" 30 გოლი გაიტანა. ახლა მის ანგარიშზე 43 გოლია, რაც პრიმერას 16 გუნდზე უკეთესი მაჩვენებელია. გარდა ამისა, მესიმ სტუმრად 23-ე გოლი გაიტანა და გაიმეორა **კრიშტიანო რონალდოს** რეკორდი, რომელიც პორტუგალიელმა შარშან დაამყარა.

მესიმ ერთი საერთაშორისო რეკორდიც დაამყარა – „პარი სენ ჟერმენის" კარში გატანილი გოლის შემდეგ, არგენტინელი გახდა პირველი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელმაც გოლის გატანა 20 სხვადასხვა ქალაქში მოახერხა. აქამდე რეკორდს ის და **რაული** ინაწილებდნენ.

**11** - გოლი გავიდა „ბაიერნის" და „ჰამბურგის" შეხვედრაში, ასეთი რამ კი ბუნდესლიგაში 7 წელი არ მომხდარიყო. 2006 წელს, „შალკემ" ლევერკუზენის „ბაიერს" 7:4 მოუგო და ახლა ეს შედეგი გამეორდა, თუმცა საამაყოდ საქმე მხოლოდ მიუნხენის „ბაიერნს" აქვს, რადგან ამ 11 გოლიდან 9 სწორედ მათ გაიტანეს. ამდენი ბურთი მიუნხენურმა კლუბმა ბოლოს 1984 წელს გაიტანა, როდესაც „ოფენბახს" 9:0 მოუგო.

შეხვედრის გმირი გახდა **კლაუდიო პისარო**, რომელმაც 38 წუთში თავი 4-ჯერ გამოიჩინა და 2 საგოლე გადაცემა შეასრულა. პოკერის შესრულების შემდეგ, პერუელის ანგარიშზე ბუნდესლიგაში 164 გოლია. ამ მაჩვენებლით მან **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** გადაასწრო და ბუნდესლიგის ყველა დროის ბომბარდირთა ათეულში შევიდა.

„ჰამბურგმა" „ბაიერნთან" სტუმრად ხუთი ან მეტბურთიანი სხვაობით ზედიზედ მესამედ წააგი (0:5 შარშანდელ სეზონში, 0:6 – შარშანწინ). გარდა ამისა, ამ ანგარიშით „ჰამბურგი" ბავარიაში მეორედ დამარცხდა – 1964 წელს, „მიუნხენს 1860"-მა ასევე 9:2 მოუგო.

**9** - წელი და სერია A-ს 277 მატჩი წითელი ბარათის გარეშე – ასეთი სერია დაასრულა კვირას **ესტებან კამბიასომ**. არგენტინელმა „ინტერის" რიგებში პირველი წითელი ბარათი „იუვენტუსთან" წაგებულ (1:2) შეხვედრაში მიიღო, როდესაც მატჩის ბოლო წუთზე არაადამიანურად ეუხეშა **სებასტიან ჯოვინკოს** და ამ უკანასკნელს კინალამ ფეხი მოტეხა.

ანგარიში **ფაბიო კვალიარელამ** გახსნა და იტალიის პროფესიონალურ ლიგებში (სერია A, სერია B, სერია C) თავისი მე-100 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „კვალიამ" საიუბილეო ბურთი გაუტანა გუნდს, რომლის კარიც აქამდე დალაშქრული არ ჰქონდა. 30 წლის ფორვარდი შეუერთდა **ედინსონ კავანის, ანტონიო დი ნატალეს** და **ალბერტო ჯილარდინოს** – მოქმედ მოთამაშეებს შორის, მიმდინარე სერია A-ს მონაწილე ყველა გუნდის კარში მინიმუმ ერთი გოლი მხოლოდ ამ ოთხ ფეხბურთელს აქვს გატანილი.

კავანიმ, თავის მხრივ, დუბლი გაიფორმა, მისმა „ნაპოლიმ" კი „ტორინოს" სტუმრად მოუგო, რაც 1996 წლის შემდეგ არ ჰქონდა გაკეთებული. სამი გოლი გაიტანა ყოფილმა „ტორინოელმა" **ბლერიმ ჯემაილიმ**. საბოლოოდ, 3:5 და ეს შეხვედრა მიმდინარე სერია A-ს ყველაზე უხვგოლიანი მატჩი გამოდგა.

**ტატო ბაციკაძე**

● სავარაუდო ტრანსფერი



ჟულიო სეზარი

## ჟულიო სეზარი მილანში გადადის

იტალიური გაზეთი „კორიერე დელა სერა" იუწყება, რომ პრაქტიკულად გადაწყვეტილია ბრაზილიის ნაკრების გოლკიპერის, **ჟულიო სეზარის** მომავალი - ის ზაფხულში „მილანში" გადავა.

შეგახსენებთ, რომ 33 წლის მეკარე საფეხბურთო სამყარომ მილანური კლუბიდან გაიცნო, ოღონდ „ინტერიდან", სადაც მან 200-ზე მეტი თამაში ჩაატარა, ამ სეზონში ჟულიო სეზარი „ქუინზ პარკ რეინჯერსში" გადავიდა. ბრაზილიელის კარგი თამაშის მიუხედავად, ლონდონური კლუბი პრემიერლიგიდან ვარდება.

„მილანის" ნომერ პირველი მეკარე **კრისტიან აბიატია**, რომელსაც სეზონის ბოლოს კონტრაქტი უსრულდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი.

# ველესი მომდევნო ეტაპზეა

## პენიაროლის საქმე კი ცუდადაა

**II ჯგუფი. IV ტური**

**პალმეირასი–ტიგრე 2:0**

**გოლები:** 1:0 კაიო (19), 2:0 ჩარლზი (53).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიბერტადი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 2. პალმეირასი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| 3. სპ. კრისტალი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 4. ტიგრე | 4 | 1 | 0 | 3 | 1-6 | 3 |

**IV ჯგუფი. V ტური**

**დეპ. იკიკე–ველესი 1:3**

**გოლები:** 0:1 ს. დომინგესი (7), 0:2 რომერო (19), 1:2 ვილიალობოსი (40), 1:3 კოპეტე (51).

**ემელეკი–პენიაროლი 2:0**

**გოლები:** 1:0 ნასუტი (81), 2:0 გაიბორი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-3 | 12 |
| 2. ემელეკი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-4 | 9 |
| 3. პენიაროლი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |
| 4. დეპ. იკიკე | 5 | 1 | 0 | 4 | 5-10 | 3 |

**VI ჯგუფი. IV ტური**

**რეალ გარს.–დეპ. ტოლიმა 0:3**

**გოლები:** 0:1 რ. ლაიხტვაისი (54), 0:2 რ. ლაიხტვაისი (66), 0:3 რ. ლაიხტვაისი (84).

**სანტე ფე–სერო პორტენიო 1:0**

**გოლი:** 1:0 კუერო (23).

**გაძევება:** კ. ვალდესი (75. სანტე ფე), ფ. ოვიედო (75. სერო პორტენიო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სანტა ფე | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| 2. დეპ. ტოლიმა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 3. რეალ გარს. | 4 | 2 | 1 | 1 | 3-4 | 7 |
| 4. სერო პორტენიო | 4 | 0 | 0 | 4 | 2-6 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 – ბარეირო (ოლიმპია), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე); 3 – ავილა (სპორტინგ კრისტალი), ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო), ჟო (ატლეტიკო მინეირო), გერერო (კორინთიანსი), ლაიხტვაისი (დეპორტეს ტოლიმა), ა. პენია (კარაკასი), საუსედო (სან ხოსე).

სანაკრებო პაუზის შემდეგ განახლდა ლიბერტადორესის თასი, სადაც მე-4 ჯგუფში უკვე მე-5 ტურის მატჩები გაიმართა და 1/8-ფინალში გასული კიდევ ერთი გუნდის ვაინაობა გაირკვა. ეს გუნდი „ველეს სარსფილდი" გახლავთ, რომელმაც სტუმრად „დეპორტეს იკიკეს" 3:1 მოუგო და 12 ქულა მოაგროვა. არგენტინელთა მხრიდან ანგარიში ვეტერანმა მცველმა **სებასტიან დომინგესმა** გახსნა, რასაც ცოტა ხანში ახალგაზრდა **ლუკას რომეროს** გოლი მოჰყვა. აქვე აღვნიშნოთ, რომ 18 წლის ფეხბურთელმა პროფესიონალურ ფეხბურთში პირველი გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ მასპინძელი გააქტიურდა და სხვაობის შემცირება ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის, **მანუელ ვილიალობოსის** წყალობით შეძლო, თუმცა მეორე ტაიმის დებიუტში **ემილიანო პაპას** გადაცემით **ხონათან კოპეტემ** ისარგებლა და შეხვედრას წერტილი დაუსვა. „ატლეტიკო მინეიროს" შემდეგ, „ველეს სარსფილდი" გახდა მეორე კლუბი, რომელმაც მომდევნო ეტაპის საგზური გაინაღდა. „დეპორტეს იკიკეს" კი საშინელი პერიოდი აქვს - ჩილელებმა ყველა ტურნირზე ბოლო 6 მატჩი წააგეს, ხოლო უკანასკნელი 11




როხერიო ლაიხტვაისი დღის გმირი გახდა

შეხვედრიდან 1 მოიგეს („ემელეკთან", ლიბერტადორესის თასზე) და 10 წააგეს! ამ საშინელი სერიის გამო, „იკიკე" ჯგუფში ჩარჩა, ხოლო ჩილეს ჩემპიონატში ბოლოსწინა, მე-19 პოზიციაზეა.

ჯგუფში მეორე ადგილს იკავებს „ემელეკი", რომელმაც უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში „პენიაროლს" მოუგო. ე.წ. 6-ქულიან დაპირისპირებაში ყველაფერი ნულოვანი ფრისკენ მიდიოდა, რაც ურუგვაელთათვის შესანიშნავი შედეგი იქნებოდა, მაგრამ მატჩის ბოლო 10 წუთში გუაიაკილის წარმომადგენლებმა ორი გოლი გაიტანეს და მეტოქეს სამი ქულით გაასწრეს. ახლა, იმისთვის, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეს, „პენიაროლმა" „დეპორტეს იკიკეს" უნდა მოუგოს, ხოლო „ემელეკმა" უმოტივაციო „ველესთან" წააგოს. თავად განსაჯეთ, რამდენად რეალური მოვლენათა ასეთი განვითარება...

სხვა მატჩები მეოთხე ტურის იყო. მე-2 ჯგუფში „პალმეირასმა" „ტიგრეს" უმასპინძლა და რევანში აიღო. არგენტინაში ამ გუნდების მატჩი მასპინძლეთა მინიმალური გამარჯვებით (1:0) დასრულდა. გამარჯვება ამჯერადაც მასპინძლებს დარჩათ. **კაიომ** და **ჩარლზმა** თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს და საკუთარი გუნდი მეორე ადგილზე გადაიყვანეს. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ვინისიუსმა**, რომელსაც გოლი არ გაუტანია, მაგრამ თავი ორი საგოლე პასით გამოიჩინა.

ამ ჯგუფში ჯერ გარკვეული არაფერია და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს ოთხივე გუნდი ინარჩუნებს.

მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა მე-6 ჯგუფშიც, სადაც ერთი აუტსაიდერი გაირკვა - „სერო პორტენიომ" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო და უკვე უშანსოდ არის. პარაგვაელები ამჯერად ბოგოტაში დამარცხდნენ, სადაც მათი მასპინძელი კოლუმბიური „სანტე ფე" იყო. შეხვედრის ერთადერთი გოლი **ჯეფერსონ კუერომ** გაიტანა და საკუთარი გუნდი გაალიდერა.

„სანტა ფეს" გალიდერებაში თავისი წვლილი მეორე კოლუმბიურმა გუნდმა, „დეპორტეს ტოლიმამაც" შეიტანა, რომელმაც სტუმრად „რეალ გარსილასო" გაანადგურა. უფრო სწორად, პერუელებს ერთმა ფეხბურთელმა მოუგო - პარაგვაელმა **როხერიო ლაიხტვაისმა** ჰეთთრიქი შეასრულა და ტურის გმირი გახდა. სტუმართა რიგებში ასევე გამოირჩეოდა 24 წლის „ენგანჩე" **ანდრეს ანდრადე**, რომელმაც ორი საგოლე პასი მიითვალა.

ამ ჯგუფში კოლუმბიური დუეტი ლიდერობს და ბევრი რამ მომდევნო ტურში გადაწყდება, როდესაც „დეპორტეს ტოლიმა" „სანტა ფეს" უმასპინძლებს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები


ფერნანდო ტორესი დამცავი ნიღბით ვარჯიშობს

# მოიგებს ჩემპიონთა თასის მფლობელი ევროპალიგასაც?

## სამი ინგლისური კლუბი გადამწყვეტი შტურმის წინ

**ბენფიკა-ნიუკასლი 23:05**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** სალვიო - ტეილორი, ვუკჩიჩი, ბენ არფა, დებუში, ჰაიდარა (?), ტიოტე (?), კოლოჩინი (?),

**ჩელსი-რუბინი 23:05**

**დისკვალიფიკაცია:** ბა (ჩელ)
**ტრავმა:** კოული, კეჰილი (?)

**ფენერბაჩე-ლაციო 23:05**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კლოზე (?)

**ტოტენჰემი-ბაზელი 23:05**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლორისი, სანდრო, ქაბული, დეფო - დეგენი (?)

**ბომბარდირები:** 8 - ლიბორ კოზაკი (ლაციო); 7 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 6 - როდრიგო პალასიო (ინტერი); 5 - რაულ ბობადილია (იანგ ბოისი), სალომონ რონდონი (რუბინი).

დღეს ევროპალიგის მე-4 გათამაშების მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება - მეოთხედფინალური სტადია. აქამდე ვერ მოაღწია მოქმედმა ჩემპიონმა მადრიდის „ატლეტიკომ". ასე რომ, ევროპალიგას ახალი, რიგით მესამე (2010 - „ატლეტიკო", 2011 - „პორტუ", 2012 - „ატლეტიკო") გამარჯვებული გვეყოლება. ის შეიძლება ჩემპიონთა ლიგის ჯერ კიდევ მოქმედი გამარჯვებული ლონდონის „ჩელსი" იყოს.

„ჩელსი" რუსეთის წარმომადგენელს, ყაზანის „რუბინს" მასპინძლობს. აი, რას ამბობს მასპინძელთა თავკაცი **რაფა ბენიტესი**: „ეშლი კოულისა და კეჰილის ტრავმების გარდა, საკადრო პრობლემები არ გვაქვს. სამწუხაროდ, დაძაბული გრაფიკის გამო, „რუბინთან" მატჩისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. როცა თამაშებს შორის ასე ცოტა დროა, შეუძლებელია ფეხბურთელები ფიზიკურად დატვირთო. ამიტომაც დღეს ჩვენ მსუბუქად ნავივარჯიშეთ და მთელი ყურადღება ტაქტიკას დავუთმეთ. ახლა დროა, მხოლოდ „რუბინთან" მატჩზე ვიფიქროთ", - „ლურჯების" ესპანელი თავკაცი მართლაც შავ დღეშია - „ჩელსიმ" შაბათს პრემიერლიგის მატჩი ითამაშა, ორშაბათს კი ასოციაციის თასის.

**ეშლი კოულს**, რომელიც ახლახან 2 კვირით დაშავდა, შემადგენლობაში **რაიან ბერტრანდი** შეცვლის. **გარი კეჰილიც** ტრავმირებულია, ასე რომ, დაცვის ცენტრში **დავიდ ლუისისა** და **ჯონ ტერის** წყვილს ვიხილავთ. შეტევაში სასტარტოს უბრუნდება **ფერნანდო ტორესი**, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გამარჯვების გოლის ავტორი **დემბა ბა** ევროპალიგაზე ვერ ეხმარება „ჩელსის".

ყაზანის „რუბინის" თავკაც **ყურბან ბერდიევს** საკადრო პრობლემები არ აქვს. გუნდიც უფრო დასვენებულია. უეფას ფორმატში ეს გუნდები ერთმანეთს პირველად შეხვდებიან. თუმცა „ჩელსის" დადებითი ბალანსი აქვს რუსულ კლუბებთან დაპირისპირებაში - ყველა (4) შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა.

„ჩელსის" გარდა ინგლისის ტიტულისთვის კიდევ „ნიუკასლი" და „ტოტენჰემი" იბრძვიან. ლონდონელებმა ახლახან **ჯერმაინ დეფო** დაკარგეს, რაც „დეზებისთვის" დიდი დანაკლისია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საავარაუდო ტრანსფერი

# სარატეს ახალი მსურველი გამოუჩნდა

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში „ნაპოლის" მესვეურები „ლაციოდან" **მაურო სარატეს** გადაბირებას შეეცდებიან. 26 წლის შემტევის ტრანსფერზე კიევის „დინამოს" მესვეურებიც მუშაობენ, თუმცა ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოდის. სულ ბოლო ინფორმაციით, სარატეს უკრაინაში გადაბარგების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნაპოლის" მთავარი კონკურენტი გამოაკლდა.

„გაძეტას" მტკიცებით, ნეაპოლელები რომის „ლაციოს" მესვეურებს **მაურო სარატეს** სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს შესთავაზებენ. მართალია, დედაქალაქელები 15 მილიონს ითხოვენ, მაგრამ ამხელა თანხის გადამხდელი ჯერ არ გამოჩენილა და საეჭვოა, რომ საერთოდ გამოჩნდეს. გამომდინარე აქედან, დიდია შანსი რომაელები დათმობაზე წავიდნენ და 15 მილიონის გაუთავებლად ლოდინს, ნაღდი 8 მილიონი ამჯობინონ.

„ლაციოს" სპორტული დირექტორის, **იგლი ტარეს** თქმით, სარატესთან დაკავშირებით ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ მიუღია, თუმცა სამხრეთელთა დაინტერესების შესახებ მასაც სმენია. ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ისტორიას.

**ლაშა ნიკლაური**


მაურო სარატე

მილანი

# მილანი ერნანესით დაინტერესდა

## პაცინის ისევ არ ათამაშებენ

„კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მილანის" მესვეურები **ერნანესით** დაინტერესდნენ და მისი გადაბირება დაისახეს მიზნად. მართალია, ეს ყველაფერი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარას ეხება და იქამდე კიდევ შორია, მაგრამ ტრანსფერის მასშტაბიდან გამომდინარე, აქედანვე გამოიწვია ჟურნალისტთა ინტერესი. თურმე, 27 წლის ერნანესის თამაშით **მასიმილიანო ალეგრი** დიდი ხანია მოხიბლულია, მისი გადაბირება კი ბრაზილია-იტალიის ამხანაგური მატჩის შემდეგ გადაწყვიტა... იმ პაექრობაში „ლაციოს" შუახაზელი მართლაც შესანიშნავი იყო და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. მართალია, რომაელებს ერნანესთან განშორების არავითარი სურვილი არ აქვთ, მაგრამ „მილანს" რომ მაცდური წინადადების გაკეთება შეუძლია, ყველამ კარგად ვიცით.


ერნანესი

გავრცელებულ ინფორმაციას „მილანის" დირექტორთა საბჭოს წევრი **არიედო ბრაიდა** პრაქტიკულად ადასტურებს: „ერნანესი შესანიშნავი ფეხბურთელია, საოცრად ტექნიკური და მის გადაბირებაზე ნამდვილად არ ვიტყოდით უარს. დიდია შანსი, „ლაციოს" მესვეურებთან მოლაპარაკების პროცესი დავიწყოთ, რადგან ჩემი ინფორმაციით, ბრაზილიელი ხელშეუხებელ მოთამაშეთა რიცხვს არ მიეკუთვნება. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს, უფრო კონკრეტულს დღეს ვერაფერს გეტყვით".

ამასობაში, **ჯამპაოლო პაცინი** გამოჯანმრთელდა და ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრაში, რომელიც „მილანმა" სამოყვარულო გუნდთან გამართა, გოლებიც გაიტანა. თუმცა, **მასიმილიანო ალეგრი** ჯერ მაინც არ აპირებს პაცოს ჯანმრთელობის გარისკვას და მას ალბათ არც „ფიორენტინასთან" შეხვედრაში ათამაშებს. თავად ჯამპაოლო თავს კარგად გრძნობს და ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდება მოედანს ოფიციალურ შეხვედრაში:

„ექიმებს ველაპარაკე და მითხრეს, რომ ტრავმისგან სრულიად გამოვჯანმრთელდი. სარეაბილიტაციო პროცესი ცოტა გაიწელა, მაგრამ ალბათ ასე იყო საჭირო. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მოედანზე დაბრუნების ცხოველი სურვილი მაქვს. თუმცა, ალეგრი არ ჩქარობს და მესმის კიდეც მისი... წინ ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპია, გადამწყვეტი მატჩები გველის და ასეთ დროს, სიჩქარე არ ივარგებს. როგორც ჩანს, კიდევ ერთი თამაშის გამოტოვება მომიწევს".

**ლაშა ნიკლაური**

ინტერი


ანდრეა რანოკია

# რანოკია თავს იცავს

„ინტერმა" ბოლო ორ შეხვედრაში შესაძლებელი ექვსი ქულიდან ნული აიღო, რამაც ისედაც კრიტიკის ქარცეცხლში გახვეული გუნდი, კიდევ უფრო დაამძიმა. ბოლო შეხვედრებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მოექცა **ანდრეა რანოკია**, რომელმაც იმავე „იუვენტუსთან" ბევრი შეცდომა დაუშვა და მთლიანობაში, სუსტი შეხვედრა ჩაატარა. მოკლედ, არასპორტული საქციელისთვის **ესტებან კამბიასოს** მისდგნენ, ცუდი თამაშისთვის კი ყველაზე მეტი რანოკიას მოხვდა. თავად ანდრეა ჟურნალისტებთან არ გამოჩენილა, სამაგიეროდ, მისი აგენტის პირით შეუთვალა მედიას, ზედმეტებში ნუ გადადიხართო:

„აშკარაა, რომ ვიღაცას ძალიან უნდა „ინტერის" ბოლოდროინდელი წარუმატებლობები მთლიანად ერთ ფეხბურთელს მიაწეროს. ვეთანხმები იმ აზრს, რომ განვლილ ორ პაექრობაში „ნერაძურის" დაცვა ვერ იდგა მონოდების სიმაღლეზე, მაგრამ ყველაფრის რანოკიაზე გადაბრალება, აშკარად მეტისმეტია. ანდრეას თავი არ დაუზოგავს და რიგ ეპიზოდებში ბრწყინვალედაც გაისარჯა, შეცდომა კი აბსოლუტურად ყველას შეიძლება მოუვიდეს. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ეს გადამეტებული კრიტიკა შეწყდება და ფეხბურთელს მშვიდად ვარჯიშის საშუალებას მივცემთ".

**ლაშა ნიკლაური**

## იტალია. სერია A

### გამოტოვებული მატჩი

**სამპდორია-ინტერი 0:2**

**გოლები:** 0:1 პალასიო (43), 0:2 პალასიო (90).

**სამპდორია (3-5-2):** რომერო – მუსტაფი, პალომბო, გასტალდელო - დე სილვესტრი, კრსტიჩიჩი (86. მუნარი), ობიანგი, პოლი, ესტიგარიბია (77. პოულსენი) – სანსონე (59. მაქსი ლოპესი), იკარდი.

**ინტერი (4-3-1-2):** ჰანდანოვიჩი – ჯონათანი (58. სილვესტრი), რანოკია, ჟუან ჟესუსი, პერეირა - ძანეტი, გარგანო, კოვაჩიჩი – გუარინი – პალასიო, კასანო (67. კუჟმანოვიჩი).

**გაფრთხილება:** პოლი, კრსტიჩიჩი – კოვაჩიჩი, გარგანო.

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 20-7; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 17-8(9-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| .1. იუვენტუსი | 30 | 21 | 5 | 4 | 59-19 | 68 |
| 2. ნაპოლი | 30 | 17 | 8 | 5 | 55-29 | 59 |
| 3. მილანი | 30 | 17 | 6 | 7 | 52-31 | 57 |
| 4. ფიორენტინა | 30 | 15 | 6 | 9 | 54-37 | 51 |
| 5. ინტერი | 30 | 15 | 5 | 10 | 46-38 | 50 |
| 6. ლაციო | 30 | 15 | 5 | 10 | 38-35 | 50 |
| 7. რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 59-51 | 47 |
| 8. კატანია | 30 | 13 | 6 | 11 | 40-38 | 45 |
| 9. უდინეზე | 30 | 10 | 12 | 8 | 38-38 | 42 |
| 10. პარმა | 30 | 10 | 8 | 12 | 39-39 | 38 |
| 11. კალიარი | 30 | 10 | 8 | 12 | 37-49 | 38 |
| 12. ბოლონია | 30 | 10 | 6 | 14 | 39-38 | 36 |
| 13. სამპდორია | 30 | 10 | 7 | 13 | 35-35 | 36 |
| 14. ტორინო | 30 | 8 | 12 | 10 | 37-41 | 35 |
| 15. კიევო | 30 | 10 | 5 | 15 | 31-45 | 35 |
| 16. ატალანტა | 30 | 10 | 6 | 14 | 30-42 | 34 |
| 17. ჯენოა | 30 | 6 | 9 | 15 | 31-46 | 27 |
| 18. სიენა | 30 | 8 | 8 | 14 | 31-42 | 26 |
| 19. პალერმო | 30 | 4 | 12 | 14 | 25-43 | 24 |
| 20. პესკარა | 30 | 6 | 3 | 21 | 21-61 | 21 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 22 - კავანი (ნაპოლი); 16 – ელ შაარავი (მილანი); 15 - დი ნატალე (უდინეზე); 13 – პაცინი (მილანი), ლამელა (რომა); 12 - დენისი (ატალანტა), იოვეტიჩი (ფიორენტინა); 11 - ოსვალდო (რომა), საუ (კალიარი), ჯილარდინო (ბოლონია), ტოტი (რომა).

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ძლევამოსილი ბაიერნი, უძლური იუვენტუსი

## ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ჰაინკესმა იუვენტუსის წამალი მოიფიქრა: გათიშე პირლო და იბატონე

გერმანიის საუკეთესო გუნდმა იტალიის საუკეთესო გუნდი ყველა ასპექტში დაჯაბნა და ისეთი ანგარიშით მოუგო, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეკორდმაისტერი ცალი ფეხით ნახევარფინალშია. ცხადია, ტურინში შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ არც ეს „იუვენტუსი“ ჰგავს „ბარსელონას“ და არც „ბაიერნია“ ისეთი „მილანი“, როგორიც ამას წინათ „ნოუ კამპზე“ ვნახეთ. მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სწრაფმა გოლმა მატჩზე და შედეგზე დიდად იმოქმედა, არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, მაგრამ „იუვენტუსი“ ისეთი გუნდია, რომელიც ასეთ დონეზე გაძლებისა და იღბალის იმედად უნდა იყოს. სამშაბათს ანტონიო კონტეს გუნდს სხვა ვერაფერი შევატყვეთ. გასაგებია, რომ „ბაიერნი“ ბრწყინვალე ფორმაშია, რასაც ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილიც მოწმობს, მაგრამ „იუვემ“ მთელი მატჩის განმავლობაში ვერაფერი შეცვალა, თამაში ვერაფრით გააუმჯობესა. შესაბამისად, რთულია იმის მტკიცება, რომ დავიდ ალაბას სწრაფი და რიკოშეტით გასული გოლი რომ არ გაეტანა, სხვანაირ სურათს ვიხილავდით. ავსტრიელმა ანგარიში 26-ე წამზე გახსნა - „იუვენტუსისთვის“ ეს პირველი მიღებული გოლი იყო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის შემდეგ. ამ გოლამდე ჯიჯი ბუფონს ჩემპიონთა ლიგაში 490-წუთიანი მშრალი სერია ჰქონდა. აქვე ვთქვათ, რომ „ბაიერნმა“ ევროტურნირებზე 150-ე შეხვედრა მოიგო, „იუვენტუსმა“ კი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველი მარცხი იწვნია. საპასუხო მატჩი 10 აპრილს გაიმართება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ბებერი ქალბატონი“ ბავარიულ გიგანტს ისეთს ვერაფერს მოუხერხებს, „ბაიერნის“ ნახევარფინალში გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ რომ დააყენოს.

| ბაიერნი-იუვენტუსი | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ალაბა (1), 2:0 თ. მიულერი (63)
**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - შვაინშტაიგერი, ლუის გუსტავო - თ. მიულერი, კროოსი (16. რობენი), რიბერი (93. შაჩირი) - მანჯუკიჩი (91. გომესი).
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო, პელუზო (75. პოგბა) - მატრი (65. ვუჩინიჩი), კვალიარელა (65. ჯოვინკო).
**გაფრთხილება:** მანჯუკიჩი, ლუის გუსტავო - კიელინი, ვიდალი, ლიხტშტაინერი
**მაყურებელი:** 68 000

### რეაქციები

**იუპ ჰაინკესი („ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი):** „ალბათ შეატყვეთ, რომ ამ მატჩისთვის მართლაც ძალიან კარგად ვიყავით მომზადებულები. ტურინელებს შეტევებს ადრევე, მათ ნახევარზე ვუშლიდით და ანდრეა პირლო თამაშიდან გავთიშეთ. მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა. პირველიდან ბოლო წამამდე ვდომინირებდით და ისეთი შედეგი დავაფიქსირეთ, როგორიც გვინდოდა.“

**ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი):** „ამ გამარჯვების მოპოვება ადვილი არ იყო, რადგან იტალიელები ძალიან საინტერესო და მეტოქეებისთვის არაკომფორტული ტაქტიკური სქემით თამაშობენ. ბუნდესლიგაში ასეთი ტაქტიკით არავინ თამაშობს და ჩვენც ფაქტობრივად პირველად ვეთამაშეთ გუნდს, რომელსაც სამი ცენტრალური მცველი ჰყავს. „იუვეს“ საყრდენი ნახევარმცველები უჩვეულოდ წინ დგანან, ბონუჩი კი ფაქტობრივად ლიბეროა. იმის თქმა მინდა, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ, გული კი იმაზე მწყდება, რომ კიდევ უნდა გაგვეტანა. სამწუხაროა, რომ ეს ვერ მოვახერხეთ, რადგან ტურინში რთული მატჩი გველის. 2:0 კომფორტული ანგარიშია, მაგრამ ნახევარფინალში ჯერ არ ვართ.“

**თომას მიულერი (ბაიერნი):** „ძალიან ვწუხვარ, რომ მესამე გოლი ვერ გავიტანეთ, მაგრამ 2:0-იც ძალიან კარგი შედეგია. 3:0 რომ მოგვეგო, შეიძლება, ტურინში კონცენტრაცია დაგვეკარგა, 2:0 კი ამის უფლებას არ გვაძლევს. ჩვენი მთავარი ამოცანა პირლოს გათიშვა იყო. სწორედ ამიტომ, მასთან მუდმივად ერთი ჩვენგანი მაინც იყო. სწორედ პირლოზე პერსონალური მეურვეობის დამსახურებაა ის, რომ ტურინელები ვერ გვიტევდნენ.“

**ფილიპ ლამი („ბაიერნის“ კაპიტანი):** „იუვენტუსი დიდი გუნდია და ნურავინ იფიქრებს, რომ ნახევარფინალში თამაში განაღდებული გვაქვს. ერთ კვირაშიც ზუსტად ასე, მაქსიმალური მონდომებითა და კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ.“

**ანტონიო კონტე („იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი):** „ბაიერნი“ საუკეთესოა იმ გუნდებს შორის, რომლებსაც ამ სეზონში შევხვდით. გულახდილები უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ მეოთხედფინალში ჩვენზე ძლიერ მეტოქეს გადავეყარეთ. ჰო, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ჩვენც ცდას არ დავაკლებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ნახევარფინალში გასვლა ძალიან გაგვიჭირდება.“

**ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსის“ კაპიტანი):** „მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „ბაიერნმა“ ეს გამარჯვება ასი პროცენტით დაიმსახურა. გული მტკივა, ამის აღიარება რომ მიწევს, მაგრამ ასეა და ამაზე ორი აზრის არსებობა დაუშვებელია. „ბაიერნი“ დღეს ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო, ჩვენ კი სიმსუბუქე გვაკლდა.“

**ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი):** „მიუნხენელებმა ძალიან მაღალი ტემპი შემოგვთავაზეს და გვაიძულეს, ბურთი ხშირად უმისამართოთ მოგვეგერიებინა. ცხადია, უკეთესი შედეგის მიღწევის იმედი გვქონდა, მაგრამ წინ საპასუხო მატჩია, ჩვენ კი ზუსტად ერთი კვირა გვაქვს იმისათვის, რომ ამ მატჩისთვის რაღაც მოვიფიქროთ. მჯერა, რომ „იუვენტუსს“ შეუძლია ამ ჩამორჩენის არმოფხვრა და ნახევარფინალში გასვლა. ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთის თამაში დღეს ნაჩვენებზე გაცილებით უკეთესად შეგვიძლია და ბოლომდე ვიბრძოლებთ.“



ტურინელებმა მიუნხენელებს ვერაფერი დაუპირისპირეს

### შემადგენლობები

იუპ ჰაინკესმა „ბაიერნი“ იმ ძირითადი შემადგენლობით ათამაშა, როგორსაც ველოდით: ბუნდესლიგის ბოლო ტურისგან განსხვავებით (9:2 ჰამბურგთან), **კლაუდიო პისაროს** ნაცვლად ცენტრფორვარდის პოზიციაზე **მარიო მანჯუკიჩი** ვიხილეთ, **არიენ რობენი** კი მარჯვენა ფლანგზე **თომას მიულერმა** შეცვალა. თუმცა, რაკი **ტონი კროოსი** მალევე დაშავდა (ამ სეზონში ალბათ ველარ ითამაშებს), რობენი თამაშში მე-16 წუთიდან, მარჯვენა გარემარბად ჩაერთო, ცენტრში კი მიულერმა შეიწია. დისკვალიფიცირებული **ხავი მარტინესის** ნაცვლად, „დონ იუპმა“ მეორე საყრდენად მოლოდინისამებრ ბრაზილიელი **ლუის გუსტავო** გაამწესა.

**ანტონიო კონტემ** „იუვესთვის“ ჩვეული ტაქტიკური სქემა 3-5-2 აირჩია. ცოტათი მოულოდნელი იყო თავდასხმაში **ფაბიო კვალიარელასა** და **ალესანდრო მატრის** დუეტის გამწესება (**მირკო ვუჩინიჩი** და **სებასტიან ჯოვინკო** სკამზე დასხდნენ). მარცხენა ფლანგზე კი, კონტე ისევ **პელუზოს** ენდო და არა **ასამოას**.

**გმირი**

**მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი)**

შესაძლოა, ყველაზე ეფექტურად **ფრანკ რიბერი** მოგეჩვენათ, მაგრამ „ბაიერნიდან“ ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ხორვატ თავდამსხმელს ჰქონდა. **მანჯუკიჩმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჰაინკესი მას **მარიო გომესზე** წინ სამართლიანად აყენებს. ხორვატი გუნდისთვის ბევრს შრომობდა, ძალიან ბევრი ირბინა და მნიშვნელოვანი ორთაბრძოლების აბსოლუტური უმეტესობა მოიგო. მანჯუკიჩი ბურთსაც ჩინებულად იჭერდა და „იუვეს“ მცველებს ბევრი პრობლემა შეუქმნა. ამასთან, მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი გოლი სწორედ მისი ჭკვიანური მოქმედებისა და აზრიანი პასის შემდეგ გავიდა.

**ანტიგმირი**

**კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი)**

რაკი ბავარიელებმა **პირლო** კარგად დაკეტეს და გასაქნი არ მისცეს, ტურინელთა მხრიდან თამაშის თავის თავზე აღება პირველ რიგში სწორედ **მარკიზიოს** მოეთხოვებოდა, მაგრამ, ამას ვინ ჩივის, კლაუდიო „იუვენტუსის“ ნახევარდაცვაში ყველაზე სუსტი იყო. მარკიზიო ბურთს მხოლოდ 38-ჯერ (!) შეეხო და ორთაბრძოლების მხოლოდ 50 პროცენტი მოიგო.

### მსაჯი

ვერ ვიტყვით, რომ ინგლისელმა **მარკ კლატენბურგმა** კარგად იმსაჯა. პირველ ტაიმში ტურინელები დაინდო, მეორე ტაიმში, მიუნხენელები, ხშირად მცირეოდენ შეხებაზეც კი უსტვენდა, ზოგჯერ კი აშკარა ჯარიმას არ აფიქსირებდა. არასწორად მოიქცა, როცა რიბერიზე უხეშობის შემდეგ **არტურო ვიდალი** არ გააფრთხილა და კლატენბურგს **ანდრეა ბარძალიც** გადაურჩა - მანჯუკიჩზე ტაქტიკური ფოლის დროს ეს უკანასკნელი ყვითელ ბარათს იმსახურებდა. სამაგიეროდ, მანჯუკიჩი ასეთივე ჯარიმის გამო დაუფიქრებლად გააფრთხილა. **ლიხტშტაინერისა** და ლუის გუსტავოს გაფრთხილების დროს მსაჯმა აშკარად გადაამეტა, მისმა ასისტენტმა კი ვერ შენიშნა, რომ მეორე გოლის დროს თამაშგარე მდგომარეობა იყო. ყველა „ბედნიერებასთან“ ერთად, კლატენბურგმა ვერც ის დაინახა, როგორ ჩაარტყა უკნიდან გაშლილი ფეხი რიბერიმ ვიდალს, რისთვისაც ფრანგი გაძევებას იმსახურებდა.

### მწვრთნელები

ორი აზრი არ არსებობს: ჰაინკესმა „ბაიერნი“ ამ მატჩისთვის ყველანაირად გაცილებით უკეთესად მოამზადა, ვიდრე კონტემ „იუვენტუსი“. „დონ იუპს“ მალევე შეეცვალა გეგმები, რადგან ტონი კროოსი დაშავდა და შესაცვლელი გახდა. დანარჩენი ორი შეცვლა კი ბავარიელთა თავკაცმა 90-ე წუთის შემდეგ განახორციელა, რითაც „იუვენტუსს“ უკანასკნელი შტურმის შანსი მოუსპო.

„იუვენტუსმა“ პირველი გოლი პირველივე წუთზე გაუშვა და კონტეს რაღაცის მოსაფიქრებლად მთელი თამაში ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, ვერაფერი შეცვალა. ჯოვინკოსა და ვუჩინიჩის მოედანზე ერთად შემოყვანაში სიახლე მხოლოდ ის იყო, რომ თამაშში დაღლილი თავდამსხმელების ნაცვლად დასვენებულები ჩართო, „იუვენტუსი“ კი ამ თამაშში უფრო ტაქტიკურ ან სტრატეგიულ ცვლილებებს საჭიროებდა.

### რაც თვალში მოგვხვდა

- **ალაბას** სწრაფი გოლის შემდეგ, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში „იუვენტუსი“ ოდნავ დომინირებდა. ხშირი იყო მარტივი შეცდომები როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდში.
- ბავარიელები „იუვენტუსის“ მთავარ სტრატეგ პირლოს პერსონალურად მეურვეობდნენ. ოღონდ, ამას რიგრიგობით აკეთებდნენ - ანდრეას ფეხზე ხან კროოსი „აჯდა“, ხან მიულერი, ხან **შვაინშტაიგერი**, ხან გუსტავო და ხანაც თვით მანჯუკიჩი! შესაბამისად, პირლო ბურთს უმეტესად ბრძოლაში იღებდა, გრძელ პასებს ველარ აკეთებდა და მეტიც - არაერთი არაზუსტი პასი გააკეთა. საერთო ჯამში პირლო ბურთს მხოლოდ 56-ჯერ შეეხო, რაც მისთვის ძალიან ცოტაა.
- კროოსის რობენით შეცვლის შემდეგ „ბაიერნის“ შეტევები გაცილებით მძაფრი გახდა - პირველ რიგში იმიტომ, რომ მარჯვენა ფლანგიც ძალიან გააქტიურდა. მიუნხენელებმა მომენტებიც შექმნეს, მაგრამ იოლად ანიავებდნენ.
- მეორე ტაიმი „იუვენტუსმა“ მნიშვნელოვნად პასიურად დაიწყო - ტურინელები მეტწილად საკუთარ ნახევარზე განლაგდნენ და ბურთი „ბაიერნს“ დაუთმეს.
- მიუხედავად იმისა, რომ იგებდნენ, მიუნხენელები მაინც პრესინგს მიმართავდნენ. ბევრს შრომობდა მანჯუკიჩი, რიბერი და რობენი კი ფლანგის მცველებსაც აქტიურად ეხმარებოდნენ.
- არტურო ვიდალი „ბაიერნის“ წინააღმდეგ გასაგები მიზეზის გამო უაღრესად მოტივირებული გახლდათ, ზედმეტად მოტივირებულიც კი, რამაც ჩილელს მხოლოდ ავნო. ვიდალი პროვოკაციებსაც არ ერიდებოდა და გაუმართლა, გვიან რომ გააფრთხილეს, თუმცა ასეთი ვიდალიც კი ტურინელთაგან საუკეთესო იყო.

### დასკვნა

„ბაიერნს“ გაუმართლა, სწრაფი გოლი რომ გაიტანა, მაგრამ მიუნხენელები მთელი 90 წუთის მანძილზე ისე დომინირებდნენ, რომ მათი გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია, 2:0 კი სავსებით ლოგიკური შედეგია იმისა, რაც სამშაბათს „ალიანს არენაზე“ ვნახეთ.

**გოტფრიდ ლენცი**

# ნაცნობი თემა მადრიდში

## და დიდი უსამართლობა ლა როსალედაზე



| მალაგა-ბორუსია (დ) | 0:0 |
|---|---|

**მალაგა (4-4-2):** კაბალიერო - გამესი, დემიKელისი, ველიგტონი, ანტუნეში - იტურა, ტულალანი, ისკო (87. დუდა), სანჩესი - სავიოლა (67. პორტილიო), ბაპტისტა (76. სანტა კრუსი).
**ბორუსია (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, სანტანა, შმელცერი - გოუნდოგანი, კელი (80. ს. ბენდერი) - როისი (69. შიბერი), გიოტცე (90+1. კირხი), გროსკროიტცი - ლევანდოვსკი.
**გაფრთხილება:** ანტუნეში, ველიგტონი, იტურა - გროსკროიტცი
**კარში დარტყმა:** 6-12 (3-6) **კუთხური:** 4-2 **თამაშგარე:** 0-3 **ჯარიმა:** 10-14 **ბურთის ფლობა:** 51%-49%
**მაყურებელი:** 28 548

“მალაგასთან” მატჩამდე გერმანიის მოქმედი ჩემპიონების თავკაცმა **იურგენ კლოპმა** თქვა, ანდალუსიელებს კარგი მეკარე, ძლიერი დაცვა და შესანიშნავი შემტევი ფეხბურთელები ჰყავთო. მან კომპლიმენტები არ დაიშურა **ისკოს** მიმართ. მასპინძელთა დამრიგებელმა **მანუელ პელეგრინიმ** კი აღნიშნა, რომ ტურნირის წინ მისი გუნდის არავის სჯეროდა, მათ კი მოახერხეს და გულშემატკივარს დაუვიწყარი საღამოები აჩუქეს. ის წინასწარ ელოდა ულამაზეს სანახაობას. გამოცდილ სპეციალისტს ალღომ არ უმტყუნა. “ლა როსალედაზე” დიდი უსამართლობა მოხდა: მსგავსი თამაშები უგოლოდ არ უნდა მთავრდებოდეს. გერმანელებმა, ტაიმების საწყის წუთებს თუ არ ჩავთვლით, მოახერხეს და მეტოქეს საკუთარი თამაში მოახვიეს თავს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **ილქაი გიუნდოგანისა** და **რობერტ ლევანდოვსკის** თამაში. უნდა ვახსენოთ **მარიო გიოტცეც**, ვინც 3-4 ისეთი მომენტი დალუპა, თამამად შეიძლებოდა მატჩის ანტიგმირად დაგვესახელებინა, რომ არა “დორტმუნდის” მიერ მიღწეული დადებითი შედეგი. განმეორებითი მატჩი სულ რაღაც 6 დღეში გაიმართება. იმის გათვალისწინებით, რომ პელეგრინის **ვიტორინო ანტუნეში** და **მანუელ იტურა** დისკვალიფიკაციების გამო დააკლდება, გერმანელების შანსი ერთიორად იზრდება.

| რეალი-გალათასარაი | 3:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 რონალდო (9), 2:0 ბენზემა (29), 3:0 იგუაინი (73)
**რეალი (4-2-3-1):** ლოპესი - ესიენი, რამოსი, ვარანი, ფ. კოენტრაო - ჩაბი ალონსო, ხედირა - დი მარია (85. პეპე), იოზილი (80. მოდრიჩი), რონალდო - ბენზემა (65. იგუაინი).
**გალათასარაი (4-3-1-2):** მუსლერა - ებუე, კაია, ნუნკეუ, რიერა (83. ამრაბატი) - ალტინტოპი (78. ბულუთი), მელო, ინანი - სნეიდერი (46. ზანი) - ილმაზი, დროგბა.
**გაფრთხილება:** ესიენი, რამოსი, მოდრიჩი - ნუნკეუ, მელო, ილმაზი, დროგბა
**კარში დარტყმა:** 9-11 (7-5) **კუთხური:** 2-4 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 16-17 **ბურთის ფლობა:** 49%-51%
**მაყურებელი:** 76 462

პირველი წყვილისგან განსხვავებით, “რეალსა” და “გალათასარაის” ევროთასებზე ერთმანეთში თამაშის გამოცდილება უკვე ჰქონდათ. 2000/01-ის სეზონში სამეფო კლუბმა სუპერთასზე “ლომებთან” 1:2 წააგო, რამდენიმე თვის შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში გადაეყარა. ამჯერად ორი მატჩის ჯამში მადრიდელები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ (2:3, 3:0). სპეციალისტების უმრავლესობამ ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის შემდეგ შეიძლება გაიფიქრა, რომ **ჟოზე მოურინიოს** გუნდს გაუმართლა, მაგრამ სტამბულელთა ჩამოწერა, ჩვენი აზრით, მაინც ნაადრევი იყო, რაც მატჩის მიმდინარეობამაც დაამტკიცა. არა, არაფერი გვეშლება. ანგარიშის მიუხედავად **ფატიჰ თერიმის** გუნდი სულაც არ ჰგავდა განწირულს. უბრალოდ, მადრიდელთა საშემსრულებლო ოსტატობა შეუდარებლად მაღალი აღმოჩნდა. ჩემპიონთა ლიგის წინა დღის 1/4-ფინალების “ტრადიცია” არ დარღვეულა და ნორვეგიელმა არბიტრმა **სვენ ოდვარ მოენმა** შეხვედრის 31-ე წუთზე უხეში შეცდომა დაუშვა, როცა საჯარიმოში **სამი ხედირას** მიერ ხელით თამაშისთვის აშკარა პენალტი არ დანიშნა. დარწმუნებულები ვართ, ეს ეპიზოდი კიდევ დიდხანს იქნება მასმედიის განსჯის საგანი.

**ლევან ბიბილაშვილი**

# კრება დარჩა მხიარული

## 2:2-ით ყველა კმაყოფილია

**პარიზში** დაფიქსირებული 2:2 ისეთი შედეგია, რომლითაც ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩა - კარლო ანჩელოტის გუნდი იმით, რომ „ბარსასთან“ ორჯერ აგებდა და საბოლოოდ ფრეს მიაღწია, კატალონიელები კი იმით, რომ საპასუხო მატჩი „ნოუ კამპზე“ გაიმართება და... გაიხსენეთ თუნდაც „მილანთან“ მატჩი! თუმცა პსჟ უშანსოდ ნამდვილად არაა.

| პსჟ-ბარსელონა | 2:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 მესი (38), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (79), 1:2 ჩავი (89-პენ), 2:2 მატუიდი (94)
**პსჟ (4-4-2):** სირიგუ - ჟალე, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - ლუკას მოურა, ბექჰემი (70. ვერატი), მატუიდი, პასტორე (76. გამეირო) - ლავეცი (66. მენეზი), იბრაჰიმოვიჩი.
**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო (84. ბარტრა), ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი, მესი (46. ფაბრეგასი), ვილია (81. ტელიო).
**გაფრთხილება:** მატუიდი, ბექჰემი, იბრაჰიმოვიჩი, სირიგუ - პიკე, ალბა, მასკერანო, დანი ალვეში
**მაყურებელი:** 45 336

### რეაქციები

**ლეონარდო (პსჟ-ს სპორტული დირექტორი):** „დღევანდელი მატჩით ყველანი ვამაყობთ. თავი დავანებოთ იმას, რომ „ბარსელონასთან“ 2:2 მისაღები შედეგია - პირველ რიგში იმით ვამაყობთ, რომ „ბარსას“ ძალიან კარგად ვეთამაშეთ და ბოლო წამამდე თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ. მსოფლიოში საუკეთესო გუნდს ვეთამაშებოდით და მიუხედავად იმისა, რომ პსჟ-ს ამ შემადგენლობით დიდი გამოცდილება არა აქვს, კატალონიელები მთელ რიგ ეპიზოდებში დავჯაბნეთ. ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ სწორ გზას ვადგავართ და პსჟ ევროპის სუპერგრანდად ყალიბდება. ცხადია, „ნოუ კამპზე“ ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ნახევარფინალში გასასვლელად ბოლომდე ვიბრძოლებთ.“

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ):** „მართლა ძალიან კარგად ვითამაშეთ და საკმაოდ ბევრი მომენტი შევქმენით. ორჯერ ვაგებდით და თამაშში ორივეჯერ დავბრუნდით. წაგების შემთხვევაში შანსი მინიმუმამდე შემცირდებოდა, ფრე კი მისაღები შედეგია და ვფიქრობ, რომ ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი გვაქვს.“

**დევიდ ბექჰემი (პსჟ):** „ძალიან მაგარი თამაში იყო და ფრე ჩვენთვის ნორმალური შედეგია. უბედნიერესი ვარ, რომ მწვრთნელი ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში მენდო. ეს ჩემთვის დაუვიწყარი საღამო იყო. მიმაჩნია, რომ ამ დონეზე სათამაშოდ მზად ვარ, ფიზიკურად არავის ჩამოუვარდები.“

**ჟორდი როურა („ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი):** „პარიზში ფრე მიუღებელი შედეგი არაა, მაგრამ მოგებას ვიმსახურებდით და უნდა მოგვეგო. მსაჯი რამდენიმე ეპიზოდში პსჟ-ს სასარგებლოდ შეცდა. პირველ რიგში იბრაჰიმოვიჩის გოლს ვგულისხმობ - ზლატანი თამაშგარე მდგომარეობაში იყო. გული მწყდება ლეო მესისა და ხავიერ მასკერანოს ტრავმებზეც. მესის ტრავმა სერიოზული არაა, მასკერანო კი თვე-ნახევარი დაგვაკლდება.“

### ანალიზი

**კარლო ანჩელოტიმ დევიდ ბექჰემის** ძირითად შემადგენლობაში გამწესებით ბევრი გააოცა, ვეტერანმა ინგლისელმა კი თავისი თამაშით ვერავინ გააკვირვა და კარლიტომ ის მოედნიდან საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე გაიყვანა. საკადრო თემაზე აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ბარსელონამ“ მთელი მეორე ტაიმი **ლიონელ მესის** გარეშე ითამაშა. საბედნიეროდ, არგენტინელის ტრავმა სერიოზული არაა და ლეო საპასუხო მატჩამდე გამოჯანმრთელებას, სავარაუდოდ, მოასწრებს.

პარიზელებმა თავიდანვე აქტიურად შეუტიეს. ანჩელოტის გუნდი კომპაქტურად იდგა, მედგრად იბრძოდა და **ვალდესის** კართან პირველი მომენტი მეხუთე წუთზე შექმნა, როცა **პასტორემ** კატალონიელთა საჯარიმოში **ლავეცი** მოძებნა, ამ უკანასკნელს კი **ბუსკეტსმა** დროულად შეუშალა ხელი, თუმცაღა ბურთი საკუთარი კარის ძელისკენ გაგზავნა.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ყურადღება პირველად მე-19 წუთზე მიიქცია: შვედმა ჯარიმა მოხდენილად დაარტყა და ვალდესმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. ზუსტად ექვს წუთში იბრას მეორე მომენტი შეექმნა: კონტრშეტევისას **მოურასგან** კარგი პასი მიიღო, დარტყმა კი არაზუსტი გამოუვიდა. ამის შემდეგ „ბარსა“ აზრზე მოვიდა, ბურთი დაიჭირა და თამაშზე კონტროლი დაამყარა, მაგრამ პარიზელები დაცვაში უშეცდომოდ ირჯებოდნენ. ანჩელოტის გუნდის უკანა ხაზი პირველად 38-ე წუთზე შეცდა და „ბარსამაც“ ანგარიში გახსნა: **დანი ალვეშის** ბრწყინვალე პასი მესიმ შეირგო და **სირიგუს** ბურთის მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

მიუხედავად იმისა, რომ აგებდნენ, პარიზელები მეორე ტაიმის საწყის პერიოდში მაინც დაცვიდან თამაშობდნენ. თავად განსაჯეთ: პსჟ-მ მეორე ნახევარში ვალდესის კარისკენ ზუსტად პირველად 71-ე წუთზეღა დაარტყა - ეს **მაქსველი** გახლდათ, რომელსაც ვალდესმა აუღო. დასკვნით ფაზაში კი პარიზელები რისკზე წავიდნენ და შედეგი 79-ე წუთზე მიიღეს: საჯარიმო ჩაწოდებას **ტიაგო სილვა** გამოეხმაურა, მაგრამ მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ვალდესის კარის ძელს მოხვდა, იქიდან ასხლეტილს კი ზლატანმა დაამატა და ანგარიში გაათანაბრა. განმეორებაზე ცხადად გამოჩნდა, რომ შვედი **ტიაგი სილვას** თავურის დროს თამაშგარე მდგომარეობაში იყო, მაგრამ გერმანელმა მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმა** გოლი ჩათვალა.



პარიზელები წაგებისგან მატუიდიმ იხსნა

მატჩის შემდეგ გერმანელ არბიტრს ორივე გუნდი უჩიოდა და შტარკის კრიტიკა სავსებით სამართლიანიცაა, მაგრამ 89-ე წუთზე გერმანელი სწორად მოიქცა, პსჟ-ს კარში პენალტი რომ დანიშნა - სირიგუმ **სანჩესზე** თამაშის წესები დაარღვია. თერთმეტმეტრიანი ჩავიმ გამოიყენა. მაგრამ ანჩელოტის ბიჭებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება: **მატუიდის** გოლი ვალდესის ბრალიცაა და იბრაჰიმოვიჩის დამსახურებაც.

### დასკვნა

„ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს მიღმა ბოლოს 2006/2007 წლების სეზონში დარჩა და წესით, 6-წლიანი ტრადიცია არც ამჯერად უნდა დაარღვიოს.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

# საქართველო ბრიტანეთით იწყებს

დღეს საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" სტარტს აიღებს წყალბურთელ ვაჟთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც A ჯგუფში განთესილი გუნდები ითამაშებენ: საქართველო, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი.

შეგახსენებთ, რომ შესარჩევ ტურნირში პლეი ოფის 6 საგზურისთვის 17 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ. B ჯგუფში (საფრანგეთი, სლოვენია, უკრაინა, შვეიცარია, ბელარუსი, მოლდოვა) პირველი წრის შეხვედრები მაისშია დაგეგმილი, ხოლო C ჯგუფშიც (მალტა, რუსეთი, პორტუგალია, ისრაელი, ბულგარეთი, დანია) პაექრობები დღეს დაიწყება.

ჩვენი ქვეყნის ნაკრები (**ზურაბ ჭუმბურიძე, ზურაბ რურუა, ბექა ქენქაძე, მარკო ელეზი, კონსტანტინე გეგელაშვილი, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, სანდრო რუსიშვილი, ალექსანდრე ყაზახიშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, მიხეილ ბალათურია, ლევან ჩიქვინიძე, დამირ ცრიპულია,** მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ისელიძე,** მწვრთნელი **იოვან პოპოვიჩი**) „ოლიმპიკში" დღეს 18.30 საათზე დიდი ბრიტანეთის ნაკრებს დაუპირისპირდება, ხოლო 17 საათზე სლოვაკეთი - პოლონეთი ითამაშებენ. ჩეხები პირველი ტურში ისვენებენ.

- ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით მოვემზადეთ, - გვითხრა ვლადიმერ ისელიძემ. - ჯერ სერბეთში გავიარეთ საწვრთნელი შეკრება, შემდეგ თურქეთში ვიყავით. ორივეგან რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც გავმართეთ. ჩვენს გუნდს აშკარად გააძლიერებენ ნატურალიზებული წყალბურთელები - მარკო ელაჩა, მარკო ელეზი და დამირ ცრიპულია, რომლებიც ევროპის მოწინავე კლუბებში თამაშობენ. წილისყრამ პირველ მეტოქედ დიდი ბრიტანეთის ნაკრები გვარგუნა. კუნძულელებისთვის აქამდე სამი მატჩი გვაქვს მოგებული და ერთი წავაგეთ წინა შესარჩევ ტურნირში სტუმრად. თუმცა ეს დადებითი ბალანსი არაფერს გვეუბნება, რადგან შარშან ბრიტანელებმა, როგორც ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა, ნაკრები გააძლიერეს და ოლიმპიადაზეც მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. ყოველივეს მიუხედავად, როგორც ინგლისელებთან, ისე სხვა მეტოქეებთანაც მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ...

აქვე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი წრის დანარჩენი ორთაბრძოლების კალენდარსაც გაგაცნობთ:

**5 აპრილი.** დილით. ჩეხეთი - სლოვაკეთი, პოლონეთი - დიდი ბრიტანეთი. საღამოს. საქართველო - სლოვაკეთი, ჩეხეთი - პოლონეთი.

**6 აპრილი.** დიდი ბრიტანეთი - ჩეხეთი, საქართველო - პოლონეთი.

**7 აპრილი.** დიდი ბრიტანეთი - სლოვაკეთი, საქართველო - ჩეხეთი.

ვაჟა დანელია




თავისუფალი ჭიდაობა




# საქართველოში ბევრი ტალანტია

ვლადიმერ მოდოსიანი 1980 წელს წავიდა საქართველოდან კრასნოიარსკში, სადაც დიმიტრი მინდიაშვილის თხოვნით გადავიდა. იმ პერიოდში მინსკში იქაური მწვრთნელის - მალხაზ მერმანიშვილის მეშვეობით ალექსანდრე მედვედიც ეპატიჟებოდა, თუმცა მაინც ციმბირი არჩია. მსოფლიოს ჩემპიონიც იქ გახდა, მაგრამ პირველ მწვრთნელად კარიერის ბოლომდე ნუგზარ სხირელს წერდა, რადგან მან ჩაუყარა საფუძველი ამ დიდ მიღწევას და იქ წასვლისას მზად იყო საამისოდ. მინდიაშვილსაც თავიდანვე შეუთანხმდა, რომ სხირელს ამაგს არ დაუკარგავდა.

მე მეგონა, ის წავიდა და წავიდა საქართველოდან. თავიდან ისიც კი ვიკითხე, ქართული ხომ არ დავიწყებია-მეთქი, მაგრამ თურმე მისი ოჯახი სანახევროდ აქ ცხოვრობს და უფროს ქალიშვილს უმაღლესი სასწავლებელიც თბილისში დაუმთავრებია. ასევე არ ვიცოდი, რომ საქართველოს ჩემპიონი ცურვაში ნანო მოდოსიანი მისი შვილი ყოფილა... ერთი სიტყვით, შორეულ კრასნოიარსკში კი ცხოვრობს, თუმცა არსადაც არ წასულა...

უკვე წლებია, მოდოსიანი რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელია, თუმცა პირადადაც დიდი წვლილი შეაქვს გუნდის საერთო წარმატებაში. მისი პირადი შეგირდები არიან ევროპის სამგზის ჩემპიონი, ტუვინი ოპან სატი, ევროპის ორგზის ყაბარდოელი გამარჯვებული ანზორ ურიშევი, მსოფლიოს ჩეჩენი პრიზიორი ალბერტ სარიტოვი, კონტრაქტის საფუძველზე მასთან ვარჯიშობს იაკუტიიდან კრასნოიარსკში გადაბარგებული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვიქტორ ლებედევიც... ეს მცირე ჩამონათვალია მისი ამჟამინდელი მოსწავლეებისა, მხოლოდ ყველაზე გამორჩეულების. როგორც ვხედავთ, შემადგენლობა ეთნიკურად ფრიად ჭრელია, თუმცა სპორტული შედეგი ერთია - ტოპკლასი, რაც მის სამწვრთნელო რეპუტაციაზე ყველაზე კარგად მიუთითებს. მოდოსიანი ევროპის ჩემპიონატზე გვესტუმრა თბილისში და ეს ინტერვიუც მაშინ ჩავიწერეთ. ვფიქრობ, მის საუბარში მკითხველი იქაურ მოჭიდავეთა მზადების შესახებ ბევრ საინტერესოს ამოიკითხავს.

**- თქვენ შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ცხოვრობთ კრასნოიარსკში და მუშაობთ რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში. რამდენად გაქვთ კავშირი საქართველოსთან?**

- ჩემი მეუღლე ქართველია - გიგაური, რომელიც კრასნოიარსკში გავიცანი. იქ მისი ძმები ცხოვრობდნენ - მოჭიდავეები, ჩემი მეგობრები. მერე ესეც ჩამოვიდა სასწავლებლად, იქ გავიცანი და დავოჯახდით. ორი გოგო მყავს. უფროსი დიზაინერია, მან თბილისში დაამთავრა სამხატვრო აკადემია. უმცროსი 12 წლისაა - ანი მოდოსიანი, რომელიც ცურვაში საქართველოს ჩემპიონია. თავიდან სამკურნალოდ მივიყვანეთ აუზზე, მაგრამ მწვრთნელს მოეწონა, დაიტოვა და საკმაო წარმატებებიც მოიპოვა. ნათესავები, მშობლები - ყველა აქ მყავს და მეც ხშირად ჩამოვდივარ. შეკრებებზე ადლერში დავდივართ, იქიდან ჩამოსვლას კი რა უნდა, ორი საათის საფრენია. შეკრებებს შორის სულ საქართველოში ვარ. დღემდე მიჭირს ქართველების წინააღმდეგ გასვლა. მით უფრო - თუ სხირელის მოსწავლეა. უბრალოდ, რომ არ გაჰყვე, ეს უკვე ღალატია. წარმოიდგინეთ - მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ამზადებ და იქ არ გაჰყვე! ამას ჯობია, გავიდნენ და ვაჟკაცურად იჭიდაონ - ვინც მოიგებს, ალალი იყოს. თან სამსახური სამსახურია და თუ წარმატება არ გექნება, ვერც მორალურად დაკმაყოფილდები და ეს შენს ხელფას-პრემიებზეც აისახება...

ასევე არ გავდივარ იმ შეხვედრაში, სადაც ერთმანეთს ჩემი მოსწავლეები ხვდებიან.

**- ნაკრებში მუშაობის გარდა, კრასნოიარსკში რას საქმიანობთ?**

- ჭიდაობის აკადემიაში ვმუშაობ, რომლის დირექტორიც დიმიტრი მინდიაშვილია. ადრე ის უმაღლესი დაოსტატების სკოლა იყო, მერე კი აკადემიად გადაკეთდა, სადაც უფროს მწვრთნელად ვმუშაობ. მადლობელი ვარ ბედისა, რომ ცხოვრებაში ისეთი მწვრთნელები შემხვდნენ, როგორიც ნუგზარ სხირელი და დიმიტრი მინდიაშვილია.

**- საინტერესოა აკადემიის ფუნქცია - მხოლოდ პრაქტიკული წვრთნებით შემოიფარგლება თუ სამეცნიერო-ლაბორატორიული სამუშაოებიც ტარდება, რაც მოიცავს ფარმაკოლოგიას, საკვებ დანამატებს, ნებადართულ პრეპარატებს და ასე შემდეგ?**

- იქ უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელები მუშაობენ, რადგან მხოლოდ რჩეული ფალავნები მოდიან - რუსეთის ჩემპიონები ან პრიზიორები, ასევე - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის მედალოსნები. იქ რიგითი მოჭიდავე ვერ მოხვდება, პერსპექტიული ახალგაზრდა მხოლოდ რეზერვში თუ იქნება, ასეთი დონის ხალხთან კი გამორჩეულმა მწვრთნელებმა უნდა იმუშაონ.

სინქრონული ცურვა

# მივიწყებული დაგვიბრუნდება

ოცდათხუთმეტი წლის წინათ, როცა საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა ვერე" გაიხსნა, მისი გენერალური დირექტორის, ყოფილი წყალბურთელის **ვლადიმერ გოიაშვილის** ინიციატივით იქ სინქრონული ცურვის სექციაც გაიხსნა, რომელსაც **ანა ივანოვა** ჩაუდგა სათავეში. ორი წლის შემდეგ ჩამოყალიბდა საქართველოს ნაკრები, რომელსაც **კონსტანტინე მაისურაძე** ხელმძღვანელობდა, მთავარ მწვრთნელად კი **ლარისა მარგუნენკო** დაინიშნა. იმ დროს სპორტის ეს ულამაზესი სახეობა ახალი ხილი იყო და მომეცადინეებიც მრავლად იყვნენ როგორც თბილისში, ისე ქუთაისში. გამოჩნდა ნიჭიერი თაობა, რომელმაც მალე მთელი საბჭოეთი აალაპარაკა. იმ გუნდის ღირსეული წევრი გახლდათ **ნინო მაისურაძე,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ახლა იგი საქართველოში სინქრონული ცურვის აღორძინების საინიციატივო ჯგუფს უდგას სათავეში.

- თავიდან ცურვაზე დავდიოდი, მერე მშობლების ინიციატივით სინქრონულ ცურვაზე გადავინაცვლე მზია იაგორაშვილთან, - ბავშვობის წლები გაიხსენა ნინო მაისურაძემ, რომელსაც ამ რამდენიმე დღის წინათ „ოლიმპიკის" აუზზე შევხვდი სინქრონულ მოცურავეთა საქართველოს პირველობაზე. - მერე ახალგაზრდულ ნაკრებში მოვხვდი ლარისა მარგუნენკოსთან. ერთბაშად წამოვიდა ნიჭიერი თაობა. მაშინ ჩემთან ერთად ნაკრებში ვარჯიშობდნენ ქრისტინა ფალასინიდი, ლელა მამიაური, ნინო გელაშვილი, ეკა არჯევანიძე, ელისო მარგველაშვილი, ოლგა დიაკოვა, ანჟელა ვოზნიუკი. რომ ნახეს, ჩვენს ჯგუფს რეალური პერსპექტივა ჰქონდა, ვლადიმერ გოიაშვილის დახმარებით კოტე მაისურაძემ მოსკოვიდან ცნობილი სპეციალისტი ნატალია მაშჩუკი ჩამოიყვანა. მეორე მწვრთნელი იყო ტატიანა კოსტარევა. მათ დიდ დახმარებას უწევდა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ლიანა კაპცოვა.

**- პირველ წარმატებას როდის მიაღწიეთ?**

- 1985 წელს - ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებზე ჯგუფურში ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ. მომდევნო წელს კი კიევში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მე-2 ადგილი დავიკავეთ...

ეს წარმატება მაშინდელ საბჭოეთში მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ჩვენი გოგონები მიღწეულით არ დაკმაყოფილებულან. იმავე 1986 წელს ნინო მაისურაძემ და ელისო მარგველაშვილმა ახალგაზრდულ სპარტაკიადაზე დუეტში ვერცხლის მედალი დაიმსახურეს, ჯგუფურში საქართველოს ნაკრებმა მე-3 ადგილი დაიკავა. მსგავს წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-9 სპარტაკიადაზეც. 1987 წელს ნინო გელაშვილმა და ლელა მამიაურმა საბჭოთა კავშირის თასი მოიგეს, ჯგუფურში საქართველოს ნაკრები აქაც მესამე იყო. 1988 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც ნინო მაისურაძეც გამოდიოდა, ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

მქონდა ბედნიერება, ჩვენი სინქრონული მოცურავეების წარმატებული ასპარეზობისთვის თვალი მედევნებინა 1989 წელს დონეცკში მე-4 საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე. მაშინ ქრისტინა ფალასინიდიმ სოლოში, ქრისტინამ და ნინო მაისურაძემ დუეტში ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი, ხოლო ჯგუფურში ფალასინიდი, მაისურაძე, ელისო მარგველაშვილი, მანანა ჩანქსელიანი, ეკა ასათიანი, ნინო ლომოური, ტატიანა გუტიაკულოვა, ირინე ტარუაშვილი და მაია მელაძე მეორე ადგილზე გავიდნენ.

- 1989 წელი ქრისტინასთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა, - განაგრძო თხრობა ნინო მაისურაძემ. - სეულის მეშვიდეთადგილოსანი ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა - სოლოში, დუეტსა და ჯგუფურში დაიმსახურა ოქროს მედლები. მომდევნო წელს მანანა ჩანქსელიანმა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ჯგუფურში მოიპოვა ევროპის პირველობა.

**- მერე საბჭოთა კავშირი დაიშალა და...**

- სანამ ეს მოხდებოდა, მე და ქრისტინამ საკავშირო ნაკრებთან ერთად იტალიის და გერმანიის ღია ჩემპიონატები მოვიგეთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენთან სინქრონული ცურვის განვითარების არავითარი პირობა არ ჩანდა არეული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის გამო - სპორტისთვის არავის ეცალა. ქრისტინა ფალასინიდიმ და ნატალია მაშჩუკმა საბერძნეთს მიაშურეს. 1991 წელს აქტიურ სპორტს ჩამოვშორდი. 1998-დან 2004 წლამდე ახალგაზრდებს ვავარჯიშებდი, მერე მწვრთნელობას თავი დავანებე.

**- და ისევ დაუბრუნდით სინქრონულ ცურვას?**

- ყოფილმა თანაგუნდელებმა გადავწყვიტეთ, საქართველოში სპორტის ეს სახეობა ავაღორძინოთ. საამისოდ ახლა მეტი საშუალებაა. აუზებიც მომრავლდა. მით უმეტეს, რომ ჩემი თაობის სპორტსმენები რამდენიმე წელიწადია, მუშაობენ ახალგაზრდებთან. აი, ხომ ხედავთ, 10-წლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს პირველობაც ჩავატარეთ. საბერძნეთში მუშაობს ნინო ლომოური-ბოჭორიშვილი, რომელიც იქაურ სპორტსმენებთან ერთად თავის ქალიშვილ ქრისტინესაც ავარჯიშებს. ნიჭიერი გოგოა. რამდენიმე წელიწადია, საქართველოს სახელით გამოდის საერთაშორისო სარბიელზე. 2011 წელს ლუქსემბურგში ევროპის მეგობრული ტურნირი მოიგო თანატოლებში, 18-წლამდელთა ევროპის პირველობაზე მე-10 ადგილი დაიკავა. საქართველოშიც გვყავს ბევრი პერსპექტიული გოგონა. ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა - სინქრონულ ცურვას ჩვენში მომავალი აქვს.

ვაჟა დანელია



აკადემიაში ძირითადად 8-10 მწვრთნელი ვმუშაობთ დაგეგმილი გრაფიკით, თუმცა მხოლოდ ვარჯიშით და წვრთნით არ შემოვიფარგლებით - ფარმაკოლოგიაც არის, ოღონდ არა დოპინგი, და სამედიცინო დაკვირვებაც. შეგირდს ვაკვირდებით და ვიზუალურადაც ხომ ვხედავთ, როგორ ვარჯიშობს, როგორ სძინავს, როგორ იკვებება, როგორ მოძრაობს და ასე შემდეგ, მაგრამ ორგანიზმს ღრმა სამედიცინო გამოკვლევებიც სჭირდება სპეციალური აპარატურით, რასაც წელიწადში 6-ჯერ ვაკეთებთ 2+4 სისტემით, ეტაპობრივად. ისინჯება სისხლი, შარდი, ერთი სიტყვით - ყველაფერი, რათა განვსაზღვროთ, რა დოზით ვავარჯიშოთ. აი, ფორმულა-1-ში ხომ ხდება ხოლმე, როცა წვრთნისას მანქანა ფეთქდება, ადამიანიც ასეა - ისიც შეიძლება, მწყობრიდან გამოვიდეს, გადაიწვას. ჩვენი ამოცანაც ესაა - დავინახოთ და არ მივუშვათ სპორტსმენი აქამდე. როგორც კი ამ დონემდე მივა, უკვე კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, რათა არ გადაიღალოს. ცხადია, ეს რომ განსაზღვროს, მწვრთნელსაც უმაღლესი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს. მისი პროფესიონალიზმი სხვა რამეშიც ვლინდება - ძნელია ოლიმპიურ, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონთან, ვარსკვლავებთან ლაპარაკი. ამიტომ ის ფსიქოლოგიურადაც მაღალ დონეზე უნდა იყოს მომზადებული, შეეძლოს სპორტსმენის განწყობა.

**- თქვენი ნაკრების მოჭიდავეები ფიზიკურად კარგი მომზადებით გამოირჩევიან. რის საფუძველზე აღწევთ ამას - მხოლოდ ვარჯიშის თუ კვებაფარმაკოლოგიის ხარჯზეც?**

- რუსეთში ძალიან დიდი კონკურენციაა - დაღესტანში, ოსეთში ყველა ჭიდაობს. ამ ბოლოს მათ ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და სხვა რეგიონებიც დაემატნენ. ყველგან დიდ ყურადღებას აქცევენ ჭიდაობას, ყველგან უყვართ და შექმნილია სკოლები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. დიდია მწვრთნელთა რესურსიც - მაღალი ხელფასები აქვთ და თავის სარჩენად დამატებითი სამუშაოს ძებნა არ უწევთ, მთლიანად ამ ერთ საქმეზე არიან კონცენტრირებულნი. ბიჭების მიდგომაც პროფესიონალურია, რადგან სამომავლოდ ცხოვრების მოწყობის გარანტია აქვთ, ხოლო სადაც პროფესიონალიზმია, იქ შედეგიცაა. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ აქ ბევრი ტალანტია, ფიზიკურად ძლიერი ხალხია. მაგალითად, ერთმანეთს რომ შევადაროთ 16-17 წლის ციმბირელი და ქართველი, ის ჯერ კიდევ ბავშვია, ეს კი - მამაკაცი. თან ქართული ჭიდაობის ფანდებიც ბევრს ნიშნავს.

**- ნაკრებში თქვენი ფუნქცია მხოლოდ პირად მოსწავლეებთან მუშაობით შემოიფარგლება თუ სხვა როლიც გეკისრებათ?**

- ადრე ყველას ვეხმარებოდი, თუმცა ახლა კონკრეტულად 84 კილოგრამის კურატორობა დამავალეს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სხვები უყურადღებოდ უნდა მივატოვო. მთავარი ხომ გუნდის ინტერესია - რაც შეიძლება, მეტმა მოიგოს, რადგან ჩვენი ბედიც ამაზეა დამოკიდებული - ხელფასი, პრემია, ფინანსური მხარე, პროფესიული ამბიცია, სამომავლო პერსპექტივა... ამიტომ ყველას ვეხმარებით, ვისაც დასჭირდება - ეს სპორტის კანონია. როგორც ექიმს არ შეუძლია, ავადმყოფს უარი უთხრას, პედაგოგებიც ასე ვართ, თუმცა გვაქვს პირადი წონის კურატორობაც და აქედან გამომდინარე - პირადი პასუხისმგებლობაც.

**- ვიცი, რომ პირველხარისხოვანი ტურნირების წინ პერსონალურად განიხილავთ სტრატეგიულ კონკურენტებს. წონაში მაინც რამდენ კაცზე მუშაობთ, თუ კონტიგენტს გააჩნია?**

- ვიდრე ჩემპიონი არ ხარ, მანამ იქნებ 10 ან მეტი რეალური მეტოქე გყავს, მაგრამ რაც უფრო ძლიერდები, მათი რაოდენობაც მცირდება. მაგალითად, ევროპის ამ პირველობისთვის ოპან სატის მთავარ კონკურენტად სამს განვიხილავდით - ხინჩეგაშვილს, როგორც ადგილობრივს და ძლიერს, ბულგარელსა და აზერბაიჯანელ ფალავნებს, რომლებსაც ძლიერი სკოლა აქვთ. ურიშევის მთავარ კონკურენტებად მარსაგიშვილს, ბულგარელ მსოფლიოს ჩემპიონ მიხაილ განევს და ამავე ტიტულის მფლობელ უკრაინელ იბრაგიმ ალდატოვს განვიხილავდით... ამასთან, როცა ახალგაზრდები ჩნდებიან, მათაც ვაკვირდებით.

**- 60 კილოგრამში ნაკრებში ძლიერი კონკურენცია გაქვთ, სადაც აქეთ თქვენი შეგირდი ოპან სატი იმუქრება, ეს ოლიმპიური ციკლი ჩემი იქნებაო, თუმცა სათვალავიდან ამოსაგდები არც თქვენი მეორე მოსწავლე ვიქტორ ლებედევი და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელი ბესიკ კუდუხოვი არიან... შეიძლება პროგნოზი, მოვლენათა როგორ განვითარებას ელოდებით, ვის დარჩება ლიდერობა?**

- სატი ჩვენი აკადემიის წევრია და მე ვეხმარები, თუმცა მას პირველი მწვრთნელი სხვა ჰყავს, რომელიც ევროპის პრიზიორია. ლებედევი მოგვიანებით მოვიდა აკადემიაში და მას კონტრაქტით ვავარჯიშებ - იაკუტიისა და კრასნოიარსკის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. ზოგჯერ იაკუტიაშიც ჩავდივარ მასთან, თუმცა ძირითადად კრასნოიარსკში ემზადება.

ამ წონაში მართლაც ძლიერი კონკურენციაა და ხელწამოსაკრავი არავინაა. ყველა მათგანის ტიტული მნიშვნელოვანია, მაგრამ აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ძლიერ წონაში გამოდიან ანუ მართლაც ძლიერები არიან, თორემ, შეიძლება, ტიტული სუსტ წონაშიც დაისაკუთრო, მაგრამ არ იყო ვარსკვლავი. ლიდერობაზე საუბრისას ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მაგალითად - ასაკი, რადგან ახალგაზრდას თავისზე უფროსთან შედარებით გამოცდილება აკლია. რაც უფრო იზრდები, მით უფრო იხვეწები და ყოველმხრივ ძლიერდები. ვფიქრობ, სადღეისოდ ამ წონაში ყველაზე ძლიერი სატია, რადგან მან დაიმკვიდრა ადგილი ნაკრებში, თუმცა არც ლებედევი არაა ვინმეზე ნაკლები. მას ყველასთან თანაბრად შეუძლია ჭიდაობა, რადგან უმაღლესი დონის ფალავანია. მას და სატს სულ სხვადასხვა სტილი აქვთ და მათ შორის შეხვედრაში ყველაფერი ტაქტიკაზე იქნება დამოკიდებული - ვინ უფრო მომგებიანს აირჩევს. ცხადია, აქ მწვრთნელის როლიც განუზომლად იზრდება.

**- ციმბირელებს იოლად იმორჩილებთ, ადვილია მათთან მუშაობა?**

- თავისებური მიდგომა, ალღოს ალღება მათაც უნდათ. თუ გაუგებ, მათ კულტურას ჩაწვდები, თან გადაგყვებიან. ისინი უფრო ჩვენ გვგვანან - ქართველებს და არა რუსებს. ახლობლობა, ნათესაობა-მეგობრობა უფრო იციან, უფრთხილდებიან ერთმანეთს... ეტყობა, ეს პატარა ერების დამახასიათებელი თვისებაა.

**- როგორ ფიქრობთ, კუდუხოვმა საბოლოოდ დასძლია ის ჩავარდნა, რის გამოც ერთხელ მინდიაშვილმა გააკრიტიკა, პიჟონური ქცევები დასჩემდაო? თან, გასათვალისწინებელია, რომ უკვე მესამე ოლიმპიური ციკლი უწევს მწვერვალზე ყოფნა, რაც ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელია...**

- როცა ადამიანი რამდენჯერმე ხდება ჩემპიონი, ჰგონია, რომ უკვე ყველაფერი იცის. ამ დროს მწვრთნელთან კავშირიც იკარგება და თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს. არადა, სპორტსმენისა და მწვრთნელის მიდგომა სულ სხვადასხვაა - ათლეტი ყოველთვის იოლად გაძრომაზე ცდილობს, რასაც დამრიგებელი არ დაუშვებს. პიჟონებს იმათ ეძახიან, ვინც არ ვარჯიშობს. მთლიანობაში, კუდუხოვი დიდი ტალანტია, ძალიან ჭკვიანი, ყურადღებიანი და ყველა მონაცემი აქვს, თუმცა პირადი მწვრთნელი შეკრებებზე ვერ დაჰყვება, იქ სხვადასხვა ხალხთან ემზადება, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის, მაგრამ ამ ბოლოს ირბეკ ფარნიევი და ჯამბულათ თედეევი ეხმარებიან სტაბილურად.

**- დასასრულს, თბილისიდან წასულ გიორგი კეტოევზეც გკითხავთ, რომელიც გახდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მოიპოვა ოლიმპიური მედალი, მაგრამ მაინც როგორღაც ერთ გაელვებად დარჩა, ძალიან მალე წავიდა სპორტიდან. თქვენი აზრით, რამ შეუშალა ხელი?**

- დიდ სპორტში შედეგს რომ აჩვენებ, მაშინ უნდა შეგეძლოს ვითარების გაკონტროლება, რადგან იმ პერიოდში ძალიან ბევრი მეგობარი გამოგიჩნდება. ამ დროსაა საჭირო მწვრთნელი გვერდით. თან ის საქართველოდან იყო და მასაც ასე დაემართა - გარემოცვამ იქონია გავლენა, არ ვარჯიშობდა სათანადოდ. ესაა ერთადერთი მიზეზი, თორემ მართლაც მეტი შეეძლო.

**ირაკლი თავაძე**

● კლდეზე ცოცვა



# გელდიაშვილის მემორიალი

საქართველოს მეკლდეურთა ფედერაციის ორგანიზებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენობაში მდებარე ხელოვნურ კედელზე ცოცვაში ირაკლი გელდიაშვილის ტრადიციული მემორიალი გაიმართა. შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სტეფანწმინდის, მესტიისა და ლენტეხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**რთული ცოცვა. გოგონები.** 1. თამარ მელაძე (თბილისი), 2. ფატი იოსელიანი (მესტია), 3. სალომე მეშველიანი (ლენტეხი). **ვაჟები.** 1. გიორგი გაბულდანი, 2. გუგა დაბრუნდაშვილი, 3. ლაშა მითაიშვილი (სამივე - თბილისი).

**სწრაფი ცოცვა. გოგონები.** 1. მარიანა იოსელიანი (მესტია), 2. ანა შაქარაშვილი (თბილისი), 3. მელანო გუჯეჯიანი (მესტია). **ვაჟები.** 1. გიგა ჯანხოთელი (ლენტეხი), 2. გიორგი გომიაშვილი (ყაზბეგი), 3. გუგა დაბრუნდაშვილი (თბილისი).

**ვაჟა დანელია**

● ფრენბურთი

# ლევან ახვლედიანი ჩინეთში

მსოფლიოს ფრენბურთის მმართველმა ორგანომ (FIVB) დაადასტურა, რომ 2013 წლის მსოფლიოს ტურის პირველი გათმაშების დირექტორად, რომელსაც ჩინეთის ქალაქი ფუდჯუ უმასპინძლებს, საერთაშორისო ფედერაციაში პლაჟის ფრენბურთის კომისიის წევრი ლევან ახვლედიანი დაინიშნა.

*„2013 წელი ძალიან რთული იქნება ყველასათვის, როგორც მოთამაშეებისთვის, ისე შეჯიბრებების ორგანიზატორებისა და ოფიციალური პირებისთვის. წლეულს ბევრი სიახლეა. ჩემთვის დიდი პატივია, რომ წლევანდელი მსოფლიოს ტურის პირველი ეტაპის დირექტორობა მანდეს.*



*წლეულს პოლონეთი უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. 2013 წლის კალენდარში გაჩნდა ბევრი ახალი ტურნირი, რაც იმის დასტურია, რომ პლაჟის ფენბურთი მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება. ლონდონის ოლიმპიადაზე კი სპორტის ეს სახეობა ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი იყო.*

*იმედი მაქვს, რომ საქართველოს საპორტო ქალაქების ხელმძღვანელები დაინტერესდებიან ასეთი რანგის ტურნირების გამართვით, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ამ ლამაზი სახეობის განვითარებას“* - თქვა ლევან ახვლედიანმა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● იუბილარი

## დღეს ქართული სპორტის ამაგდარს, ჯანსუღ ბაგრატიონს დაბადების 75 წელი უსრულდება

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჟაკ როგის**

### მილოცვა

**ჯანსუღ ბაგრატიონის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით.**



პატივცემულო ბატონო ჯანსუღ, ნება მომეცით ოლიმპიური მოძრაობის სახელით კეთილი სურვილები გადმოგცეთ თქვენს 75 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ თქვენი ცხოვრების ათწლეულები მიუძღვენით სპორტს, როგორც სპორტსმენმა და სპორტულმა მოღვაწემ. ხელბურთელისა და მწვრთნელის თქვენი წარმატებული კარიერა მოგვიანებით ჩაანაცვლეთ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებით, გეკავათ რა წამყვანი პოზიციები ქართული სპორტის ხელმძღვანელ ორგანოებში - სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის და ასევე სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილის სახით.

თქვენ ბრძანდებით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, თავდაპირველად მისი ვიცე-პრეზიდენტი, შემდგომ ეოკ-ის პრეზიდენტი და ამჟამად კი მისი საპატიო პრეზიდენტი.

თქვენი ენთუზიაზმითა და სპორტისადმი უანგარო და ერთგული სამსახურით მნიშვნელოვანი ღირებულებები შემატეთ ქართულ სპორტს და განსაკუთრებული წვლილი შეიტანეთ ოლიმპიზმის იდეალების დამკვიდრებაში, ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ოლიმპიური მოძრაობა მადლიერებას გამოხატავს თქვენი ქვეყნის სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და წარმატებული საქმიანობისთვის ოლიმპიური მოძრაობის განვითარების, მთლიანად საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის სამსახურში.

ძვირფასო ბატონო ჯანსუღ, მსურს გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ამ დიდი წვლილისათვის და გისურვოთ ბედნიერი 75 წლის იუბილე.

**ჟაკ როგი**

® ***საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი***

# დიდი იუბილარი



**ბაგრატიონი ჯანსუღ (ჯანო).** დაიბადა 04. 04. 1938, თბილისი. ხელბურთი. თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“. სსრკ ჩემპიონი (1964), სამგზის მეორე (1965, 66, 67) და მესამე (1963) პრიზიორი. იყო „ბურევესტნიკის“ მთავარი მწვრთნელი (1969-73), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე (1973-84), თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე (1984-86), საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1986-96) და პირველი მოადგილე (1996-2000), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (1996-04) და საპატიო პრეზიდენტი (2004 წლიდან). სპორტის საპატიო ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, ღირსებისა და სოკის ორდენების კავალერი.

იუბილარი იგონებს: „ბავშვობიდან სპორტში ვარ, მეხუთე კლასიდან. პიონერთა სასახლეში კალათბურთის სექცია იყო და იქ თამარ გეგელაშვილთან დავიწყე ვარჯიში. მერე დიდებულ სპეციალისტთან და პიროვნებასთან, მიხეილ კეკელიძესთან ვვარჯიშობდი. მაგრამ ისეთი გამხდარი ვიყავი, ვიფიქრე, ამ საქმეში ბევრს ვერაფერს მივაღწევ-მეთქი. დავშორდი კალათბურთს და როგორც კი „გამოჩნდა“ ხელბურთი, მაშინვე ჩავერთე.

თამაზ ანთაძემ აგვიყოლია. თითქმის ყველანი ხელმოცარული კალათბურთელები ვიყავით და მწვრთნელის ფუნქციაც ყოფილმა კალათბურთელმა გიორგი შარაშიძემ ითავა, თუმცა სიახლეს ენთუზიაზმით მხოლოდ რამდენიმე კაცი მოვეკიდეთ. ვარჯიშის მსურველთა რაოდენობა მერე უცებ რამდენჯერმე გაიზარდა“.

ბაგრატიონი ანთაძესთან ერთად, შეიძლება ითქვას, პირველივე დღიდან იდგა ქართული ხელბურთის სათავესთან, ორივენი პიონერები, გზამკვლევები არიან.

მოკლე ხანში დიდმა ხელბურთმა ასპარეზი შვიდკაცას დაუთმო და თბილისის „ბურევესტნიკიც“ აქტიურად ემზადებოდა საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატისათვის. გამოიკვეთა ჯანოს ამპლუა: „გამთამაშებელი ვიყავი დაცვაზე აქცენტით, რადგან თავდასხმაში ნაკლებად შედეგიანად ვთამაშობდი“. იგი გუნდის დაცვის საიმედო ბურჯი იყო.

ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ 1961 წლის ბოლოს ბაგრატიონმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. მენისკის ოპერაციამ წარმატებით კი ჩაიარა, მაგრამ გამოჯანმრთელებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა და მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ განაახლა ვარჯიში. პირველი ჩემპიონატი გაუცდა და ძალიანაც განიცდიდა: „1962 წელი ჩემთვის ყველაზე მძიმე გასახსენებელია. მეგონა, თავს ავიდგენდი და ვითამაშებდი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. შარაშიძემ მაინც წამიყვანა კაუნასში, გვერდით ვეჯექი. 1964 წელი ჩემთვის საუკეთესო, მართლაც „ოქროს“ წელი იყო - ოპერაციის მერე დავიბრუნე ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში და ჩემპიონიც გავხდი“.

„ლელო“ წერდა: „ჯანსუღ ბაგრატიონი აქამდე არცთუ ხშირად ტყორცნიდა კარში - აშკარად გამოხატული დაცვის მოთამაშე იყო, მაგრამ 1964 წლის ჩემპიონატის მატჩებში მან ბურთის გატანის ოსტატის სახელიც დაიმკვიდრა“.

ეს რაც შეეხება სპორტს. მაგრამ ჯანო ბაგრატიონს არანაკლები წარმატება ჰქონდა სცენაზე. „სიმღერა ჩემი გატაცება, ჰობია. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელი სტუდენტი მეგობრებმა შემაგულიანეს, მოდი, სიმღერაში მოსინჯე შენი შესაძლებლობებიო. სტუდენტურ ოლიმპიადაზე ვიმღერე გურამ ბზვანელის „შიში“. მერე ინსტიტუტის ორკესტრშიც მოვხვდი, მაგრამ ეს საქმე ჩემი პროფესია არ არის და არც პრეტენზია მქონია. ღმერთმა იცის, ჩემგან როგორი მომღერალი დადგებოდა, თუმცა არაპროფესიონალის კვალობაზე ხმაც მაქვს და სმენაც. ახლაც მიყვარს სუფრასთან სიმღერა, მეგობართა წრეში“.

ვულოცავთ იუბილარს დაბადების საიუბილეო 75 წელს.

მრავალჯერ მოგვილოცოს, ბატონო ჯანო!

® **საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია**

● სპორტი და მედიცინა

# მეტი ყურადღება ჩვენს სპორტსმენთა ფიზიკური თვისების - გამძლეობის დონის ამაღლებას

ცნობილია, რომ თანამედროვე სპორტის თითქმის უმრავლეს სახეობებში, სპორტსმენის მიერ მაღალი შედეგების მოპოვება მის კარგ ფიზიკურ მომზადებაზეა დამოკიდებული. თუ წვრთნა მეცნიერულ საფუძვლებზე ტარდება, მაშინ სპორტსმენის ორგანიზმის ფიზიკური თვისებების - ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, მოქნილობისა და სხვა დონის ამაღლების პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს.

საქართველო ტრადიციული სპორტული ქვეყანაა, რომლის სპორტსმენებს მრავალჯერ უსახელებიათ საერთაშორისო ასპარეზებზე ჩვენი სამშობლო. სპორტის ფანტასტიკურმა განვითარებამ ბევრ სახელოვან და ნიჭიერ სპორტსმენს, მათ შორის საქართველოდან, შეუქმნა სირთულეები მაღალი შედეგების მოპოვების თვალსაზრისით. ვინაიდან დღეს უკვე ძალიან კარგად მომზადებული სპორტსმენები ხვდებიან ერთმანეთს, მათ შორის წინააღმდეგობა ძალიან მკვეთრად ვლინდება. არცთუ იშვიათად საქართველოს სპორტსმენებს მოპოვებული აქვთ გამარჯვებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, თავისი ნიჭით - ტექნიკური, ტაქტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა მონაცემების საფუძველზე და არა კარგი ფიზიკური მომზადებით, განსაკუთრებით კი მაღალი ფიზიკური თვისების - გამძლეობის გამოვლინებით, ვინაიდან საქართველოს სპორტსმენთა უმრავლესობა ამ „სენით“ - გამძლეობის დაბალი დონითაა დაავადებული. სწორედ ჩვენს სპორტსმენთა შედარებით არასათანადო გამძლეობა ხდება მიზეზი მათი წარუმატებლობისა, რაც სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

ქვეყნის სპორტის მრავალი სახეობის წამყვან სპორტსმენთა გამძლეობაზე მათი მომზადების ამსახველი ფიზიოლოგიური მონაცემებიდან ირკვევა, რომ ამ კონტინგენტის უმრავლესობას, სამწუხაროდ, ფიზიკური მუშაობისუნარიანობის ცალკეული პარამეტრები, როგორც აბსოლიტურ სიდიდეებში, ისე სხეულის კილოგრამ წონაზე, გარკვეულად ჩამორჩება ამ პარამეტრების იმ სიდიდეებს, რაც უკანასკნელ 5-10 წელიწადში ზოგიერთი ქვეყნების წამყვან სპორტსმენთა შორისაა დადგენილი. ავიღოთ თუგინდ საქართველოს ფეხბურთის მაღალი ეშელონის მოთამაშეთა ფიზიკური მუშაობისუნარიანობის საშუალო მაჩვენებელი სხეულის კილოგრამ წონაზე, რომელიც 18-19-ია, რაც 21-ს უნდა უდრიდეს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ამ პარამეტრის ასეთი სიდიდით ფეხბურთელი ვერასოდეს ითამაშებს ორივე ტაიმს, როგორ მაღალტექნიკურადაც უნდა იყოს მომზადებული ისე, როგორც ამას ასრულებენ ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომელთა ეს პარამეტრიც საშუალოდ 22-23-ის ტოლია. რასაკვირველია, თბილისში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში მონაწილე საქართველოს მოჭიდავეთა ორივე გუნდში გამოვლინდნენ უდავოდ ნიჭიერი ათლეტები, მაგრამ არასათანადოდ გამძლეობაზე მომზადების დონემ არ მისცა ბევრ მათგანს მაღალი კლასის დემონსტრირების საშუალება, ვინაიდან ისინი ორთაბრძოლის დროს შედარებით ადვილად იღლებოდნენ და შესაბამისად შეიძლება იბნეოდნენ კიდევაც.

სპორტსმენთა გამძლეობის დონის სათანადო ამაღლებაზე წერაც და ლაპარაკიც ბევრად უფრო ადვილია, მაგრამ აღნიშნულის პრაქტიკულად განხორციელება უაღრესად რთულ საქმედ ითვლება და მოითხოვს მწვრთნელის თანამედროვე დონეზე მომზადებას. ფიზიკური თვისების - გამძლეობის განვითარება თუ სწორად არ ხდება, ამ ვარჯიშებმა ძალიან ადვილად შეიძლება სპორტსმენი გადაღლის (გადაწვრთნის) მდგომარეობაში აღმოაჩინოს, რაც დაუშვებელია. სწორედ მწვრთნელის მიერ უნდა განისაზღვროს, თუ როგორ იმაღლებს სპორტსმენი თავის გამძლეობის დონეს, რაც აუცილებლად სპეციალური სამედიცინო გამოკვლევებით უნდა დასტურდებოდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სპორტსმენები, მწვრთნელები და სპორტის ექიმები გამძლეობის პრობლემების გადაწყვეტის დროს ბევრად უფრო ხშირად უნდა დაეყრდნონ იმ სამედიცინო გამოკვლევას, რომელიც სპეციალური აპარატურის გამოყენებით განსაზღვრავს სპორტსმენის ფიზიკურ მუშაობისუნარიანობას, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა მისი ორგანიზმის გამძლეობაზე. სადღეისოდ უმეტესწილად თვით წამყვან სპორტსმენებსაც კი წელიწადში ერთხელ ან შეიძლება ორჯერ უტარდებათ ასეთი გამოკვლევები, რაც რასაკვირველია, არასაკმარისია. განსაკუთრებით წამყვანი სპორტსმენები, მათი ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა, სპორტული სეზონის განმავლობაში ოთხჯერ მაინც უნდა გადიოდნენ ამ ტესტირებას, მაგრამ ეს არ ხდება იმიტომ, რომ ბევრ სპორტსმენს ეზარება ამ პროცედურის ჩატარება ან შეიძლება არც არის ამის ფინანსური შესაძლებლობა. სამწუხაროდ, რიგი მწვრთნელებიც არასათანადო ყურადღებას უთმობენ ამ საკითხს. როგორ შეიძლება ვიმსჯელოთ სპორტსმენის გამძლეობაზე საპასუხისმგებლო შეხვედრების წინ, როდესაც მისი ფიზიკური მუშაობის უნარიანობა გამოკვლეული იყო 4-8 თვის ინტერვალით შეჯიბრების დაწყებამდე. გასათვალისწინებელია აგრეთვე აკადემიკოს მიხეილ ხანანაშვილის ახალი თეორია - „ორგანიზმის გარდამავალი მდგომარეობის შესახებ“, რომლის თანახმად, სრულიად მოულოდნელად ჩვენს ორგანიზმში ვითარდება ფიზიოლოგიური პროცესების მხრივ დარღვევები, რის გამოსწორებასაც ორგანიზმი თვითონ ახერხებს, თუ რასაკვირელია, ამას ხელი არ შეუშალა სხვა რომელიმე გარე ფაქტორებმა (ფსიქო-ნერვიული დაძაბულობა, გადამეტებული ფიზიკური დატვირთვა და სხვა.) უარყოფითმა მოქმედებამ. ამიტომ საპასუხისმგებლო სპორტული შეხვედრებისთვის სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე, დინამიკაში სამედიცინო მეთვალყურეობაზე (საექიმო კონტროლზე) ყურადღების გამახვილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისში სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრების ქმედითი საქმიანობა (დირექტორები: ვ. ახალკაცი, ე. ჭუმბურიძე და უ. ნებიერიძე), რომლებიც ყველაფერს აკეთებენ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, ჩვენს სპორტსმენთა თანამედროვე დონეზე ყოველმხრივი სამედიცინო უზრუნველყოფისთვის. ვფიქრობ, დროა ვიზრუნოთ ქალაქ ქუთაისსა და ბათუმში მსგავსი ცენტრების შექმნის თაობაზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ამ რეგიონების სპორტსმენთა სამედიცინო უზრუნველყოფას. უდავოდ ბევრს აკეთებენ გუნდების ექიმებიც სპორტის სახეობათა მიხედვით, მიუხედავად ამისა, მათი საექიმო პედაგოგიური მუშაობა ჯერჯერობით ვერ პასუხობს რეალურ მოთხოვნებს. ექიმის მიერ საექიმო-პედაგოგიური გამოკვლევების ჩატარება დიდ დახმარებას უწევს მწვრთნელს წვრთნის პროცესის მართვის საქმეში, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაღალი გამძლეობის ფონზე უნდა ხდებოდეს სპორტსმენთა ყოველმხრივ მომზადება, ეს კი თანამედროვე სპორტის მოთხოვნაა.

**რომანოზ სვანიშვილი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

®

● კალათბურთი — უცხოელთა საქმე




ვის ენდობა იგორ კოკოშკოვი?

# მაღალი და დაბალი

## ისევ ორი ნატურალიზებული!

**ზაზა ფაჩულიას** ტრავმამ მწვრთნელის, **იგორ კოკოშკოვის** სანაკრებო გეგმები საქსოვი ძაფივით აბურდა. არადა, სერბ სპეციალისტს 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე სერიოზული მისია აქვს: *„იმაზე უკეთესი თამაშების „მოქსოვა“, ვიდრე 2011 წელს ლიტვაში ვიხილეთ. ეს თავადაც კარგად მოეხსენება. აღნიშნა კიდეც: „თამასა ზემოთ ავწიეთ, 2011-ში ევრობასკეტის მეორე ეტაპზე გავედით. ვიცი, რომ ქართველ გულშემატკივარს მომდევნო ჩემპიონატებში მხოლოდ ტოპ-12-ში მოხვედრა დააკმაყოფილებს...“*

სლოვენიაში სექტემბერში გასამართ ევრობასკეტზე ჯგუფში სერიოზული მეტოქეები შეგვხვდა: პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვენია, ესპანეთი და ხორვატია. მომდევნო ეტაპზე მხოლოდ სამი გადის. რა ხერხით, რა ტაქტიკით ვეცდებით დასახული მიზნისთვის ბრძოლას, ამას მოგვიანებით შევიტყობთ, აქ კი ერთ დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას, რამაც ფაჩულიას ტრავმის შემდეგ მეტი აქტუალურობა შეიძინა.

*- იგორ კოკოშკოვის მოთხოვნით უკანახაზელის პარალელურად ნატურალიზაციისთვის ერთი მეფარეც უნდა ვეძებოთ, -* გვითხრა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა**, *- ჯერ ძიების პროცესში ვართ და გვარების დასახელება ნაადრევია. ვეცდებით, რაც შეიძლება, მალე მოვძებნოთ შესაფერისი კანდიდატები.*

ვერ ვიტყვით, რომ ორი უცხოელის გაქართველების იდეამ გაგვაკვირვა. ასეთი შემთხვევა ბოლო წლებში იშვიათობა ნამდვილად არ არის. მაგალითად, 2010 წელს **ტორინ გრინთან** ერთად ფორვარდი **ქუინტონ ჰოსლი** ჩამოიყვანეს, შარშან **ჯეიკობ პულენი** და **კორი ფიშერი** ეცილებოდნენ ერთმანეთს 12-კაციან განაცხადში მოხვედრას... უკანახაზელი და ცენტრი კი ერთდროულად პირველად წლეულს გვეყოლება.

რაც მეტი, მით უკეთესი, - შეიძლება ვინმემ ესეც თქვას. თუმცა საქმე ასე მარტივად არ არის. გავიხსენოთ, რომ შარშან, შესარჩევ ეტაპზე მხოლოდ პულენმა ითამაშა, ხოლო 2010 წელს ოფიციალურ შეხვედრებში ჰოსლი არ გამოჩენილა - გრინი იცავდა ჩვენი ნაკრების ღირსებას. ფიბა-ს წესების მიხედვით ოფიციალური მატჩის განაცხადში მწვრთნელს მხოლოდ ერთი ნატურალიზებული კალათბურთელის შეყვანის უფლება აქვს.

გამოდის, რომ ამჯერადაც ორიდან ერთის არჩევა მოგვიწევს? ევრობასკეტის შესარჩევი და ფინალური ეტაპები სხვადასხვა ფორმატით იმართება. შესარჩევში (სადაც მატჩები ოთხ დღეში ერთხელ ტარდებოდა) დასაშვები იყო სხვადასხვა შეხვედრისთვის უცხოელი კალათბურთელების განაცხადში მონაცვლეობით შეყვანა. აქვს თუ არა ამის უფლება მწვრთნელს უშუალოდ ევრობასკეტის მსვლელობისას? ამ კითხვით კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილს** მივმართეთ.

*- ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის წინ უნდა შედგეს 12-კაციანი განაცხადი, რომელიც შეჯიბრების დასრულებამდე არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლება. განაცხადში მხოლოდ ერთი ნატურალიზებული კალათბურთელი უნდა იყოს. 2011 წელს ფიბა-ევროპამ გადაწყვიტა ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდების განაცხადების 14 კაცამდე გაზრდა, მაგრამ ამას წინ აღუდგა ფიბას მსოფლიო ორგანიზაცია და ევროპელებს გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ასე რომ, ყველა შეჯიბრებაში გუნდები 12-12 კალათბურთელით ივსება.*

რომელი ამერიკელი დაიცავს საქართველოს ნაკრების ღირსებას? მაღალი, თუ დაბალი? რა გვარისა იქნება? დღეს მხოლოდ კითხვის ნიშნების ჩამომწკრივება შეგვიძლია...

**ვაჟა სიმონიშვილი**

● საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# პლეი ოფში ყველას ახალგაზრდებმა შეასწრეს

**1/2 ფინალი პირველი მატჩები**

**ოლიმპი-რუსთავი 70:67**

18:10, 25:9, 16:21, 11:27

**ოლიმპი:** გ. ბაქრაძე, ბრაგვაძე, იაშვილი (2ქ), გოგოძე (17ქ, 5პ), ცირეკიძე (17, 17მ), ნ. ბაქრაძე, ფხაკაძე (16ქ, 10მ), ბიჭაშვილი (1ქ), ლობჟანიძე (9ქ, 6მ), მიქელაძე (8ქ, 9პ).

**რუსთავი:** ლორთქიფანიძე (12ქ), ქიტოშვილი (8ქ, 12პ, 5ჩ), ოქროჭელიძე (16ქ, 12მ), დვალი (22ქ, 6მ, 5პ, 5ჩ), ურიდია (9ქ, 7მ), ნარჩომაშვილი, ხატიაშვილი.

**სერიას იგებს ოლიმპი - 1:0**

**სოხუმი-შსს აკადემია 77:67**

18:19, 20:10, 16:18, 23:20

**სოხუმი:** გაგნიძე (6ქ, 14მ), მეგენეიშვილი (10ქ, 5პ), გაფრინდაშვილი (4ქ, 5ჩ, 6მ), ტყაბლაძე, ჯინჭარაძე (29ქ, 12მ), მუიუნიექსი (11ქ), ბულიავა (16ქ, 9მ), არაბული (1ქ, 5მ).

**შსს აკადემია:** როგავა (21ქ, 5მ, 5პ), გორდულაძე (5ქ), ლოლიშვილი (12ქ, 6მ), მირზიაშვილი (2ქ, 7მ), კენჭიაშვილი, პულუზაშვილი (7ქ, 9მ), დ. როგავა, კვანტალიანი (12ქ, 12მ), მოშიაშვილი (8ქ).

**სერიას იგებს სოხუმი - 1:0**

სუპერლიგის პარალელურად, არაერთი უმცროსასაკელთა ჩემპიონატი მიმდინარეობს, რომელთაგან ყველაზე უწინ საპლეიოფო ბატალიებში 20-წლამდელები ჩაერთნენ. ახალგაზრდულ პირველობაზე ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩები გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამარჯვებულები ბოლო წუთებზე გამოვლინდნენ.

„ოლიმპმა“ რუსთაველებს უმასპინძლა და 70:67 იმარჯვა, ხოლო „სოხუმმა“ „შსს აკადემიას“ ათქულიანი სხვაობით სძლია. თითო მოგება ფინალისტობას როდი ნიშნავს, გუნდებს განმეორებითი შეხვედრები ელით და შესაძლოა ფინალისტის გამოვლენას მესამე თამაშიც დასჭირდეს, რადგან ნახევარფინალური სერია ორ მოგებამდეა.

განმეორებითი შეხვედრები დღეს გაიმართება. 16 საათზე „რუსთავი“ „ოლიმპს“ უმასპინძლებს, ხოლო სპორტის სამინისტროს დარბაზში „შსს აკადემია“ - „სოხუმს“.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ნემსაძესთან

# ნაკრებში თამაშზე უარი როგორ უნდა ვთქვა?

**რაგბი** ისეთი თამაშია, სადაც ყველა პოზიციას თავისი სპეციფიკა აქვს. კარგი გუნდი კი ისაა, რომელსაც ყველა რგოლში საუკეთესო მოთამაშეები ჰყავს. თითოეულ მათგანზე, ცხადია, სხვადასხვა დატვირთვა მოდის. ერთ-ერთი ყველაზე მშრომელი და გამრჯე მეორეხაზელია. ეს ის პოზიციაა, რომელსაც ყველაზე მაღალი, ბრგე და ჯან-ღონით სავსე ბიჭები სჭირდება. საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი ასეთი მოთამაშე გიორგი ნემსაძე გახლდათ. ჯერ კიდევ მოქმედ და შესანიშნავ ფორმაში მყოფ მორაგბეზე წარსულ დროში იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში მას ეროვნულ გუნდში არ უთამაშია. ნემსაძე 28 წლისაა, მისი დებიუტი „ბორჯღალოსანთა“ რიგებში 2005 წელს შედგა და დღემდე 25 კეპი მოიხვეჭა. 2011 წლის მსოფლიოს თასზე ერთ მატჩში ითამაშა. ნემსაძე საფრანგეთში 2007 წელს გადაბარგდა და რამდენიმე კლუბი გამოიცვალა - „დომონი“, „მასი“, „მონტობანი“ და „ვალანს დაჟენი“. წლევანდელი სეზონის წინ, გიორგი მეორე დივიზიონის „ტარბში“ ჩაირიცხა, რომელიც მიმდინარე გათამაშებაში მე-5 ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის შანსი აქვს. გიორგი ნემსაძეს საკლუბო კარიერისა და მომავლის გეგმების შესახებ სასაუბროდ საფრანგეთში დავუკავშირდით.


გიორგი ნემსაძე ანთიმოზ ივერიელის თასით

- კლუბში ნორმალური მდგომარეობაა. ბოლო ტურებში აშკარად გავაუმჯობესეთ თამაში და ახლა მე-5 ადგილზე ვართ. თითქმის ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვხვდები, ბევრს და, რაც მთავარია, კარგად ვთამაშობ. რამდენჯერმე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს და ტურის ნაკრებშიც მოვხვდი. კლუბის ხელმძღვანელები იმდენად კმაყოფილნი არიან, რომ ოთხწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს და მეც ხელი მოვაწერე.

**- გამოდის, კარიერაში სტაბილური პერიოდი დაგიდგათ. რამ განაპირობა ეს?**

- უწინარესად იმან, რომ ნამდვილ პროფესიულ გუნდში მოვხვდი, რომელსაც ძალიან კარგი, მაღალი დონის მწვრთნელი ჰყავს. მან თავიდანვე გამომიცხადა ნდობა. მეც მოვინდომე, ვარჯიში ისედაც მიყვარდა და კარგ ფორმაში შევედი. შეიძლება ითქვას, რომ კარიერაში საუკეთესო პერიოდი მიდგას.

**- ვინ არის „ტარბის“ მწვრთნელი?**

- ქართველი ქომაგებისთვის კარგად ნაცნობი ანრი ბრონკანის შვილი - პიერ ბრონკანი. ძალიან კარგი სპეციალისტია. რაც მთავარია, საქმე მთელი თავისი არსებით უყვარს. ამით მეც ამიყოლია და მთლიანად რაგბიზე ვარ ორიენტირებული. რაგბით ვცხოვრობ.

**- ხშირად მსმენია, რომ მამა-შვილი ბრონკანები ქართველების მიმართ დიდი სიმპათიით არიან განწყობილი...**

- დიახ, ასეა. ანრი ბრონკანსაც ბლომად ჰყავს თავის გუნდში („ალბიში“) ქართველები და იგივე ითქმის პიერზე. ამ უკანასკნელის ჩვენ მიმართ შესანიშნავ დამოკიდებულებას ყოველდღე ვგრძნობთ. ყველაზე მეტად ქართველების მებრძოლი ხასიათი მოსწონს. ზოგადად, მებრძოლი და ძლიერი სპორტსმენები უყვარს და ამიტომ სცემს პატივს ქართველ მორაგბეებს.

**- რამდენად სრულყოფილადაა გამართული „ტარბის“ სარაგბო ინფრასტრუქტურა, მზად ხართ თუ არა ელიტურ პირველ დივიზიონში სათამაშოდ?**

- სეზონის წინ დავალება საპლეიოფო ხუთეულში მოხვედრა იყო. ელიტაში გადასვლას კი მომავალი წლისთვის გეგმავენ, თუმცა ვნახოთ, იქნებ წლეულსაც მოხერხდეს. ამისთვის მზად არიან. ჩემი ოცნება პირველ დივიზიონში თამაშია და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ. მართალია, „ტარბთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მაგრამ თუ ელიტურ გუნდში გადასვლის შანსი გამოჩნდა, მისი დარღვევა შემიძლია.

**- „ტარბში“ თქვენ გარდა კიდევ სამი ქართველი თამაშობს. მათი საქმეები როგორ მიდის?**

- პირველხაზელი დავით დადუნაშვილი, შესაძლოა, სხვა გუნდში გადავიდეს. „ტარბის“ ხელმძღვანელებს უნდათ მისი გუნდში დატოვება, მაგრამ, როგორც ჩანს, უკეთესი შეთავაზებები აქვს, თუმცა ჯერ არაფერი გადაუწყვიტავს. გიორგი ჩხაიძეს და ირაკლი მირცხულავას კი, კლუბთან გაფორმებული კონტრაქტი ჯერ არ დასრულებიათ. ისინი რეგულარულად თამაშობენ და „ტარბში რჩებიან.

**- გუნდში ბევრი თანამემამულე კარგი უნდა იყოს...**

- დიახ, ძალიან კარგია. კლუბში ქართული ტრადიციებით ვცხოვრობთ. ბევრი ჩვენი თანაგუნდელი ქართულ სიტყვებსაც სწავლობს. ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან და სხვებთანაც. ყველა პატივს გვცემს, როგორც მორაგბეებს და როგორც პიროვნებებს.

**- უკვე თქვით, რომ კარიერაში საუკეთესო ფორმაში იმყოფებით. აქამდე საქართველოს ნაკრებში გიწვევდნენ. წლევანდელ ერთა თასის გათამაშებაში კი „ბორჯღალოსნების“ რიგებში არ გამოჩენილხართ...**

- არ ვიცი ნაკრებში რატომ აღარ მეძახიან. ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ამბობენ - ახალგაზრდებზე აქვთ აქცენტი გადატანილიო. არც მე ვარ ბებერი. ამჟამად 28 წლის ვარ, რაგბისთვის საუკეთესო ასაკში და თანაც საუკეთესო სათამაშო ფორმაში ვიმყოფები. ძალიან გულდაწყვეტილი დავრჩი. ნაკრების გარეშე კლუბში თამაშმა რაგბი თითქოს უბრალო სამსახურად აქცია. ყველაფერს, რასაც „ტრაბში“ ვაკეთებ, აზრი ეკარგება.

**- საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: თავიანთ გუნდებში კარგი თამაშით უნდა დაამტკიცონ, ნაკრებში გამოძახებას რომ იმსახურებენო. ასე რომ, იმედი არ უნდა დაკარგოთ!**

- იმედს არ ვკარგავ. ეროვნული ნაკრები ჩემთვის უპირველესია. ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ჩემთვის ნაკრების მაისურით საქართველოს ჰიმნზე დგომა, მერე თამაში, ბრძოლა და გამარჯვება. ამაზე დიდი სიამოვნება ამ ქვეყანაზე არ არსებობს. თუ კლუბში უნდა დავამტკიცო, ეგ დიდი ხანია გაკეთებული მაქვს. ყველა მატჩში სრულად ვთამაშობ, ლელოები გამაქვს და კარგ ფორმაში ვარ.

**- ივნისში თბილისში პირველი საერთაშორისო ტურნირი ტარდება. არც იმ შეჯიბრებისთვის ხართ ნაკრებში გამოძახებული?**

- ჯერ არავის არაფერი უთქვამს. ძალიან მინდა საქართველოს ნაკრებში ვითამაშო. ამის გამო აქ კონტრაქტის პირობები შემიცვალეს. ხელფასი დამაკლეს, ნაკრებზე უარი რომ არ ვთქვი. არ შემიძლია. საქართველოს ნაკრებში თამაშზე, უარი როგორ უნდა ვთქვა?! კარიერის დასაწყისში ეს ჩემი ოცნება იყო. რაგბის სწორედ იმიტომ ვთამაშობ, რომ ეროვნული გუნდის ღირსება დავიცვა.


შეტევაში გიორგი ნემსაძე

ექვსი ერი


დეკლან კიდნი

# სამყურები უთავკაცოდ დარჩნენ

**ირლანდიის** რაგბის კავშირმა დაადასტურა, რომ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს **დეკლან კიდნის** კონტრაქტს აღარ გაუხანგრძლივებს. ხელშეკრულებით კიდნიმ „სამყურებთან“ 30 ივნისამდე უნდა იმუშაოს, თუმცა ის ნაკრების თავკაცად უკვე დღეიდან არ ითვლება.

**დეკლან კიდნიმ** ირლანდიის ნაკრები 2008 წელს ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც გუნდი **ედი ოსალივანმა** დატოვა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგდა. მომდევნო წელს „სამყურებმა“ ექვსი ერის გათამაშებაში „დიდი სლემი“ შეასრულეს. თუმცა მერე „მწვანეების“ საქმე სულ უკან და უკან წავიდა.

კიდნისადმი უკმაყოფილების ბოლო წვეთი იყო წლევანდელი ექვსი ერის გათამაშება. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებულნი იყვნენ გუნდის წამყვანი მორაგბეები - **პოლ ოკონელი, სტივენ ფერისი** და **ტომ ბოუი**, ირლანდიის ნაკრებმა შთამბეჭდავად სძლია სასტარტო მატჩში უელსის ეროვნულ გუნდს - 30:22. მაგრამ ეს გამარჯვება ტურნირში უკანასკნელი გამოდგა. კიდნის განაჩენი „სკუადრა აძურამ“ გამოუტანა, როცა „სამყურები“ თავის ისტორიაში პირველად დაამარცხეს რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“.

ეს იყო ირლანდიის რაგბის კავშირის მოთმინების ბოლო წვეთი. „სამყურებს“ ივნისში ჩრდილოამერიკული ტურნე აქვთ, სადაც აშშ-სა და კანადის ნაკრებებს დაუპირისპირდებიან. გუნდს კიდნის ნაცვლად დროებით **ლი კისი** უთავკაცებს. მოგვიანებით კი, როგორც ამბობენ, ირლანდიის ნაკრებს მსოფლიოს დონის მწვრთნელი ეყოლება.

*„გვინდა მადლობა ვუთხრათ დეკლან კიდნის ირლანდიური რაგბის ერთგული სამსახურისთვის. მან ძალიან დიდი სამუშაო გასწია და ახალი ტალანტების ძიებაში წარმატებული იყო. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს სერიოზული პრობლემები ჰქონდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში. დარწმუნებულნი ვართ, მალე მოვძებნით უმაღლესი დონის მწვრთნელს, რომელიც ჩვენი ნიჭიერი და საკმაოდ ამბიციური მოთამაშეებით შესანიშნავ გუნდს შექმნის“* - თქვა ირლანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ფილიპ ბრაუნმა.**

„სამყურების“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე რეალურ კანდიდატად ბრისბენის „რედსის“ თავკაცი **ოუენ მაკკენზი** განიხილება. თუმცა, ირლანდიელებს, როგორც ჩანს, ზე რაგბის გათამაშების დასრულებამდე მოუწევთ ლოდინი.

საქართველოს ჩემპიონატი

# ჯიქებს ნაგება ჩაუთვალეს

**საქართველოს** რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიამ თბილისის „ჯიქებსა“ და „ლელოს“ შორის მე-16 ტურის მატჩში მომხდარი დარღვევა განიხილა და როგორც მოსალოდნელი იყო, „ჯიქებს“ წაგება ჩაუთვალა.

სადისციპლიონო კომისიის ოქმში ნათქვამია, რომ განიხილეს საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის **ნიაზ მამრიკიშვილისა** და მატჩის მეთვალყურის - **ირაკლი დოლიძის** მოხსენებითი ბარათი. გაირკვა, რომ აღნიშნული მატჩის მეორე ტაიმის მიწურულს, მას შემდეგ, რაც „ჯიქებს“ განხორციელებული ჰქონდათ საშეჯიბრო დებულებით გათვალისწინებული შვიდივე შეცვლა, შერკინების მესამეხაზელი **ჯაბა კიკვიძე,** რომელიც ტრავმირებული გახლდათ, სათადარიგო მოთამაშით შეცვალეს, რაც წინააღმდეგობაში მოდის საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 25-ე და სადისციპლინო კოდექსის 1.16 პუნქტებთან. საქართველოს რაგბის კავშირმა დაადგინა - თბილისის „ჯიქებს“ ჩაეთვალოს წაგება და დააკლდეს ერთი ქულა.

შედეგად, ახლა, „ჯიქებს“ 43 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურიდან მეხუთემდე დაქვეითდნენ. თუ ბოლო ტურში „ლოკომოტივი“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „აკადემიას“ პრემიალური ქულით მოუგებს, ხოლო „ჯიქები“ „არმაზთან“ პრემიალურის გარეშე წააგებენ, ქულები გათანაბრდება. ურთიერთშეხვედრებში კი უკეთესი მაჩვენებელი „ლოკომოტივს“ აქვს და ქუთაისში, „აიასთან“ საპაექროდ გამგზავრება აღარ მოუწევს.

**XVIII ტური**

აია-ყოჩები
ლოკომოტივი-აკადემია
არმაზი-ჯიქები
ხარები-ლელო
ბათუმი-არმია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 17 | 15 | 0 | 2 | +277 | 70 |
| 2. ლელო | 17 | 14 | 0 | 3 | +221 | 66 |
| 3. აია | 17 | 12 | 2 | 3 | +252 | 59 |
| 4. არმაზი | 17 | 10 | 0 | 7 | +27 | 44 |
| 5. ჯიქები | 17 | 9 | 0 | 8 | +73 | 43 |
| 6. ლოკომოტივი | 17 | 7 | 2 | 8 | +8 | 38 |
| 7. ბათუმი | 17 | 6 | 0 | 11 | -40 | 30 |
| 8. ხარები | 17 | 4 | 0 | 13 | -144 | 22 |
| 9. აკადემია | 17 | 4 | 0 | 13 | -338 | 18 |
| 10. ყოჩები | 17 | 1 | 0 | 16 | -336 | 7 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



კარმელო ენტონი

# კარმელოს მესამე 50

**კარმელო ენტონის** ფენომენალურმა თამაშმა "ნიუ იორკს" საშუალება მისცა ცხრა მატჩამდე აეყვანა თავისი მოგებათა სერია, გარდა ამისა, "ნიქსმა" შეწყვიტა "მაიამის" საშინაო გამარჯვებათა სერია, რომელიც 17 მატჩს უტოლდებოდა. "ჰიტი" ისევ **ლებრონ ჯეიმსის, დუეინ უეიდისა** და **მარიო ჩელმერსის** გარეშე თამაშობდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ნიუიორკელებს იოლი გასეირნება ელოდათ, რადგან ამ სამეულის გარეშე, ფლორიდელებმა წინა მატჩში სტუმრად მოუგეს "სან ანტონიოს".

ეს ვარაუდი პირველ ტაიმში დადასტურდა, როცა კარგად ჩატარებული მეორე მეოთხედის წყალობით, "მაიამიმ" პირველი ნახევარი რვა ქულით მოიგო. "ჰიტი" შემდეგაც ახერხებდა სოლიდური სხვაობით დაწინაურებას, მაგრამ "ნიქსი" აკონტროლებდა თამაშის ტემპს და ჩანდა, რომ მომატების რეზერვი ჰქონდა. და როცა ფლორიდელთა სათადარიგოთა სკამის რესურსი ამოიწურა, სტუმრებმა მეოთხე მეოთხედის მეორე ნახევარში მოუმატეს და 12:2 გაქცევა მოაწყვეს. "მაიამიმ" საერთოდ ვერ ჩააგდო თამაშიდან ბურთი ბოლო 6 წუთისა და 20 წამის განმავლობაში. კარმელო ენტონიმ კი საფინალო სირენამდე 16 წამით ადრე თავისი 50-ე ქულა მოიპოვა და კარიერის რეკორდი გაიმეორა – მან მესამედ დააფიქსირა ეს შედეგი. "ნიქსის" ლიდერმა თამაშიდან 26-ჯერ ისროლა და 18 ჩააგდო, საიდანაც შვიდი სამქულიანი (10 ცდიდან) იყო. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში 50 ან მეტი ქულა მხოლოდ ორ კალათბურთელს ჰქონდა დაგროვებული - **კევინ დურანტსა** და **სტივენ კარის**. საერთოდ, აღნიშნულ შეხვედრაში "მაიამისთვის" ისევ პრობლემა იყო მეტოქის შორეული ტყორცნები. "ნიუ იორკმა" 27-დან 14 სამქულიანი ჩააგდო. ამ გუნდებმა დაასრულეს რეგულარულში სერია, რომელიც "ნიქსმა" 3:1 მოიგო და ამ ოთხ მატჩში "მაიამიმ" 59 შორეული ტყორცნა მიიღო.

**ვაშინგტონი–ჩიკაგო 90:86**

**18:24, 24:25, 28:20, 20:17**

**ვ:** უოლი (27+8 მოხსნა+9 პასი+3 დაფარება), პრაისი (13), ოკაფორი (10+9 მოხსნა), ნენე (10+7 მოხსნა), არიზა (10+7 მოხსნა).

**ჩ:** ბუზერი (19+12 მოხსნა+5 პასი), რობინსონი (17), დენგი (13+8 მოხსნა), ბატლერი (13), მოჰამედი (12+12 მოხსნა).

**მაიამი–ნიუ იორკი 90:102**

**25:27, 33:23, 18:28, 14:24**

**მ:** ბოში (23+6 მოხსნა), მილერი (18+8 მოხსნა), ალენი (16), კოული (14).

**ნ-ი:** ენტონი (50), სმიტი (14+6 მოხსნა), ფელტონი (10+9 პასი).

# NBA-ში ქალი მოდის?

„დალას მავერიქსის" მფლობელი **მარკ ქიუბანი**, რომელიც ყოველთვის გამორჩეულია თავისი ექსპრესიულობით, მომავალ დრაფტზე ქალი კალათბურთელის **ბრიტნი გრინერის** აყვანას აპირებს.

როგორც ქიუბანი ამბობს, მისმა გუნდმა გრინერი, შესაძლოა, დრაფტის მეორე რაუნდში აირჩიოს. მაგრამ თუ ეს არ მოხდა, მაშინ ბრიტნის დრაფტის გარეშე მიიწვევენ „მავერიქსის" რიგებში. *„თუ ის ფარქვეშ საუკეთესოა, მას ავიყვანთ!"* - თქვა ქიუბანმა.

ბრიტნი, რომლის სიმაღლე 203 სანტიმეტრია, ქალთა კალათბურთის ნამდვილ ფენომენად არის მიჩნეული. ის მამაკაცურ ათლეტიზმს აჩვენებს და ამასწინათ, ქალების სტუდენტური საკალათბურთო ლიგის ერთ-ერთ მატჩში, სამჯერ ჩატენა კალათში ბურთი, ჯამში კი 50 ქულა დააგროვა. ბრიტნის გაშლილი ხელების სიგრძე 221 სანტიმეტრია (!), რაც **ლებრონ ჯეიმსის** ან **ენდრიუ ბინუმის** ხელების ზომაზე დიდია.

მაგრამ, თუ „დალასი" ბრიტნი გრინერს აიყვანს, ეს უკანასკნელი არ იქნება პირველი ქალი მოთამაშე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. 1979 წელს, აშშ-ის ქალთა ნაკრების წევრმა **ენ მეიერსმა** კონტრაქტი გააფორმა „ინდიანა პეისერსთან". თუმცა მაშინ, ენმა საბოლოო განაცხადში მოხვედრა ვერ შეძლო და არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია.



ბრიტნი გრინერის დანკი

# ლეიკერსმა დალასი ჩამოიშორა

გუშინდელი დღის პრინციპული დაპირისპირება შედგა ლოს ანჯელესში – დასავლეთის პლეი ოფის მერვე საგზურისთვის მებრძოლი "ლეიკერსი" და "დალასი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. "მავერიქსმა" ვერ შეძლო ამ მატჩში თავისი ამბიციების დადასტურება. **კობი ბრაიანტის** ბრწყინვალე მარათონულმა თამაშმა "დალასი" პრაქტიკულად არდადეგებზე გაამგზავრა. კობიმ 47 წუთი გაატარა მოედანზე და კარიერაში მე-19 სამმაგი დუბლი მიითვალა.

პირველივე წუთიდან გამოჩნდა "ლეიკერსის" მონდომება. სტუმრები თავიდან ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ, თან ერთ მომენტში მასპინძლები აშკარად მოდუნდნენ, თუმცა იქვე "გაისროლა" **ირლ კლარკმა**, რომელიც მეორე მეოთხედში თავისიანების გაქცევის (13:2) მთავარი სულისჩამდგმელი გახდა, რამაც სერიოზულად გატეხა სტუმრების წინააღმდეგობა. პირველი ტაიმის შემდეგ, კალიფორნიელთა უპირატესობა 15 ქულას შეადგენდა.

მეორე ნახევარში დალასელებმა დაცვაში მოუმატეს თამაშს, მაგრამ შვიდ ქულაზე ახლოს მეტოქესთან ვერ მივიდნენ. როგორც კი ეს სხვაობა დაფიქსირდა, მაშინვე იმავე კლარკმა და **ჯეიმისონმა** 9:0 სპურტი მოაწყვეს. სირენამდე ხუთი წუთით ადრე, "დალასმა" ისევ შეძლო მეტოქესთან შვიდ ქულამდე მიახლოება. სწორედ ამ მომენტში, **დირკ ნოვიცკიმ** ტექნიკური ჯარიმა მიიღო მსაჯებთან კამათისთვის. ბრაიანტმა ეს ტექნიკური ფოლი გამოიყენა, რაც ფინალური გაქცევის (16:1) დასაწყისი აღმოჩნდა. საპასუხო შეტევების მხრივ, "დალასს" სერიოზული პრობლემები ჰქონდა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ნოვიცკიმ ზედიზედ ოთხი საჯარიმო ააცილა.



კობიმ სამმაგი დუბლი შეასრულა

"ლეიკერსს" შვიდი დარჩენილი შეხვედრიდან ხუთი საკუთარ მოედანზე აქვს ჩასატარებელი, თუმცა ამ მატჩების უმეტესობა პლეი ოფის გუნდებთან ელის. "ლეიკერსის" მთავარ კონკურენტს "იუტას" რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე შვიდი მატჩი დარჩა, საიდანაც ოთხი საშინაო და სამი - გასვლითია, თუმცა მეტოქეები შედარებით იოლი ჰყავს.

**იუტას კალენდარი**

03.04 - იუტა-დენვერი
05.04 - იუტა-ნიუ ორლეანი
07.04 - გ. სტეიტი-იუტა
09.04 - იუტა-ოკლაჰომა
12.04 - იუტა-მინესოტა
15.04 - მინესოტა-იუტა
17. 04 - მემფისი-იუტა

**ლეიკერსის კალენდარი**

05.04 - ლეიკერსი-მემფისი
07.04 - კლიპერსი-ლეიკერსი
09.04 - ლეიკერსი-ნიუ ორლეანი
10.04 - პორტლენდი-ლეიკერსი
12.04 - ლეიკერსი-გ. სტეიტი
14.04 - ლეიკერსი-სან ანტონიო
17.04 - ლეიკერსი-ჰიუსტონი

**ლეიკერსი–დალასი 101:81**

**24:21, 31:19, 17:21, 29:20**

**ლ:** ჰოვარდი (24+12 მოხსნა), ბრაიანტი (23+11 მოხსნა+11 პასი+4 ჩაჭრა), კლარკი (17+12 მოხსნა+5 დაფარება), გასოლი (14+10 მოხსნა+6 პასი), ბლეიკი (11+5 მოხსნა).

**დ:** კამანი (14+6 მოხსნა), მაიო (12+5 მოხსნა), ნოვიცკი (11+5 მოხსნა+6 პასი), კოლისონი (11+6 პასი+3 ჩაჭრა), კარტერი (11).

# დაფასებული შაკი



ფილ ჯექსონი და შაკილ ო'ნილი

„ლეიკერსისა" და „დალასის" მატჩის შესვენებისას მეტად ამაღელვებელი ცერემონია გაიმართა - კალიფორნიული გრანდის ხელმძღვანელობამ ლეგენდარული ცენტრის **შაკილ ო'ნილის** ღვაწლის დაფასება გადაწყვიტა და მისი 34-ნომრიანი მაისურა Staples Center-ის არენის თაღზე დაკიდა. სწორედ ამ ნომრით თამაშობდა შაკი რვა სეზონი „ლეიკერსში" და სამჯერ გახდა NBA-ის ჩემპიონი.

ცერემონიის დროს, ო'ნილს სიტყვით მიესალმნენ „ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი**, ყოფილი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი**, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ჯინი ბასი**.

შაკილ ო'ნილი მეცხრე კალათბურთელი გახდა კლუბის ისტორიაში, რომლის სათამაშო ნომერი სამუდამოდ არის ამოღებული ხმარებიდან. ესენი არიან:

13. უილტ ჩემბერლენი
22. ელჯინ ბეილორი
25. გეილ გუდრიჩი
32. ირვინ ჯონსონი
33. ქარიმ აბდულ-ჯაბარი
42. ჯეიმს უორთი
44. ჯერი უესტი
52. ჯამაალ უილკსი

# მკვლელობაში დადანაშაულებული

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილ მოთამაშეს **ჯავარის კრიტენტონს** ორი მუხლით წაუყენეს ბრალი: ბანდიტურ დაჯგუფებაში მონაწილეობა და მკვლელობა.

ფულტონის ოლქის მოსამართლის ცნობით, 25 წლის კალათბურთელი და მისი ბიძაშვილი **დაგლას გემბლი** ქალაქ ატლანტას 22 წლის მცხოვრების, ორი შვილის დედის **ჯულიან ჯონსის** მკვლელობაში არიან ბრალდებულები. აგრეთვე მათ ბრალი ედებათ მამაკაცის მკვლელობის მცდელობა.

დანაშაული 2011 წლის აგვისტოში მოხდა. გამოძიების ოფიციალური მონაცემების თანახმად, ინციდენტი ქუჩურ გარჩევებს უკავშირდება. ვარაუდობენ, რომ მკვლელობა მას შემდეგ მოხდა, რაც კრიტენტონს 50 ათასი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა მოპარეს.

ჯავარის კრიტენტონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" 2007 წლის დრაფტზე მე-19 ნომრად აირჩია. გამთამაშებელმა NBA-ში სამი სეზონი ჩაატარა და საშუალოდ მატჩში 5.3 ქულას, 2.4 მოხსნასა და 1.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. 2009-10 წლების სეზონში, „ვაშინგტონის" რიგებში თამაშისას, კრიტენტონი 38-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს თანაგუნდელ **გილბერტ არენასთან** კონფლიქტის გამო. მაშინ გასახდელში კალათბურთელებმა ერთმანეთს პისტოლეტები მიუშვირეს.


ჯავარის კრიტენტონი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# იაგრი დათმეს გახდა

ლეგენდარულმა ჩეხმა ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** კლუბი გამოიცვალა. ის გაცვლის შედეგად „დალასიდან“ „ბოსტონში“ გადავიდა.

იაგრის სანაცვლოდ, „დალასმა“ მიიღო „ბოსტონის“ ორი ახალგაზრდა ჰოკეისტი, რომლებიც, ამჟამად, ქვედა ლიგებში თამაშობენ. გარდა ამისა, „სტარზი“ მიიღებს 2013 წლის დრაფტზე არჩევანის უფლებას.

41 წლის იარომირი „დალასში“ მიმდინარე სეზონის სტარტიდან თამაშობდა - მისი კონტრაქტი ერთი წლით იყო გაფორმებული. ამ ხელშეკრულების თანახმად, ჩეხი ჰოკეისტი ხელფასი სეზონში 4.55 მილიონ დოლარს შეადგენდა.

წლევანდელ რეგულარულში იაგრმა 34 მატჩი ჩაატარა და 26 ქულა დააგროვა. ის ამ მაჩვენებლით „ვარსკვლავების“ ლიდერი იყო. იარომირმა ცოტა ხნის წინ შეასრულა კარიერაში მე-1000 შედეგიანი პასი. სულ, NHL-ში გატარებული 19 სეზონის განმავლობაში მას 1679 ქულა (679+1000) აქვს დაგროვებული.

გუშინ, „დალასმა“ კიდევ ერთი წამყვანი ფორვარდი დათმო - 29 წლის **დერეკ როი** „ვანკუვერში“ გაუშვა და მის სანაცვლოდ AHL-ის ლიგაში მოთამაშე მცველი **კევინ კონოტონი** და დრაფტის მეორე რაუნდში არჩევის უფლება მიიღო.

წელს, დერეკ როის 30 მატჩში 22 ქულა მოიპოვა.


იარომირ იაგრი

**ბოსტონი–ოტავა 3:2**

2:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 გრინინგი-7 (ზ. სმიტი-11, მეტოტი-7), 1:1 კრეიჩი-9 (ხარა-9, ლუჩიჩი-16), 2:1 სეგუინი-12 (მარჩანდი-15), 2:2 ბენუა-3 (სილვერბერგი-7, ზიბანეჯადი-10), 3:2 ჰორტონი-12 (ლუჩიჩი-17, კრეიჩი-21).

**აილენდერსი–ვინიპეგი 5:2**

1:1, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ლი-1 (მ. მარტინი-5, ჩიზიკასი-9), 1:1 პოსტმა-2 (ტანგრადი-2, უელვუდი-8), 1:2 პოსტმა-3 (ტორნბურნი-1, ტანგრადი-3), 2:2 კ. მაკდონალდი-7 (გრაბნერი-5, შტრაიტი-14), 3:2 ნილსენი-4 (ბეილი-5, შტრაიტი-15), 4:2 მოულსონი-12 (ტავარესი-16, ბოიესი-20), 5:2 ტავარესი-23 (ბოიესი-21, მოულსონი-25).

**კაროლინა–ვაშინგტონი 3:5**

2:1, 1:4: 0:0

**გოლები:** 1:0 ტლუსტი-15 (სანგინეტი-4, სიომინი-25), 2:0 ტლუსტი-16 (მ-ა. ბერჟერონი-1, ე. სტაალი-23), 2:1 ოვეჩკინი-19 (ბექსტრიომი-26, ჯ. კარლსონი-13), 2:2 მაიკ გრინი-6 (ბექსტრიომი-27, ოვეჩკინი-17), 3:2 ტლუსტი-17 (ე. სტაალი-24, სიომინი-26), 3:3 მაიკ გრინი-7 (ბექსტრიომი-28), 3:4 ოვეჩკინი-20 (ბექსტრიომი-29, მ. იოჰანსონი-8), 3:5 ჯ. უორდი-7 (მ. იოჰანსონი-9).

**პიტსბურგი–ბაფალო 1:4**

1:2, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 პორტერი-1, 1:1 იგინლა-10 (კუნიტცი-25, მალკინი-21), 1:2 ოტი-6 (პომინვილი-14, პარდი-2), 1:3 ჰოჯსონი-13 (პომინვილი-15, პისკი-1), 1:4 პორტერი-2 (ფლინი-3, სეკერა-9).

**ტამპა ბეი–ფლორიდა 2:3 (ბ)**

0:1, 0:1, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კოპეცკი-13 (ბრენანი-2, ფლიშმანი-16), 0:2 რალო-1 (ბრენანი-3, კუბა-7), 1:2 პიატი-7 (პურსელი-20, მ. კარლი-10), 2:2 კილორნი-6 (ჰედმანი-12, პურსელი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** მიულერი (ფლორიდა).

**ნეშვილი–კოლორადო 3:1**

0:0, 0:0, 3:1

**გოლები:** 0:1 დუშენი-15 (პარენტო-22, პანვიკი-6), 1:1 ჰორნკვისტი-4 (ბეკი-3, შ. უებერი-14), 2:1 ლეგუანდი-10 (ბეკი-4, ჰორნკვისტი-8), 3:1 გოსტადი-2 (კლაინი-9, ლეგუანდი-11).

**ფინიქსი–ლოს ანჯელესი 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 იენდლი-7 (ჩიპჩურა-7, ტორესი-6), 1:1 ჯასტინ უილიამსი-8, 2:1 ლომბარდი-4 (კინკპამერი-4, ბოდკერი-15), 3:1 იენდლი-8 (ჩიპჩურა-8, ტორესი-7).

# რეინჯერსმა გაბორიკი გაუშვა


მარიან გაბორიკი

გუშინ,ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კიდევ რამდენიმე საინტერესო გაცვლა განხორციელდა. ერთ-ერთი მთავარი გარიგება „რეინჯერსსა“ და „კოლამბუსს“ შორის შედგა. ნიუიორკელებმა გაუშვეს თავიანთი ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი **მარიან გაბორიკი**, სანაცვლოდ კი „ბლუ ჯეკეტსისგან“ მიიღეს ფორვარდები - **დერიკ ბრასარი** და **დერეკ დორსეტი** და მცველი **ჯონ მური**.

31 წლის გაბორიკმა წლევანდელ სეზონში 35 მატჩში 19 (9+10) ქულა დააგროვა. „რეინჯერსში“ გადასული მოთამაშეებიდან საუკეთესო მაჩვენებლები აქვს 25 წლის ბრასარს, რომელმაც 34 მატჩში 18 (7+11) ქულა მიითვალა.

■ ■ ■

კიდევ ერთი ტრეიდის თანახმად, „ბაფალომ“ თავისი ერთ-ერთი ლიდერი, ფორვარდი **ჯეისონ პომინვილი** „მინესოტას“ დაუთმო, სანაცვლოდ კი თავის რიგებში გადაიყვანა მეკარე **მეტ ჰეკეტი** და ფორვარდი **იოჰან ლარსონი**.

მიმდინარე რეგულარულში გამართულ 37 მატჩში პომინვილმა თავის ანგარიშზე 25 ქულა (10+15) ჩაიწერა.

ფორმულა 1

# პიტსტოპი 2.05 წამში!

## მარკ უებერი ამტანი გახდება?

მალაიზიის გრანპრის დროს **მარკ უებერისა** და **სებასტიან ფეტელის** კონფლიქტმა შეუმჩნეველი დატოვა რეკორდი, რომელიც რბოლის დროს „რედ ბულის“ მექანიკოსებმა დაამყარეს.

როგორც აღმოჩნდა, მათ ყველაზე სწრაფი პიტსტოპი შეასრულეს, თანაც, „სეპანგის“ რბოლის მსვლელობისას რამდენჯერმე გააუმჯობესეს ძველი რეკორდი.

წინა რეკორდი 2012 წლის ზაფხულიდან იყო ძალაში და მისი ავტორი „მაკლარენი“ გახლდათ: მაშინ, გერმანიის გრანპრის დროს, **ჯენსონ ბატონის** მანქანას 2.31 წამში მოემსახურნენ. მაგრამ, წელს, მალაიზიაში ფეტელის პირველი პიტსტოპი მხოლოდ 2.13 წამი გრძელდებოდა. უებერის პირველმა გაჩერებამაც ზუსტად ამდენი დრო წაიღო, სამაგიეროდ, შემდეგი აღმოჩნდა ისტორიაში ყველაზე სწრაფი პიტსტოპი: 2.05 წამი! უებერის კიდევ ორი შესვლა ბოქსებში ასევე უფრო მოკლე იყო, ვიდრე „მაკლარენის“ შარშანდელი მიღწევა: 2.21 და 2.26 წამი.

„რედ ბულის“ პრეს-სამსახური იტყობინება, რომ ეს გუნდის საკუთარი ინფორმაციაა, რადგან რბოლის ტრანსლიაციისას FOM-ის სატელევიზიო ბრიგადის მონაცემები, ხშირად სწორი არ არის.

■ ■ ■

ამასობაში, ახალი ინფორმაცია გაჩნდა მარკ უებერთან დაკავშირებით. უკვე ყველას გადაწყვეტილად მიაჩნია ის, რომ წლის ბოლოს, ავსტრალიელი დატოვებს ავსტრიულ საჯინიბოს. და აი, გუშინ, ევროპულ პრესაში დაიწერა იმის შესახებ, რომ უებერი, შესაძლოა, დაუბრუნდეს ე. წ. ამტანობაზე რბოლებს.

ჯერ კიდევ ამ სეზონის წინ, უებერმა უარყო ჭორი იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებდა „პორშესთან“ ამტანობაზე რბოლების მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლასთან დაკავშირებით, მაგრამ გერმანელმა ტაბლოიდმა „ბილდმა“ გუშინ დაწერა იმის შესახებ, რომ ამ საქარხნო გუნდის ხელმძღვანელები სერიოზულად განიხილავენ ავსტრალიელის კანდიდატურას „ლე მანის 24 საათში“ და მსოფლიოს ჩემპიონატის სხვა ეტაპებში მონაწილეობაზე. გაზეთის ინფორმაციით, მარკი უკვე დაუკავშირდა შტუტგარტული კომპანიის წარმომადგენლებს და დაინტერესება გამოთქვა ამ პროექტით. თუმცა „პორშეში“ ჯერ თავს იკავებენ კომენტარებისგან.

მარკ უებერს ორჯერ აქვს მონაწილეობა მიღებული ლე მანის 24-საათიან რბოლაში, თუმცა ორივეჯერ წარუმატებლად: 1998 წელს, მისმა ეკიპაჟმა ფინიშს ვერ მიაღწია, 1999 წელს კი „მერსედესმა“ სტარტამდე მოხსნა თავის მანქანები ტურნირიდან ტექნიკური პრობლემების გამო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


რედ ბულის პიტსტოპი

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბაროუ-ებსფლიტი | 1:1 |
| ბრენტრი-საუთპორტი | 1:3 |
| მაკლსფილდი-გრისბი | 1:3 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| სამპდორია-ინტერი | 0:2 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| შტუტგარტი II-ერფურტი | 1:0 |
| ვეენი-ჰალეშერი | 2:0 |

**რეგიონალლიგა (ჩ–დ)**

| | |
|---|---|
| ჰერტა II-პლაუენი | 3:2 |
| უნიონი II-ლაიპციგი | 1:2 |
| მოისელვიტცი-მაგდებურგი | 2:0 |
| ნოიშტრელიცი-ტორგელოვერი | 3:2 |

**რეგიონალლიგა (ს–დ)**

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-მანჰაიმი | 0:1 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ისმანინგი-ჰაიმშტეტენი | 0:0 |
| ბუხბახი-ნიურნბერგი II | 2:0 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიზე-ეუპენი | 1:2 |
| ბრიუსელი-ტუბეკე | 0:1 |
| ჰაისტი-რუზელარე | 0:1 |
| ვოლუვე-ოუდენაარდე | 1:0 |

**პორტუგალია**

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| პორტუ-რიუ ავე | 4:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| კილმარნოკი-სტ. მირენი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არბროა-სტენჰაუზმური | 0:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ფალკენბერგი-იორგრიტე | 0:1 |
| ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 0:1 |

**ჩეხეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| იაბლონეცი-პლზენი | 2:1 |
| ლიბერეცი-ტეპლიცე | 2:0 |
| სიგმა-სპარტა | 2:4 |

**ხორვატიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| სიბალია-ლოკომოტივა | 1:1 |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| იავორი-იაგოდინა | 0:1 |
| ნოვი პაზარი-ბორჩა | 1:1 |
| რადი-დონი შრემი | 2:0 |
| რადნიჩკი 1923-სმედერევო | 2:0 |
| რადნიჩკი-სპარტაკი | 2:0 |
| ვოივოდინა-ოფკ | 0:1 |
| ცრვენა ზვეზდა-ჰაიდუკი | 3:0 |

**ბულგარეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ცსკა-ლოკომოტივი (ს) | 0:1 (0:0) |
| პირინი-ბეროე | 1:3 (0:1) |
| სლავია-მინიორი | 0:1 (5:2) |
| ლიტექსი-ლევსკი | 2:1 (0:1) |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ირონი (ქ-შ)-მაკაბი (თ-ა) | 1:3 |

**ბელარუსის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| მინსკი-ტორპედო | 1:0 |
| დინამო (მნ)-სკვიჩ | 5:0 |

**ბოსნიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| შიროკი ბრიეგი-სლოგა | 4:0 (4:2) |
| ჟინსკი-ჟელეზნიჩარი | 0:2 (0:0) |

**ჩერნოგორიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| მლადოსტი-ბუდუჩნოსტი | 1:1 |
| გრბალი-სელიკი | 0:0 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**აზია**

| | |
|---|---|
| ლეხვია-ფახთაქორი | 3:1 |
| ალ შაბაბი-ალ იტიფაქი | 1:0 |
| ალ აინი-ალ რაიანი | 2:1 |
| ალ ჰილალი-ესტეგლალი | 1:2 |
| ურავა-ჟეონბუკი | 1:3 |
| გუანგჟოუ-მუანი | 4:0 |
| სენტრალ კოუსტი-გუიჟუ | 2:1 |
| სუვონი-კაშივა | 2:6 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-ოლდენბურგი | 74:78 |
| ულმი-გისენი | 100:46 |
| ბონი-ჰაგენი | 100:95 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 7:2 |
| კრეფელდი-აისბარენი | 2:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-პიესტანი | 5:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლუკო-ტაპარა | 3:4 (ო) |
| ესეტი-იუვიასკიულა | 2:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პლზენი-სლავია | 4:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-შელეფტეო | 2:3 (ო) |

**ჩოგბურთი**

**WTA. ჩარლსტონი**

| | |
|---|---|
| გოვორცოვა-გორგესი | 2:6, 6:0, 3:6 |
| კისი-მინი | 6:4, 6:3 |
| რობსონი-ბუშარდი | 4:6, 6:3, 1:6 |
| ბურდეტი-ლისიცკი | 3:6, 7:6, 7:5 |
| კინგი-პეტკოვიჩი | 5:7, 4:6 |
| ერაკოვიჩი-სტოსური | 1:6, 2:6 |
| ლუჩიჩი-საფაროვა | 5:7, 1:6 |

**TV** პროგრამა

**4 მარტი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. ასტონ ვილა-ლივერპული.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ვოლფსბურგი-ნიურნბერგი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. პსჟ-ბარსელონა.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. როდა-ეინდჰოვენი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**23:05** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბენფიკა-ნიუკასლი (LIVE).
**01:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ტოტენჰემი-ბაზელი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ იორკი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ფეიენოორდი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-რასინგი.
**19:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1997-98 წ. II ნაწილი.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-დენვერი.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**22:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. XIV ტური. ოლიმპიაკოსი-ხიმკი (LIVE).
**00:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. XIV ტური. კახა ლაბორალი-მონტეპასკი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**13:15** სპორტ-NEWS.
**13:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**15:20** კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-ბარსელონა.
**17:20** სპორტ-NEWS.
**17:50** ფეხბურთი.
**19:50** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-კლიპერსი.
**21:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 22 | (მზე) |
| ქუთაისი | 17 | 31 | (მზე) |
| ბათუმი | 14 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 17 | 30 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 30 | (მზე) |
| გორი | 9 | 26 | (მზე) |
| თელავი | 9 | 23 | (მზე) |
| სიღნაღი | 8 | 22 | (მზე) |
| გუდაური | 1 | 14 | (მზე) |
| ბაკურიანი | 4 | 17 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 24 | (მზე) |
| მესტია | 3 | 22 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1228 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6557 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5021 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2743 |

# ავტოსიახლეები

## მომავლის ავტომობილები

ჟენევის ავტოშოუ დიდი ხანია დასრულდა, მაგრამ ამ თემას კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით და შემოგთავაზებთ იქ წარმოდგენილი მომავლის მანქანების საუკეთესო ეგზემპლიარებს.

Mitsubishi GR-HEV




"მიცუბიშის" სტენდზე უცნაურმა პიკაპმა მიიპყრო ყურადღება. ძალისმიერი აგრეგატი, რომელიც დიზელის ძრავისა და ელექტროძრავისგან შედგება, საკმაოდ მარტივია და მისი მიღება ხელმისაწვდომ ფასად შეიძლება. ეს ჯერ კონცეპტია, მაგრამ სერიული ვერსია მისგან დიდად განსხვავებული არ იქნება.

Opel Adam Rocks



Opel Adam ისედაც ცნობილი მანქანაა. ახლა, წარმოდგენილ იქნა კროსოვერის ვერსია, რომელიც ჯერჯერობით კონცეპტის დონეზე არსებობს. სერიული Adam-სგან ის 15 მილიმეტრით გაზრდილი კლირენსით განსხვავდება. გარდა ამისა, Adam Rocks-ს გამოარჩევს პლასტიკური დაკიდება, რბილი სახურავი და დიდი რადიუსის ლითიუმის დისკები.

Subaru VIZIV




კომპანია Subaru-მ გვიჩვენა, რა მიმართულებით მიდის ამ მარკის დიზაინერული და ტექნოლოგიური აზრები. ამ კონცეპტში ნაჩვენებ სტილისტურ და ტექნიკურ გადაწყვეტილებებს Subaru-ის მომავალ სერიულ მოდელებში გამოიყენებენ. ამაზე ლაპარაკობს შოუ-კარისთვის შერჩეული სახელი - Vision for Innovation, რომელიც დაახლოებით ასე ითარგმნება - "ნოვატორული ხედვა". კონცეპტ-კარის გაბარიტები არაფრით გამორჩეული არ არის: 4320 მილიმეტრი სიგრძეში, 1900 მილიმეტრი – სიგანეში და 1510 მილიმეტრი – სიმაღლეში. მისი გარეგნობის მთავარი განსაკუთრებული მახასიათებელია: რადიატორის დიდი გისოსი და მახვილი ხაზები.

Subaru VIZIV მოძრაობაში მოდის ჰიბრიდული ძალისმიერი აგრეგატით, რომელიც შედგება 2.0-ლიტრიანი დიზელის ძრავისგან და ორი ელექტროძრავისგან.

კორეული KIA-ს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მათი კონცეპტი - Provo ყველაზე შთამბეჭდავი ავტომობილი იყო ჟენევის ავტოშოუზე. მომავალში, ამ შოუკარისგან შექმნიან B-კლასის ავტომობილს. ავტოს გაბარიტული ზომებია: სიგრძე – 3,88 მეტრი, სიგანე – 1,77 მეტრი. კონსტრუქციაში აქტიურად გამოიყენება შუშა, რომლისგანაც არის დამზადებული მანქანის წინა ნაწილი (შუშის პანელი, სანათების დამცავი და რადიატორის გისოსი).

კონცეპტის ოპტიკა მთლიანად დიოდურია და შესაძლებელია განათების ხასიათის პროგრამირება. რაც შეეხება ძრავას, მანქანა აღჭურვილია 1.6-ლიტრიანი GDI-ით და ელექტროძრავით. ძალისმიერი აგრეგატის საერთო სიმძლავრე 204 ცხენის ძალაა.

Kia Provo



Toyota GT 86 (FT 86) Open Top



სპორტკარ Toyota GT 86-ის წარმატებული ვერსია, ჯერ მხოლოდ კონცეპტის სახით არსებობს. იმედია, მალე სერიული გამოშვება დაიწყება. პროექტი განახორციელა მილანურმა დიზაინსტუდიამ. კაბრიოლეტის ზომები მთლიანად ემთხვევა კუპეს ვერსიას: სიგრძე – 4240 მმ, სიგანე – 1750 მმ, სიმაღლე – 1270 მმ. მანქანამ მიიღო ელექტრონული მრავალშრიანი ქსოვილის სახურავი და უკანა ხედვის სარკე, რომელიც იმალება უკანა სავარძლების ზურგსუკან. კონცეპტი აღჭურვილია 2.0-ლიტრიანი ოთხცილინდრიანი ძრავით, რომელიც 200 ცხენის ძალას ავითარებს. ამ ძალისმიერ აგრეგატთან ერთად მუშაობს 6-საფეხურიანი მექანიკა.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია იტალიური Giugiaro-ს გამოჩენამ, რომელიც ახლა, "ფოლკსვაგენის" საკუთრებაა. იტალიური სტილი და გერმანული პრაგმატიზმი – საკმაოდ პერსპექტიული კავშირია. რაც შეეხება უშუალოდ კონცეპტ Parcour-ს, ის, პირველ რიგში, გამორჩეულია რევოლუციური დაკიდებით. ის ზუსტად იმის ანალოგია, რასაც ფორმულა 1-ში გამოიყენებენ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ძელების ნაცვლად გამოიყენება რვა რეგულირებადი ამორტიზატორი. მანქანა აღჭურვილია "ლამბორგინის" 5.2-ლიტრიანი V10-ით, რომლის სიმძლავრე 550 ცხენის ძალას შეადგენს. მანქანა საათში 100 კილომეტრს 3.6 წამში ანვითარებს.

Alfa Romeo Gloria



ItalDesign Giugiaro Parcour



"ალფა რომეოს" სტენდზე საპატიო ადგილი ეჭირა უჩვეულო კონცეპტს. მოდელი Gloria შეიმუშავეს ევროპის დიზაინის ინსტიტუტის სტუდენტების მონაწილეობით და თითოეულმა მათგანმა ამ სამუშაოსთვის სატრანსპორტო დიზაინის სფეროში მაგისტრის ხარისხი მიიღო. სტუდენტების მთავარი ამოცანა იყო "ალფა რომეოს" ესთეტიკური ღირსებები მიეტანათ აზიელი და ამერიკელი მომხმარებლებისთვის.

ავტომობილის კონსტრუქცია ითვალისწინებს V6 და V8 ტურბო-ძრავების მონტაჟს. ცხადია, რომ თუ მანქანა სერიულ წარმოებაში ჩაეშვება, ის იგივე აგრეგატებით აღიჭურვება, როგორითაც Maserati Quattroporte-ის ახალი თაობა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

საბანკო რეკვიზიტები: შპს **„გამომცემლობა ლელო", 205262062.** ბანკი **„ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია